აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-

Archives Administration

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

V

თბილისი 2013 Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

გურამ სალაძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, თამაზ ფუტკარაძე – რედაქტორი, თეონა იაშვილი, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, მერაბ კეზევაძე, მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა.

Editorial Board

Guram Saladze - chairman of editorial board, Tamaz Putkaradze - editor ,Teona Iashvili, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Merab Kezevadze, Mariana Piskova, Nurie Muratova.

სარედაქციო საბჭო შესაძლოა ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors style is retained.

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი", 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

თამაზ ფუტკარაძე
ზაზა ბურკაძე
ნინო გოგიტიძე

საქართველოს მეჯურჯლეთუხუცესი
წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

1863 წ. 5 იანვარს, ოზურგეთში, სოფელ ლიხაურში, აზნაურ სიმონ თაყაიშვილისა და გიტული ნაკაშიძის ოჯახში დაიბადა ბიჭუნა, რომელსაც ისტორიის ფორტუნებიდან უკვდავება ელოდებოდა. ძეობა ფეხბედნიერი გამოდგა ქართული მეცნიერებსათვის. დაიბადა გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ქართული განძის ერთგული დარაჯი, რომელიც ეკლესიამ ორმაგი ეპითეტით შეამკო და უწოდა წმ. ექვთიმე ღვთისკაცი, ხოლო იუნესკომ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა.

ექვთიმე თაყაიშვილს არ ჭირდება იმისი ახსნა, თუ ვინ იყო იგი და რას წარმოადგენს მისი შემოქმედება. ამ კატეგორიის ადამიანები მარადიულად რჩებიან ერის კულტურულ მეხსიერებაში. იმდენი რომ იმოგზაურო, ეძებო, დაიცვა ძეგლები, სიგელ-გუჯრები, განძეულობა, უნდა უზომოდ გიყვარდეს შენი ხალხი, შენი ქვეყანა. სწორედ სიყვარული იყო მისი გამორჩეული თვისება. ექვთიმე ღვთისკაცს საქართველოსა და მისი ისტორიის განყენებული ცნება კი არა, რეალურად უყვარდა სამშობლო თავისი ფესვებითა და მომავლით. იგი იყო შეუდარებელი ჭირისუფალი, სვეგამწარებული ქვეყნის ჭეშმარიტი მეჯურჭლეთუხუცესი – ვერ თუ არ მოუსვლელი ჭირისუფლის გარეშე რომ მიბარდა მშობლიურ მიწას. სიტყვის კაცი იყო დიდი ექვთიმე და არც არასდროს გაუმრუდებია დანაპირები. იგი ჭირისუფალივით დაბრუნდა საქართველოში ღრმად მოხუცებული – უშიშროების სამსახურების მძლავრობის, განუკითხაობის, მუდმივი ზეწოლის პირობებშიც კი აკეთებდა ქართულ საქმეს, სენით დაავადებული აქეთ ამხნევებდა დამწუხრებულ ქვეყანას. თავის დროზე რეზო თაბუკაშვილმა ბრძანა საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესზე – უბადლო მხედარიაო წაგებულ ომში, თორემ მოგებულ ომში რომ მხედრობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ეს ყველამ კარგად იცის.

მკვირცხლ და დაუდეგარ ექვთიმეს სამი წლის ასაკში ფეხი მოუტეხია. **„ბავშვობაში ცელქი ვყოფილვარ, იგონებს ექვთიმე. სამი წლისა ხეზე გავსულვარ, გადმოვარდნილვარ და მარჯვენა ფეხი მომიტეხიაო”**. როცა ბავშვებს გავაჯავრებდი, „კოჭლაბუხას მეძახდნენო”. მისივე მოუსვენრობისა და უხეირო მკურნალობის გამო ექვთიმე მთელი ცხოვრების მანძილზე ხელჯოხით დადიოდა, თუმცა მაინც ჩქარი სიარული უყვარდა.

ექვთიმეს დედა მალე გარდაეცვალა. ხუთიოდე წლის ასაკში კი სრულიად დაობლდა. მისი აღზრდა ბებიამ, დაქვრივებულმა მამიდამ

და დამ იკისრეს. დაობლებული ბავშვი გაჭირვებაში იზრდებოდა. ოზურგეთის სასწავლებელში იგი ნიკო მართან ერთად სწავლობდა. ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე უახლოეს მეგობრებად დარჩნენ. ახალგაზრდები პატრიოტულად იყვნენ განწყობილნი და ფიცს დებდნენ, რომ დაეუფლებოდნენ იმ სპეციალობას, რომელიც მათ სამშობლოს ესაჭიროებოდა. ექვთიმემ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. გაჭირვებულს ზამთრის პალტოც კი არ ჰქონია. ამიტომაც იყო, რომ მოწაფეთა მომზადება დაიწყო. 1883 წ. ექვთიმემ დაამთავრა გიმნაზია ვერცხლის მედალზე და სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით, ქართველმცოდნეობაშიც „გატეხა ენა" და კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა თბილისში.

ექვთიმე თაყაიშვილი
ახალგაზრდობაში

ექვთიმეს მეგობარმა ნ. მარმა ერთი წლით გვიან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ექვთიმემ გადააფიქრებინა: ფეხი არ მოიცალო, შენი ადგილი პეტერბურგშია. აქ მე დამიპირეს გაფუჭება და შენ სიფიცხეს უფრო არ აიტანებენო.

ექვთიმემ მიზნად დაისახა ახალგაზრდების აღზრდა, მშობლიური ისტორიის კვლევა და ისტორიული დოკუმენტების და ძეგლების გადარჩენა, მაგრამ შურმა და მტრობამ აქაც იჩინა თავი. **„ჯერ მუშაობა არც კი დამეწყო, უკვე წახდენა მომინდომესო"** – წერს ექვთიმე. მოშურნემ ექვთიმეს პლაგიატობა დასწამა. ექვთიმემ სამედიატორო სასამართლოში გაიწვია და რომ არ გაჰყვა, დუელი შესთავაზა. ცილისმწამებელმა დუელსაც აარიდა თავი. ილიას ჩარევით და სამედიატორო სასამართლოს განჩინებით კონფლიქტი დაიძლია. რომ არა ილიას ჩარევა, შესაძლოა საქმე ცუდად დასრულებულიყო. ამიტომაც ერთხანს გადაუწყვეტია სამეცნიერო საქმიანობისათვის თავის დანებება, თუმცა შემდეგ გადაუფიქრებია და გაუგრძელებია მეცნიერული კვლევა-ძიება.

ცნობილია, რომ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდა იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც თვითმკვლელობას მეგობარმა ააცდინა, ექვთიმემ კი თვითონ სძლია ცდუნებას.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ, სამეცნიერო საქმის დიდმა ორგანიზატორმა იმთავითვე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება და დაიმსახურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და არქეოლოგიური საზოგადოების ორი ოქროს მედალი (1907 და 1910 წწ.),

1895 წ. ექვთიმემ ცოლად შეირთო თბილისელი იურისტის ივანე პოლტარაცკის ასული ნინო ილიას ჩარევით. ნინოზე თვალი ლუარ-

საბ ანდრონიკაშვილსაც ეჭირა, რომელიც მეგობრობდა ექვთიმესთან და ხშირად შეახსენებდა: ბ-ნო ექვთიმე, თავშივე მაჯობეო. იმხანად ექვთიმე იაკობ გოგებაშვილთან ცხოვრობდა. ერთხელ ილიას იაკობისათვის დაუვალებია – ექვთიმე მომიყვანეო. სუფრას ილია თამადობდა და ექვთიმეს სადღეგრძელოს წარმოთქმისას უთქვამს: სანამდე უნდა იყოს ექვთიმე გოგებაშვილის ბინაზე. იგი შეირთავს ნინო პოლტარაცკაიას და ოჯახს შექმნისო, მაგრამ პოლტარაცკაიებმა შემოუთვალეს: არ გაბედო თორემ მეორე ფეხსაც მოგტეხთო. ილიასთან მისულ ექვთიმეს შეუჩივლია: ასე და ასე შემომითვალეს. **რატომ გამაბახეთ, ეს დიდებული ქალი კოჭლაბუხას როგორ მოისურვებდაო. ილიამ უთხრა: ჯერ მითხარი, გაბახება რა არის და კოჭლაბუხას მაგიერ კოჭლამუხას // მუხლით კოჭლს ხომ არ იტყვიანო. ექვთიმემ აუხსნა: გაბახება გურიაში სახელის გატეხვას ნიშნავს, კოჭლაბუხა კი მე რომ ვარ, კოჭლი იმას ნიშნავსო.** ილიას უთქვამს: დღეს ორი სიტყვა გავიგე, ეგეც საქმეაო და ხუთშაბათისათვის დაუბარებია სადილზე, სადაც კვლავ გაუმეორებია: ექვთიმე შეირთავს ნინოს, ჯვარს კი ჩემი მეუღლე დაწერსო. გიგლა ყიფშიძეს უსაყვედურებია ილიასათვის: ასეთი ლამაზი ქალი კოჭლს როგორ შერთეო. ილიას უთქვამს: სხვა ეროვნების კაცს რომ შეერთო, მიწის დიდი ნაკვეთი გვეკარგებოდაო. ილია ცდილობდა, რომ ქართველის მიწები ისევ ქართველების ხელში მოხვედრილიყო.

ნინო კარგად ფლობდა ფრანგულს და მეტად განათლებული ქალი იყო. მაშინაც კი, როცა ოჯახში ლუკმა პურის ფული არ ჰქონდათ, ნინოს ერთხელაც არ დაუწუწუნია და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა ქართული კულტურის დიდ მოამაგეს. სხვათა შორის, პირველი წერილი მიწერა თავად ნინომ, რომელშიც გამოხატა სიმპათიები ექვთიმესადმი. ლევილში მათ გააშენეს მშვენიერი ბაღ-ვენახი.

მწვანილის საყიდლად ბაზარში არ დადიოდნენ, გაიჩინეს მეწველი თხაც.

ნინოს მამა ივანე პოლტარაცკი პოლონელი იყო, დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის საქართველოში გადმოსახლებული. იგი დაქორწინდა გაბაშვილის ქალზე და მზითვად დიდი მიწები ერგო. ილია მეგობრობდა ივანე პოლტარაცკისთან. პოემა „აჩრდილიც" მას მიუძღვნა. თავად ივანემ რუსულ ენაზე თარგმნა ილიას „გლახის ნაამბობი", „კაცია ადამიანი?!". პოლტარაცკის დაკრძალვაზე ილიას „ცრემლები კურცხალ-კურცხალ ჩამოსდიოდაო". ექვთიმე ცოლის შერთვის შემდეგაც მუშაობდა სკოლაში, ამავე დროს უმკლავდებოდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანტიქართულ გამოხდომებს.

ექვთიმე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1905 წ. რევოლუციის დღეებში ვორონცოვ დაშკოვმა გურიაში გააგზავნა დამსჯელი რაზმი ალიხანოვ ავარსკის მეთაურობით. ქართველმა მოღვაწეებმა ილიას მეთაურობით მთავრობას მიმართეს და გურიას ააცილეს აოხრება, მაგრამ ერთი თვის შემდეგ გურული რევოლუციონერები თავს დაესხნენ დამსჯელ ასეულს. მეფისნაცვალმა კვლავ გააგზავნა გურიაში დამსჯელი რაზმი, რომელსაც ნატანებიდან ოზურგეთამდე და ოზურგეთის ზემოთაც შერჩევით ოჯახები უნდა მოესპო, სახლები გადაებუგა. ქართულ დეპუტაციას ახლა ილია ვეღარ გაყვებოდა. ე. თაყაიშვილმა გაბედა და მეფისნაცვალს ნებართვის გარეშე მიმართა: **ბრძენი მმართველის მოვალეობაა, რომ ყველა პრობლემა მოაგვაროს მშვიდობიანი მეთოდებით და არ მიმართოს ძალადობასა და რეპრესიებს, როცა ეს შესაძლებელიაო.** ვორონცოვმა უკან დაიხია. სამწუხაროდ ეს დამსახურება 1980 წ. ქართულ პრესაში სხვას მიეწერა, რაც 1981 წ. ტელეხედვამაც

ექვთიმემ თავიდანვე განსაზღვრა თავისი საქმიანობის სფერო – შეეკრიბა მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გადაერჩინა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, წერილობითი დოკუმენტები. **„საქართველო დავიარე და დავინახე – წერს ექვთიმე, რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც კი. პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან მაინცდამაინც აღარავინ მისდევდა ამ საქმესო".** ექვთიმე შენიშნავს: **„სულ ვშიშობდი, ეს არ დაიკარგოს, ის არ წახდეს მეთქი. ვცდილობდი ყველაფერი ამეწერა, გადმომეღო, ჩამეხატა, შემეძინა, შემომეწირვებინა და საბოლოოდ მუზეუმი შემექმნაო".** ნახავდა იგი ექსპონატს, პატრონს თხოვდა – გამატანე, შევისწავლი და დაგიბრუნებო. მეორე

დღეს კი გაზეთში ქვეყნდებოდა ინფორმაცია: ამან და ამან დიდსულოვნად შემოსწირა ესა და ეს დოკუმენტი თუ ექსპონატი ეროვნულ საქმესო. სწორედ ამიტომ უთქვამს ექვთიმეს: **მე რომ ხეიბარი არ ვყოფილიყავი ყაჩაღი ვიქნებოდიო**. ექვთიმეს დაწყევლილი ჰყავდა ყველა ქართველი, ვინც ეროვნულ საგანძურს, დოკუმენტს, ნივთს საქართველოს დაუკარგავდა. თავად ექვთიმესაც უკვირდა, როგორ შეძლო ამდენი. **„მეძებარივით მაინც და მაინც მე უნდა წავწყდომოდი ერთიმეორეზე საინტერესო ხელნაწერს, ნივთსა თუ სხვა ძეგლს"-ო,** ამბობდა ექვთიმე და წყინდა, რომ ზოგიერთები ალმაცერად უყურებდნენ **„ამისთვის დაამთავრა უმაღლესი, სხვა საქმე ვერ გამონახაო"**. პირველწყაროთა მოპოვებით, დედანთა და მისი თარგმანების პუბლიკაციით მ. ბროსესა და ნ. მარის გამოკლებით არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც შეძლო ქართული განძის დიდმა ჭირისუფალმა.

1888 წელს, იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის წევრად შეიყვანეს. პარალელურად აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს გაზეთ ივერიაში. ექვთიმე თაყაიშვილის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელსაც ექვთიმე შეხვდა გიმნაზიაში მასწავლებლობის დაწყებიდან ერთ წელიწადში. ისინი ხშირად ერთად მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში.

1888 წელს ექვთიმემ შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება". ამას მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის" ახლებური წაკითხვა და დათარიღება. 1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა". საქართველოს ადრეული ისტორიისთვის უმნიშვნელვანესი იყო მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგების" ხელნაწერი. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში, ნა გავ ში იპოვა. 1920 წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება" მისი გამოკვლევით და წინასიტყვაობით გამოსცა. ასევე გამოკვლეული აქვს „აბდულმესიანის", „თამარიანის", „ვისრამიანის", „ამირანდარეჯანიანის", „როსტომიანის", „ქილილა და დამანას", „რუსუდანიანის", „ომანიანის", თეიმურაზ I თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის" ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო, როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით; საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც ვინმე კორინთელისაგან შეიძინა, ასევე მეფე გიორ-

გი XI-ისათვის 1680 წელს მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

1892 წელს ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენებაში ეხმარებოდა. მალე ექვთიმეს რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული.

ექვთიმე გიმნაზიაში ლათინურის გარდა უკვე ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიდა. დირექტორის ადგილი გათავისუფლდა და ექვთიმეს გიმნაზიის ხელმძღანელობა შესთავაზეს. 1894-1904 წლებში სწორედ ის განაგებდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას, ყოველი საზაფხულო არდადეგების დროს კი აწარმოებდა არქეოლოგიურ გამოკვლევებს.

ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი თბილისში

ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი ქუთაისში

ექვთიმე თაყაიშვილის ბიუსტი ზუგდიდში

სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველო). პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცა პარიზში, 1930-იანი წლების მეორე ნახევარში.მეცნიერულის გარდა დიდი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმეს ექ-

სპედიციებს თურქეთის საქართველოში. მეცნიერი თანამემამულეებს უღვიძებდა პეტრიოტულ გრძნობებს, **რომლებიც ფიცს დებდნენ, რომ „არ დავივიწყებთ მამაპაურ წეს-ჩვეულებებსო"**.

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო. საზოგადოების თავმჯდომარე თავად ექვთიმე თაყაიშვილი იყო 1921 წლამდე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი პოპულარობა მოუტანა საზოგადოებას. ექვთიმე თაყაიშვილმა დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია „ძველი საქართველო" და „საქართველოს სიძველენი". იგი თავად იყო ამ სერიების ტომების შემდგენელი.

> „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს . . . რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი . . . . არ იყო ხალხი, თითოორორლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო! . . რუსთველის გამზირზე სერნობასა და პოპულარული სტატიაწიგნების კითხვას ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება . . . თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივ შესწავლის აუცილებლობას! - წერ და ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1919-1921 წლებში იგი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე.

დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" კომისიაში. უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა. ექვთიმე თაყაიშვილი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იგი სამ სალექციო კურსს უძღვებოდა. ერთი პირველკურსელთათვის იყო და მოიცავდა საქართველოს სიძველეთმცოდნეობის შესავალს. ამასთან ერთად მეცნიერი კითხულობდა ეპიგრაფიკას და საქართველოს საეკლესიო ის-

ტორიას. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ მან გიმნაზიაში მასწავლებლობა მიატოვა.

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის დასახლდა თავდაპირველად პარიზში, 1922 წლიდან ლევილში და დროგამოშვებით სწავლობდა ოქსფორდში.

საფრანგეთში იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მისი აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების (1925) ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1937-1939 წლებში თაყაიშვილი იყო მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ თავმჯდომარე. ამასთან, იგი გახლდათ სამეცნიერო პერიოდული გამოცემის “ ეორგიცა” (ლონდონი) სარედაქციო საბჭოს წევრი. პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ექვთიმემ მიაგნო არაერთ ქართულ ხელნაწერს და გაშიფრა იგი. მოგვიანებით გამოაქვეყნა „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“, „ქართული სიძველენი ევროპულ ანტიკვარებთან“ და ა. შ.

გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად, განძს თაყაიშვილი მეურვეობდა. განძი, სულ 39 ყუთი, ექვთიმეს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული.

მისი ღირებულება იმჟამინდელი კურსით შეადგენდა 10 471 770 ოქროს მანეთს. 1921 -1924 წწ. საგანგებო კომისიის მიერ მიჩნეული „საბანკო ვერცხლეულობა” (ზოდები) გადაუდნიათ და გაუყიდიათ 1 200 000 მანეთად. თანხის ნაწილით 1922 წ. შეუძენიათ პარიზიდან 26 კმ-ში სოფ. ლევილში ეკლიანი მავთულით შემოღობილი მამული – 30 ჰა-მდე სახნავ-სათესით და შატო – სახლი, რომლის მეორე სართულზე ორი ოთახი მიუჩენიათ ექვთიმესა და მისი მეუღლისათვის. ეს ადგილი ადრე პარიზის არისტოკრატიის სანადირო ადგილი ყოფილა, შატო სახლი კი მონადირეთა თავშესაფარი. ერთ დროს ამ სახლის პირველ სართულს საჯინიბოდაც იყენებდნენ.

ეროვნულ საუნჯეს არაერთხელ დაემუქრა გაყიდვა–გასხვისების საფრთხე. განძის ცალკეული ექსპონატების ყიდვა სურდათ ევროპის

(ინ გლი სის, ამე რი კის) სხვადასხვა მუზეუმებს, მაგრამ თაყაიშვილი ამაზე არ თანხმდებოდა. მან სასამართლოში მოიგო საქმე გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის, სალომე ობოლენსკაიას წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს პრეტენზია ჰქონდა ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილ განძეულობაზე. დავა 7 წელს გასტანა. ექვთიმემ წარადგინა 1920 წ. 21 დეკემბრის დეკრეტი დადიანის ქონების გასახელმწიფოებრიობის შესახებ. დადიანის ასულმა წააგო სასამართლო, მაგრამ მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება – მენშევიკური მთავრობა აღარ არსებობს, განძი უპატრონოა და საუნჯე გადაეცეს პ. დოჟონს, რომელსაც აბარია მეფის რუსეთის ქონება საფრანგეთშიო. განძი ლუვრს უნდა გადასცემოდა. ექვთიმემ სასწრაფოდ მიწერა წერილი საბჭოთა მთავრობას, რამაც რამდენადმე შეაფერხა ეს საკითხი. განძი გადაიტანეს პარიზში და დააწყეს ბანკის მთავარ შენობაში.. ერთა ლიგის მიერ 1933 წელს საბჭოთა კავშირის ცნობამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მდგომარეობაზე: მის ნაცვლად შეიქმნა „ქართული ოფისი“. რამდენადაც განძის ოფიციალურ მესაკუთრედ მანამდე საქართველოს ემიგრირებული მთავრობა ითვლებოდა, ამიერიდან განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა, მით უმეტეს, რომ განძის შენახვის საფასური მხოლოდ ერთი წლისა იყო გადახდილი. ექვთიმემ დაიწყო მტკიცება – განძი ეკუთ ვნის ქართველ ერს, მუზეუმებს და არა მენშევიკურ მთავრობასო. აქედან მოყოლებული თაყაიშვილი საფრანგეთის მთავრობისგან ითხოვდა, რომ განძი საქართველოს სსრ-სთვის გადაეცათ. 1938 წელს საფრანგეთმა დააბრუნა ხელნაწერები. საბოლოოდ კი ეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ექვთიმე ემიგრაციაში უაღრესად გაჭირვებულად ცხოვრობდა. „მეხათრება შეწუხება, მიმართავს ექვთიმე მეზობელს. იქნებ დამდოთ პატივი და მცირე საკვები გვიბოძოთ თქვენი ულუფიდანო“. ნინო პალტარაცკაიას დღიურებში ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მათი ოჯახი. „დილით 50 გრ. პური, ერთი ჭიქა ყავა. სადილი - ერთი კვერცხი, ერთი ჭიქა რძე, 50 გრ. პური. ვახშამი არ გვქონდა“ წერს ნინო. ამ გაჭირვების მიუხედავად ნინო ბოლომდე ერთგულ დრაჯად ედგა ექვთიმესთან ერთად ქართულ განძს და მუსიკის გაკვეთილებში აღებული ფულით ფაქტიურად მშიერი ოჯახის დიასახლისი უნიკალურ ქართულ ნივთებს იძენდა. ექვთიმეს ზოგჯერ პარიზში ჩასვლის საშუალებაც კი არ ჰქონდა. ხშირად უსადილოდაც რჩებოდა. მაგ. 1934 წლის თებერვალში 6 დღე არ უსადილია, მარტში კი 13. მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძით იკვებებოდა. ცნობილია, რომ მათ ჰყავდათ ერთი მარჩენალი თხა, რომელსაც შემთხვევით წაუქცევია ექვთიმე და მეორე ფეხიც მოუტეხია. ნინო კი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო. იგი 1931 წ. გარდაიცვალა.

მარტოდ დარჩენილ ექვთიმეს ერთ კვირა დღეს პარიზიდან მის ოჯახთან დაახლოებული ქართველი ემიგრანტი ელენე ფერაძე ეწვია.

მას ერთი უცნობი ქალიშვილი ახლდა. იგი იყო საგარეჯოელი მანანა მჭედლიშვილი, რომელიც მოხალისედ წასულა ფრონტზე. ნოვოროსი-ისკში იგი ტყვედ ჩავარდნილა, ჩაუგდიათ საკონცენტრაციო ბანაკში, შემდეგ ჩაუყვანიათ ბერლინში და როგორც სამხედრო ტყვე სამუშაოდ გაუმწესებიათ ჰუნეკეს კლინიკაში. იქ მანანას გაუცნია ახალგაზრდა ქართველი ტყვე ალექსანდრე მორჩილაძე. შემოდგომის ერთ დღეს გამოცხადდა საჰაერო განგაში. ავადმყოფები ჩაუყვანიათ სარდაფში. მანანას გახსენებია, რომ ორდინატურაში დარჩა ტანსაცმელი და მოუწადინებია მისი ქვევით ჩატანა. ასულა ორდინატურაში და შუქი ჩაურთავს, რაც გერმანელებს მიუჩნევიათ მოწინააღმდეგისათვის მიცემულ სიგნალად. მანანა უცემიათ და სარდაფში ჩაუგდიათ, მოგვიანებით კი გადაუსახლებიათ საფრანგეთში. ცხადია, იგი დაშორდა ალექსანდრე მორჩილაძესაც. მანანა მდივნად დაუდგა ექვთიმეს, დაეხმარა არქივის მოწესრიგებაში, პარალელურად ასრულებდა პარტიზანულ დავალებებსაც. ერთხელ ექვთიმესთან მოვიდნენ პარტიზანები და უსაზღვრო იყო მანანას გაოცება, როცა პარტიზანებს შორის აღმოჩნდა ალექსანდრე მორჩილაძე. იგი ტყვეთა ბანაკიდან გამოუსყიდია პარიზში მცხოვრებ ემიგრანტ ქალს ნამეტია ბერძენიშვილს. მალე მანანა და ალექსანდრე დაქორწინდნენ და ექვთიმეს ჭერქვეშ მრავალჟამიერი დააგუგუნეს. ომის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში. მანანა 1980–იან წლებამდე ცოცხალი იყო, ალექსანდრე კი 1985 წლისათვის გურიის სოფელ აკეთში მუშაობდა აგრონომად.

1940 წ. 22 ივნისს საფრანგეთის ხელისუფლებამ ბედის დაცინვით ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს სწორედ იმ სალონ-ვაგონში, სადაც 1918 წ. 11 ნოემბერს მარშალმა ფოშემ კაიზერის გერმანიის კაპიტულაციის აქტი მიიღო. განძს საფრთხე გერმანელებისაგანაც დაემუქრა, მაგრამ ექვთიმეს ენერგიულობამ, პ. დოჟონის თანადგომამ შესაძლებელი გახადა განძის გადარჩენა. გერმანელებს ექვთიმეს ბინაც კი გაუჩხრეკიათ და უკითხავთ – სადაა ოქროო. ექვთიმეს ეშმაკურად უკითხავს – რომელი ოქრო, ამერიკელებმა რომ წაიღესო?

მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანია დამარცხდა და შესაძლებელი გახდა განძის სამშობლოში დაბრუნება. ომის დამთავრებამდე, 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრკ-ს ელჩს საფრანგეთში ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძთან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლმა განკარგულება გასცა საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე, რაც 1945 წელს განხორციელდა კიდეც. საკითხი საბოლოოდ გადაწყდა სტალინისა და დე გოლის შეხვედრის შემდეგ. მსოფლიო პრობლემებით დატვირთულმა როგორ მოიცალეთ ასეთი პატარა საქმისათვისო, უკითხავს დე გოლს. დეგოლი წერს: სტალინმა თითქოს სადღეგრძელო თქვა, მაგრამ ლექცია წამიკითხა საქართველოს ისტორიაზეო.

ნოე ჟორდანიამ ექვთიმეს თხოვა განძთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულიყო. ექვთიმემ უპასუხა: „საქმე გაგითავებიათ და ახლა

მეუბნებით. მოხუცებულ კაცს როგორ მწირავთ... ბოლშევიკების ნდობა განა შეიძლება?... არა, რა ქვიანა, მე იქ არ წავალ. ჩემი ადგილი აქაა, ლევილის სასაფლაოზე, ჩემს ნინოსთანო". მაგრამ როცა გადაჭრით აუწყეს, რომ ეს აუცილებელი იყო, ექვთიმეს უკითხავს: „ ბატონო პრეზიდენტო, ეს თხოვნაა თუ ბრძანება?". ბრძანებაო. ექვთიმე ფეხზე წამომდგარა და თვალცრემლიანს უთქვამს: „არ ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ ბრძანებას ვემორჩილებიო" და უთხოვია, რომ მისი განაწამები მეუღლე - ნინო გადმოესვენებინათ საქართველოში. ექვთიმემ პირობა მიიღო, რომ მისი თხოვნა შესრულდებოდა.

საქართველოში გმომგზავრების წინ, 1945 წ. აპრილში გამოსათხოვარ სადამოზე ექვთიმეს უთქვამს: მე ვიცი, რომ დიდი პატივით მიმიღებენ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მე მათ მუდმივ „დამაშნი არესტში" ვეყოლები. მსხვერპლად ვეწირები ჩემს თავზე აღებულ მოვალეობასო. შემდეგ კი თვალცრემლიანი სასაფლაოზე გავიდა მეუღლესთან გამოსამშვიდობებლად. გამოსამშვიდობებელ სუფრაზე ექვთიმეს ნოეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ ნოე, მე იქ შენი ბრძანებით მივდივარ. იცოდე, ბევრ რამეებს მომაწერენ შენ და ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ თითქოს ჩემ თქმულს. იცოდე, არ დაიჯერო. ამის ნიშნებს უკვე ვხედავ აქვე. მე ვიყავი და ვრჩები საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.... მე მათ მიერ შეთხზული სიცრუის გასაფანტად ვტოვებ ანდერძის სახით ყოველივე ახსნა-განმარტებას და ჩემს შეხედულებას ჩვენი ქვეყნის დამპყრობლების შესახებ, რომელიც შეგიძლიათ გახსნათ და გამოაქვეყნოთ ჩემი გარდაცვალების შემდეგო". სამწუხაროდ, ჯეჯ-ჯერობით ვერ ინახა ეს მისი საინტერესო და მრავლისმთქმელი ანდერძი.

საქართველოდან საფრანგეთში საგანგებო მისიით მიავლინეს შ. ამირანაშვილი და პ. შარია. აღიწერა განძეულობა და აღმოჩნდა, რომ არა თუ ერთი ნივთიც არ დაკლებია, პირიქით, გაუმდიდრებია ეროვნული საგანძური. განძი ჩაიტვირთა თვითმფრინავში, მაგრამ ექვთიმე ჭირვეულობდა. 82 წლის მოხუცს ჯერ თვითმფრინავით არ ემგზავრა, ამავე დროს ხეირიანი ჩასაცმელიც (საცვალიც კი არ ჰქონია) არ ჰქონდა. გზად ექვთიმეს შეუკერეს შარვალ-კოსტუმი. ომის გამო შემოვლითი გზით იფრინეს (რომი, ბიზერტა, ქაირო, თეირანი, თბილისი) და მეშვიდე დღეს, 1945 წ. 11 აპრილს თვითმფრინავი დაეშვა თბილისის აეროპორტში. ექვთიმემ ჯერ ცას შეხედა, მერე დაიღუნა, აიღო მიწა, ეამბორა და წარმოთქვა აკაკის ლექსი: „ცა-ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო". ექვთიმეს ხომ მუდამ თავისი მშვენიერი ქვეყანა ენატრებოდა. მოგვიანებით ერთ-ერთი საუბრის დროს საუბარი ჩამოვარდნილა სტალინზე, რომელიც წყალტუბოში ისვენებდა, იქიდან კი ექიმ ყიფშიძეს ბორჯომში ჩამოუყვანია. სტალინს უთქვამს: რად მხარშავდით წყალტუბოში, ბორჯომში ვერ ჩამომიყვანეთო? გაუხსენებიათ, რომ სტალინმა იქ დარგო კაკლის ხე. შემდეგ გორში შეუთავაზებიათ მის სახლში შესვლა, მაგრამ მას უთქვამს: არაა აუ-

ცილებელიო. ექვთიმეს კომენტარი გაუკეთებია: სხვაგან ქრის მისი გონება. მე კი ლიხაური მესიზმრებაო.

ნაყოფიერი გამოდგა სამშობლოში დაბრუნების რვა წელი. ამ პერიოდში გამოქვეყნდა სტატია „თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწებზე“ (გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ. 104, 105), ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ნაშრომი სამხრეთ საქართველოს ძეგლების შესახებ, გამოდიოდა საჯარო ლექციებით და ა. შ. მართალია იგი პატივით მიიღეს, დაინიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად (1945 წლის 15 აპრილ), მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება (1945 წლის 10 მაისი), აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად (1946 წლის 28 დეკემბერი), მაგრამ სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლება მაინც ეჭვით უყურებდა ექვთიმეს. მოგვიანებით იგი მოხსმეს პროფესორობიდან, დაუნიშნეს პენსია, რომელიც არ მიუღია, დაუპატიმრეს ქალიშვილი, ბოლოს კი თვითონაც დაიბარეს უშიშროების სამსახურში. ღრმად მოხუცებულს სახლში მიაკითხა უშიშროების თანამშრომელმა და მოხუცი, რომელიც ფეხით ძლივს დადიოდა, წაიყვანეს დაკითხვაზე. ცკ-ის მდივნის ა. მგელაძისადმი გაგზავნილ წერილში (1952 წ. 12 სექტემბერი) ექვთიმე აღნიშნავს, რომ ბოლშევიკური მთავრობისაგან პატივცემული იყო უშიშროების სამსხურის ხელმძღვანელად რუხაძის დანიშვნამდე, რომელმაც იგი უბრალო ემგრანტად ჩათვალა და განიზრახა მისი მოსპობა. ლიდას დაპატიმრებაც ექვთიმეს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იყო. მასთან მისვლისა ყველას ეშინოდა. მომვლელი ქალი ლია დოლაბერიძეც რუხაძის მოთხოვნით გაეცალა მოხუცს. ფაქტობრივად იგი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. სასოწარკვეთილი მოხუცი, რომელსაც სიარული ძალიან უჭირდა, ერთ დღეს ესტუმრა ნატო ვაჩნაძეს და გააფრთხილა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მას ელოდა. თურმე დაკითხვის დროს 90 წლის მოხუცს ეკითხებოდნენ იმასაც, თუ რის შესახებ საუბრობდა საფრანგეთში ჩასული ნატო ვაჩნაძე ემიგრანტ ქართველებთან შეხვედრის დროს. ეს მართლაც იყო ზნეობრივი მაგალითი. კაცს, რომელიც თავად იყო შინაპატიმრობასა და უმძიმეს მდგომარეობაში, სხვის ბედზე სწუხდა და აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სხვათა შორის, მოხუცს ხელისუფლებამ დაუნიშნა ე. წ. მომვლელი ქალი, რომელიც უშიშროების ოფიცერი იყო. ქართველმა მეცნიერმა იოსებ მეგრალიძემ, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ექვთიმეს ემსახურებოდა და პირადი არქივის მოწესრიგებაში ეხმარებოდა, ის ქალბატონი „შეაბა“.

ნინოს და ექვთიმეს საკუთარი შვილი არ ჰყავდათ. ამიტომ პანსიონიდან უკვე მოზრდილი გოგონა ლიდა გამოუყვანიათ და აღუზრდიათ. წლების შემდეგ ლიდა ალექსანდრე პალტარაცკაიას (ნინოს ძმა) მეუღლე გახდა. საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, რომ სწორედ ლიდას დამსახურებით ექვთიმეს ხელნაწერების დიდი ნაწილი დღემდე შემორჩა ქართველ ხალხს. ლიდა ფიცხი ქალი ყო-

ფილა, ანტისაბჭოურად განწყობილი და და ხმამაღლა, მგზნებარე ტემპერამენტით, ლაზათიანად შეუკურთხებდა ხოლმე სოციალიზმის „წითელ ნაშიერთ“. ამიტომაც იყო, რომ სიცოცხლის დიდი ნაწილი ავლაბრის ციხეში გაატარა. არც ლიდას და ალექსანდრეს დარჩათ მემკვიდრე. მძიმე ცხოვრებამ ლიდასაც დაასვა დაღი. ბოლოს მეხსიერება დაუქვეითდა და სვავებივით დაიტაცეს პალტარაცკების ოჯახში არსებული ანტიკვარული ნივთები.

1948 წ. იანვარში ა. შანიძეს, გ. წერეთელს, ვ. დონდუას, ი. მეგრელიძეს გადაუწყვეტიათ ექვთიმეს 85 წლის იუბილის აღნიშვნა. ექვთიმე სასტიკი წინააღმდეგი წავიდა - სამაგისო არაფერი გამიკეთებიაო. იუბილეს გადახდას ემიგრაციის დროსაც უპირებდნენ, მაგრამ იქაც წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას - ვის გაუგონია იუბილე ემიგრაციაშიო.

1953. წ. 21 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა. ერთ-ერთი საუბრის დროს ექვთიმეს გამოუხატავს დიდუბეში იაკობ გოგებაშვილის გვერდით დასაფლავების სურვილი. იაკობი მთაწმინდაზე გადავასვენეთო, უთქვამთ მისთვის. მთაწმინდაზე მე ილიასთან რა ღირსი ვარ, ჩემს აშენებულ უნივერსიტეტის ეზოში რომ დამმარხავდნენ - ვანოს მახლობლად კი ვისურვებდიო. მიცვალებული გამოასვენეს 16 საათსა და 15 წუთზე. კუბო აკაკი შანიძეს, ალ. ბარამიძეს, ვახტანგ ბერიძეს და იოსებ მეგრელიძეს მიქონდათ. მათ ენაცვლებოდნენ ალ. ჯანელიძე, კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი. ცხედარს სულ 48 კაცი მიაცილებდა. სხვებმა ვერ გაბედეს ექვთიმესთან გამოთხოვება. ნაბრძანები იყო პროცესია არ შეეჩერებინათ უნივერსიტეტთან, მაგრამ მძღოლი მოისყიდეს, გადაუხადეს სამი თუმანი. უნივერსიტეტთან თითქოს მანქანა „გაფუჭდა“ და 6 წუთით შეჩერდნენ. ვაკის სასაფლაოზე სიტყვები ალ. ბარამიძემ და ქრ. შარაშიძემ წარმოთქვეს.

1963 წ. 10 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილის ნეშთი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. ყველაფერი შენარჩუნებული დახვდათ. კუბოც კი არ აღმოჩნდა გამოსაცვლელი. კუბოში ჩაიხედა ა. შანიძემ. ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი დაცული იყო. 1987 წ. 22 თებერვალს ლევილიდან თბილისში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით დაკრძალეს ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტი. 2000 წ. ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი მთაწმინდის მიწას მიაბარეს.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმია განთავსებული მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას, თბილისში, ვაშლოვანის ქუჩის 7 ნომერში. მისი მუზეუმია აშენებული თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში, ლიხაურში, სადაც ყოველი წლის 16 იანვარს „ექვთიმეობას“ აღნიშნავენ. ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში. 2013 წელი იუნესკოს ეგიდით ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

ექვთიმე ღვთისკაცის ხატი

ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის ეკლესია

ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ საუბარი გვინდა დავასრულოთ რეზო თაბუკაშვილის სიტყვებით (მცირეოდენი პერიფრაზით): მოგვიტევე საქართველოს დიდო ჭირისუფალო, რომ ვერ გიჭირისუფლა შენმა სათაყვანებელმა სამშობლომ, რომ არ მიეცა საშუალება შენს საყვარელ ხალხს მადლობა ეთქვა თქვენთვის. პოლიტიკური ინტრიგებისა თუ კონიუქტურული მოსაზრებების გამო ბევრმა ახლობელმაც კი მიგივიწყათ, ბევრმა გატკინათ გული, მაგრამ ყველა, ისინი, ვინც თქვენ გული გატკინათ, თავად დაისაჯა ღმერთისა და მართლმსაჯულების მიერ. აღიარებული ჭეშმარიტებაა: უსამართლობის ჩამდენი ადრე თუ გვიან თავად გახდება უსამართლობის მსხვერპლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ლომთათიძე, ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1990
2. როინ მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1962
3. იოსებ მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1989
4. გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 31 მაისი
5. გაზ, „აჭარა“, 2003 წ. 18 მარტი
6. რეზო თაბუკაშვილი, დოკუმენტური ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“

Tamaz Putkaradze
Zaza burkadze
Nino gogitidze

Ekvtime Takaishvili

Summary

150 years have passed since the birth of the great Georgian scientist, public man and the guardian of the Georgian national treasury. ENESCO announced 2013 to be the year of Ekvtime Takaishvili. The presented article deals with the issues related to the life and activities carried by him.

ფრიდონ ქარდავა

1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებული მასალები ბრიტანულ წყაროებში
(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

ბევრი დაწერილა და თქმულა საქართველოში 1924 წლის აჯანყების შესახებ, მრავალ შეფასებას თუ მოსაზრებას დაუვანებია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპიროც, მაგრამ ამჯერად არა ქართულ, არამედ უცხოურ, ბრიტანულ მზერას და ინფორმაციას შემოგთავაზებთ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, შეასაძლოა ჩვენთვის მიუღებელი და ცოტათი გულსატკენიც კი იყოს, მაგრამ მაინც საარქივო დოკუმენტია და ვინძლო ისტორიის უკეთ შესწავლისას უფრო დაგვეხმაროს.

ბრიტანელი დიპლომატი ბატონი რ.მ. ჰოდგსონი მოახსენებს რემსი მაკდონალდს, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს 1924 წლის 22 სექტემბერს:

წითელარმიელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ხევსურეთის 1922 წლის ამბოხების და 1924 წლის ეროვნული აჯანყების ჩახშობაში

"აჯანყება მზადდებოდა კარგა ხნის წინ, და არ წარმოადგენდა საიდუმლოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელმაც ადიარა რომ, სახელმწიფო პოლიტიკის დეპარტამენტმა ორი თვით ადრე იცოდა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ.
მე მითხრეს და - და ეს ჩანს მთლიანად სარწმუნოა - რომ აგენტ-პროვოკატორები დაკავშირებულნი იყვნენ ლიდერებთან. ასე რომ აჯანყება დაწყებისთანავე დამარცხებისთვის იყო განწირული.
სინამდვილეში ის შავი ზღვის სანაპიროს მცირე არეალს მოიცავდა, სოხუმიდან ბათუმამდე, ჭიათურასა და თბილისს. აჯანყებულები გეგმავდნენ ერთდროულად აეღოთ თბილისი, ბათუმი და სხვა ადგილები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მთელი აჯანყება ისევე ცუდად ორგა-

ნიზებული, ისევე უაზრო და უიმედო იყო როგორც რუსეთში დაწყებული სხვა ათობით აჯანყება რევოლუციიდან მოყოლებული.

ის ორგანიზებული იყო მენშევიკური პარტიის წევრებისა და ძველი მიწათმფლობელების მიერ. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ახალწვეულები, უმუშევრები, ყოფილი თეთგვარდიელები და მთიელები.

ფრაგმენტულ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა სამი თუ ოთხი დღის განმავლობაში, აჯანყებულებმა თავი შეაფარეს მთებს სადაც მათი დევნა შეუძლებელი იყო.

ეტყობა საბჭოთა პრესა მართალს წერს, როცა ამბობს, რომ აჯანყებულებთან ბრძოლებში არ მონაწილეობდა რეგულარული არმია და ის მუშებმა და გლეხებმა ჩაახშვეს."

საინტერესოა რომ ამ ბრიტანულ განწყობას ეხმიანება მიხეილ მჭედლიშვილის მოსაზრება 1924 წლის სახალხო აჯანყებასთან დაკავშირებით:

"ვიდრე აჯანყების დეტალებზე ვისაუბრებდეთ, მინდა დავსვა კითხვა, რომელიც აუცილებლად აღეძვრება მკითხველს: რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებს შორის, ან თუნდაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, რატომ მხოლოდ საქართველოში მოხდა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება და სხვაგან არსად?! მე პირადად, იმ აზრისა ვარ, რომ იგი წინასწარ, შეგნებულად შეამზადეს სტალინმა და ორჯონიკიძემ იმ მუქარის განსახორციელებლად, რომლის შესახებაც ღიად განაცხადა სტალინმა თბილისში მარცხიანი ვიზიტის შემდეგ – „საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადაიხნასო".

თუმცა ასეთი ეჭვები მხოლოდ აკნინებს ამ აჯანყების მნიშვნელობას, მითუმეტეს რომ არც ბრიტანული დოკუმენტი და არც მჭედლიშვილის მემუარები ამის დამადასტურებელ რამე წონიან ფაქტს ვერ გვაწვდის.

ალბათ დამეთანხმებით, რომ განსაკუთრებით გულსატკენი ბრიტანელის მოხსენებაში ბოლო აბზაცია, სადაც ის საბჭოთა პრესის აზრს ეთანხმება: ისტორიამ თუ არა ჩვენ ხომ ვიცით, რომ აჯანყებას ქართველი გლეხები და მუშები ვერ დაამარცხებდნენ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აჯანყება კი იყო ცუდად ორგანიზებული, მაგრამ ის ნამდვილად გამოხატავდა ქართველი ერის სურვილს და ნებას და იმიტომაც, რომ მას ქართველი ერის გმირი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. თუმცა ბრიტანულ წყაროში მოყვანილ მოსაზრებას რაღაც დონეზე აქვს გამართლება. აჯანყების ჩაქრობაში რა თქმა უნდა ქართველ პარტიულთა, ბოლშევიკთა და წითელარმიელთა წვლილი ძალიან დიდი იყო (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 201: 171)

აჯანყება დამარცხდა. ინგლისური წაყაროების მონაცემებით სიკვდილით დაისაჯა სამასიდან ათას კაცამდე. აჯანყების ორგანიზატორებს არავითარი შედეგი არ მიუღიათ იმდროინდელ პო-

ლიტიკაში, მაგრამ ბუნებრივია რომ საქართველოს პრეზიდენტი დევნილობაში, ნოე ჟორდანია, უბრალოდ არ შეეგუებოდა მარცხს, ამაოდ ხომ არ უნდა ჩაევლო საბჭოეთთან ასეთ თავგანწირულ შეტაკებას?! ესეც არ იყოს ადამიანთა ბედიც აწუხებდა და აფრინა წერილი ინგლისის ლეიბორისტებთან, პრემიერთან, გაზეთებთან და მოითხოვა ჟენევის კონფერენციას განეხილა საქართველოს საკითხი. მაგრამ მანამდე საკუთარი დიპლომატი ატყობინებდა თავის პრემიერმინისტრს რემსი მაკდონალდს:



H.7397 58

22 SEP 1924

Beau Rivage,
GENEVA.

September 18th 1924.

My dear Prime Minister,

I had a visit this morning from Mr. Tchenkeli, the Georgian Minister in France, and he appealed to me to ask you to instruct our representative at Moscow to enter a strong protest with the Soviet Government against the barbarous action which their troops are reported to be taking against the Georgians. Mr. Tchenkeli earnestly pleaded that you would do this and I promised to pass on his request to you. He handed me the enclosed letter.

I understand that the Revolutionary Tribunal has sentenced Henoch to twenty years at the next full assembly meeting (probably in January) but Tchenkeli says that you should intervene immediately on behalf of Henoch at once.

The Right Honourable
James Ramsay MacDonald M.P.,
Foreign Office.

Yours Sincerely

„ჟენევა. სასტუმრო 1924 წლის 18სექტემბერი **Beau Rivage** *ძვირფასო პრემიერ მინისტრო, ამ დილით მეწვია ბატონი ჩხენკელი, საფრანგეთში მყოფი ქართველი მინისტრი, და მევედრა გთხოვოთ თქვენ, რათა მისცეთ განკარგულება ჩვენს წარმომადგენელს მოსკოვში, განუცხადოს მკაცრი პროტესტი საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ მისი ჯარების ბარბაროსული ქმედებების გამო. ბატონ ჩხენკელს გულწრფელად სჯერა, რომ თქვენ ასე მოიქცეოდით და მე დავპირდი რომ გადმოგცემდით მის თხოვნას. მან მე ჩამაბარა წერილი რომელსაც აქვე გიგზავნით" . მაგრამ დაღონებულ პასუხს უბრუნებს რემსი დიპლომატს:*

"ვიდრე თქვენს 18 სექტემბრის გზავნილს მივიღებდი, მომივიდა ბატონი ჟორდანიას წერილი, რომელიც მოგვიწოდებს ჩავერიოთ საქართველოს საქმეში. განვიხილეთ ძალიან ფრთხილად, შეგვეძლო თუ არა რამე გაგვეკეთებინა, რათა გამოგვესწორებინა სიტუაცია საბჭოთა მთავრობისადმი არაოფიციალური პროტესტით. მე რამე იმედი მქონდეს, რომ მას ექნება რამე შედეგი, ან რომ, ვიდრე აჯანყება ჩაქრება, ის რაიმეთი შეამსუბუქებს საბჭოთა მთავრობის სისასტიკეს, ჩავერეოდი, მაგრამ სამწუხაროდ იმ დასკვნამდე მივედი რომ ერთადერი შედეგი რაც ამას მოჰყვება იქნება მოსკოვის განრისხება ყოვეგვარი სარგებელის გარეშე..."

მაინც რას წერდა ასეთს ჟორდანია, საქართველოს სვედავსილი "ხელმწიფე", იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ ხელმწიფეთ?

"მოსკოვის ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი; მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალწინ დაიწყო დამოუკიდებლობისავის მებრძოლი საქართველოს ოკუპაცია. ბოლშევიკური არმია გადმოსხდა ბათუმში და ჩადის საშინელებებს, მოსახლეობის რეპრესიებს, ხოცავს მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს; გადამწვარია სახლები, გაჩანაგებულია მთელი სოფლები. ბოლშევიკების ბარბაროსობა, მოსკოვის სიბნელე, დიდად გასცდა საქართველოს შუასაუკუნეების დამპყრობთა ველურობას. მე გთხოვთ ხმა აღიმაღლოთ მოსკოველ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის დასაცავად და

გახდეთ შუამავალნი კონფლიქტის მოგვარებაში. ნოე ჟორდანია 1924 წლის 13 სექტემბერი"

ქვეყნის სათავეში ყოფნისას საქართველოს პრეზიდენტმა როცა საქართველოს დარჩეული გენერლები და თავდადებული იუნკრები ჰყავდა და გვარდია და არმია იმედით შეჰყურებდა, მაშინ ვერა დააკ-ლო მისივე კოლეგების მიერ მართულ საბჭოთა იმპერიას და ჟენევის კონფერენციისადმი მიმართვითა და პროტესტებით, ან იმპერიასთან რას გახდებოდა, ან ჩვენს ბედკრულ ქვეყანას რას უშველიდა?!

გამოყენებული წყაროები:

1 . aWaris saarqivo sammarTvelo; fondi i- 83 t IV; saqme 725, 734, 735, 737

2. samxreT-dasavleT saqarTvelos istoriis narkvevebi, aWara, t. IV.baTumi, 2012

3. http://networkedblogs.com/eFjXd

Fridon Khardava

Materials Related to the Rebel of 1924 in British Sources

Summary

Archival supplies keep the British collections of the most important issues related to the history of Georgia. The article discusses the archival documents related to the rebel of 1924 and presents the justified conclusions.

ციური ქათამაძე

ჯვარის მამა - მარკოზ აჭარელი

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის, სამშობლოსთან მისი კულტურული კონტაქტების შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს „ჯვარის მამათა“ (ასე იწოდებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი) ვინაობისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯვარის მამათა ქრონოლოგია ჯვრის მონასტრის აღაპების, სინას მონასტრის სულთა მატიანის, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ–მინაწერების, საისტორიო საბუთების საფუძველზე შეისწავლა აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა. მის მიერ შედგენილი სია იწყება XI საუკუნით (პროხორე შავშელი) და მთავრდება XVIII ს.–ის 30–იანი წლებით (მეტრეველი, 1962:30-40). ელ. მეტრეველი იქვე მიუთითებს, რომ „ეს სია...არ შეიძლება იყოს ზუსტი...ახალი წყაროების მოპოვებით შესაძლებელი გახდება... (მისი) თანდათან შევსება, დაზუსტება და წყაროებით გამდიდრება“ (მეტრეველი, 1962:41)

ამ მიმართულებით ქართველი მკვლევარები აგრძელებენ მუშაობას და მართლაც არაერთი უცნობი ჯვარის მამის გამოვლენა გახდა შესაძლებელი (მიქაძე, 1971:236-241; სულაძე, წიწუაშვილი, 1991:16; ტუღუში, 1998:32-36; ხუციშვილი, 1998: ქათამაძე, 2000:99-103). ჯვარის მამათა ზემოხსენებულ სიაში მე 17 ს.–ის შუა წლებიდან მოღვაწე წინამძღვრების ვინაობისა და ქრონოლოგიის განსაზღვრა მწირი ცნობების გამო საკმაოდაა გართულებული, მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგიერთი საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენა.

მე–17 ს.–ის 30-40-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა „წმიდა მიწის“, „წმიდა ქალაქის“ ქართული ეკლესია–მონასტრების და, განსაკუთრებით, ჯვრის მონასტრის აღდგენას, განახლებასა და მოხატვას; ქართული ხელნაწერების გადაწერასა და „ახლად შეკაზმვას“. ამ მიმართულებით მუშაობა გააქტიურდა ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დიპლომატის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახი) ჯვარის მამობის წლებში (1643-1649 წწ.), რომელსაც შემოკრებილი ჰყავდა საეკლესიო პირთა, მწერალთა და გადამწერთა მთელი დასი. იმ პერიოდის იერუსალიმური ხელნაწერები, ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნი თუ ეპიგრაფიკული წარწერები ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გვერდით იხსენიებენ ქართული საკრებულოს წევრებს: თეოდორე მანგლელს, გრიგოლ დიაკონს, მღვდელ–მონაზონ მარკოზსა და სხვებს. ჯვარის მამა ნიკოლოზის აქტიური თანამოღვაწე ჩანს გრიგოლ დიაკონი, რომელსაც წინამძღვრის ბრძანებით „ახლად შეუკაზმავს“ მე–11 ს.–ის „თვენი“ (H–2339. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1949:233-234). ამ ხელნაწერის ანდერძ–მინაწერებში დაცული ცნობები საყურადღებო მასალას გვაწვდის ჯვრის მონასტრის

მდგომარეობის, მისი განახლების, ჯვარის მამათა ქრონოლოგიისა და იქ მოღვაწე ქართველი მწიგნობრების სამუშაო პირობების შესახებ.

გრიგოლ დიაკონი ახსენებს შავშეთიდან მოსულ სიმონ მღვდელს, რომელსაც ხელნაწერის „შესამოსად " გაუღია შეწირულობა. ამავე ხელნაწერის მინაწერიდან ვეცნობით სამხრეთ საქართველოს მკვიდრს მარკოზ სამცხელს. „...მას ჟამსა ოდეს წარვიდა მეუფე ჩემი ...ჯვარის მამაი ნიკიფორე იერუსალიმით საქართველოში...(1649 წ.)...მის წილ წარმოგზავნა წინამძღვრად მღვდელ–მონაზონი მარკოზი, სწავლული და წმიდა, ღირსი ყოვლისა პატივისა. უკეთუ იკითხოთ ნათესაობით, იყო ქუეყნით სამცხით აწ ვით მეცა..." ირკვევა, რომ ნიკიფორეს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჯვრის მონასტრის წინამძღვრად გაუგზავნია „სწავლული და ყოვლად ღირსეული" მღვდელ–მონაზონი მარკოზ სამცხელი. მას კარგად იცნობს და აფასებს ჯვარის მამა ნიკიფორე , ამიტომ გზავნის „ თავის წილ" იერუსალიმში. ამ ცნობის საფუძველზე ელ. მეტრეველი ჯვარის მამათა სიაში მარკოზს ნიკიფორეს (1643-1649 წწ.) შემდეგ ათავსებს (მეტრეველი, 1962:40). სხვა მხრივ, მარკოზ სამცხელის პიროვნება და მოღვაწეობა სპეციალურად არავის უკვლევია.

მღვდელ–მონაზონი მარკოზი იხსენიება ნიკიფორეს ჯვარის მამობის დროს გაჩენილ აღაპებშიც (მეტრეველი, 1962:71,83,87,88). შეიძლება მარკოზი 1649 წლამდეც იყო იერუსალიმში, ანდა გამორიცხული არ არის ეს აღაპები (ზოგიერთი მაინც) დაწერილი იყოს ნიკიფორეს სახელით მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ. მსგავსი ფაქტი რომ შეიძლება მომხდარიყო, ამას ადასტურებს თეოდორე მანგლელ–რევიშვილის მიერ 1653 წელს ნიკიფორეს სახელით შედგენილი ანდერძი (შ-1676. მეტრეველი, 1962:66), რომელშიც სხვებთან ერთად იხსენიება „მღვდელ–მონაზონი მარკოზ". როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია გარკვეული, ეს ანდერძი შედგენილია წინასწარი განზრახვით, რათა მონასტრის მომხატველთა შორის დასახელებული ყოფილიყვნენ თეოდორე და კრებულის კიდევ რამდენიმე წევრი (მათ შორის მღვდელ–მონაზონი მარკოზი). უდაოა, რომ თეოდორეს ანდერძში (1653 წ.) მოხსენიებული მღვდელ–მონაზონი მარკოზი და ნიკიფორეს მიერ 1649 წელს საქართველოდან წარგზავნილი მარკოზ სამცხელი ერთი და იგივე პიროვნებაა. ხოლო თეოდორეს მიერ თავის ანდერძში მარკოზის ჯვრის წინამძღვრად მოუხსენებლობა, ბუნებრივია, რადგან ანდერძი ჯვარის მამა ნიკიფორეს სახელით იწერებოდა. თუ დავუშვებთ, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული „მღვდელ–მონაზონი მარკოზი", „კირ–მარკოზი" იგივე მარკოზ სამცხელია, მაშინ ის ნიკიფორეს ჯვარის მამობის (1643-1649) წლებშიც უნდა ყოფილიყო იერუსალიმში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის წყაროები საქართველოში მოღვაწეთა შორის არ ასახელებს მარკოზ სამცხელს, მაგრამ მე–17 ს.–ის 30–იან წლებში ცნობილია მღვდელ–მონაზონი „კაცი ღირსი" მარკოზ აჭარელი (მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, 1951:340). ბიოგ-

რაფიული ცნობები მის შესახებ ძალიან მწირია. მარკოზის მიერ გადაწერილი ვრცელი აგიოგრაფიულ–აპოკრიფული კრებულის (H–972) მინაწერიდან ვგებულობთ, რომ „დავწერე წმიდა ესე და სულითა განმანათლებელი წიგნი მე, ფრიად ცოდვილმან, სახითა ოდენ მღვდელ–მონაზონმან, საქმითა ყოვლისა კეთილისაგან უცხომან, აჭარელმან მარკოზ. აღვწერე არა თავხედობით, არცა მწერლობა ვიცოდი, არც სხვა წიგნი დამეწერა...არამედ რომლისა შემძლებელ ვიყავ, მორჩილება აღვასრულე მეუფისა და უფლისა ჩვენისა ტფილელი მთავარეპისკოპოზისა ელისესი“. ამ წყაროს შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს რ. სურმანიძემ (სურმანიძე, 1967, 1978:173-185) და ი. სიხარულიძემ (სიხარულიძე, 1977:4).

ხელნაწერის მინაწერით ირკვევა, რომ მარკოზ აჭარელი საკმაოდ თავმდაბალი ქართველი მწიგნობარია, რომელსაც ელისე თბილელის ((საგინაშვილი)–1628-1659 წწ.)) (ჯანდიერი, 1971:337) დავალებით 1639 წელს („დაიწერა ესე წიგნი...ქორონიკონსა ტკზ“) გადაუწერია ვრცელი კრებული. მასში შესულია: იოანე ღვთისმეტყველის; წმიდა დედათა: თეოდორას, მარიამ ეგვიპტელის, ტასიას, ეფროსინეს, ეკატერინეს ცხოვრებანი. მარკოზ აჭარელი დაახლოებული ჩანს ქართლის დედოფალ მარიამთან, რომლის „შეწევნითა და მეოხებით“ დამზადდა ზემოაღნიშნული კრებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მარკოზ აჭარელი იმავე 1639 წელს ახლად აღდგენილი გარეჯის მონასტრის წინამძღვრად დაუდგენიათ (სურმანიძე, 1978:173-185).

საისტორიო წყაროების ჩვენებათა საფუძველზე, მარკოზ აჭარელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: მარკოზ აჭარელი, რომ სამხრეთ საქართველოდან–აჭარიდან, ოსმალთა მოძალებას გაჰქცევია, ეს ეჭვს არ იწვევს. „ის გარემოება, რომ მარკოზი ასე ხაზგასმით აღნიშნავს თავის სადაურობას, მშობლიური კუთხიდან მის ლტოლვილებას გვავარაუდებინებს (სიხარულიძე, 1977:4). მართლაც, მემატიანის ცნობით, „სამცხიდან რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ივლტოდიან ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას...წარაქუნდათ ხატნი, ჯვარნი და წმიდათა ნაწილნი“ (ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:728). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარკოზ აჭარელმა გურიელთა კარს შეაფარა თავი, აქედან კი მარიამ დადიანს გააყოლეს ოდიშში 1625 წელს, ან 1633 წელს, როცა მარიამი ქართლის დედოფალი გახდა, მის მრავალრიცხოვან ამალაში (Горгиджанидзе, 1990:89-90) სხვა სასულიერო პირებთან ერთად შედიოდა მარკოზ აჭარელი. არ არის გამორიცხული, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი და ელისე თბილელი, რომლებიც შუამავლობდნენ ლევან დადიანსა და როსტომ მეფეს შორის (მილანელი, 1964:4), ამ დროს გაიცნობდნენ მარკოზსაც.

მე–17 ს.–ის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მარკოზ აჭარელი მოღვაწეობს ქართლის სამეფო კარზე, სადაც ქართული კულტურის საგანძურის გადარჩენის მიზნით მარიამ დედოფალი თავის გარშემო იკრებდა საზოგადოების ღირსეულ და განათლებულ ნაწილს.

მას ამ ეროვნულ საქმეში გვერდით ედგა ელისე თბილელი, რომლის დაახლოებულ სასულიერო პირთა შორისაა მარკოზ აჭარელიც. სავარაუდოა, რომ მას ზემოხსენებული კრებულის გარდა გადაეწერა სხვა ნუსხებიც (სურმანიძე, 1991:4), მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა–ძიებაა საჭირო.

მარკოზ აჭარელის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შემდგომი ეტაპის გასარკვევად უკვე მნიშვნელოვანია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წერილობითი თუ ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც, ვფიქრობთ, ადასტურებენ მარკოზ აჭარელისა და მარკოზ სამცხელის იგივეობას. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი საქართველოშივე იცნობდა მარკოზს, , რომელმაც სახელი გაითქვა თავისი სიწმიდით, სასულიერო და შესაძლოა ორგანიზატორული მოღვაწეობითაც და, როცა ნიკოლოზი სამშობლოში ბრუნდება „თავის წილ“ იერუსალიმში გზავნის მარკოზ აჭარელს, ალბათ, მარიამ დედოფლისა და ელისე თბილელის რეკომენდაციითაც. იერუსალიმში „ჯვარის მამად“ დაწინაურებული მარკოზ აჭარელი იწოდება–სამცხელად. ეს ბუნებრივიცაა, აჭარა საუკუნეთა განმავლობაში სამხრეთ საქართველოს–სამცხის ორგანული ნაწილი იყო.

იერუსალიმში მარკოზ აჭარელის მოღვაწეობის შესახებ ცნობები ძალიან მწირია (მათზე ზემოთ ვისაუბრეთ მარკოზ სამცხელთან დაკავშირებით). უნდა ვიფიქროთ, რომ ის ჩვეული გულმოდგინებით გააგრძელებდა საქმიანობას, თუმცა ამის საშუალება მაინცადამაინც აღარ ექნებოდა, რადგან ნიკიფორეს ჯვარიდან წამოსვლის შემდეგ ქართული საკრებულო კიდევ უფრო კნინდება, ხოლო მის წევრებს მოღვაწეობა უხდებათ აუტანელი ეკონომიკური სიდუხჭირის, ოსმალო მოხელეთა თვითნებობისა და მევალეთა შემოტევის პირობებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული არ არის მარკოზ აჭარელის შემდგომი ბედი. თუმცა მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II (1669-1707 წწ.), რომელიც საქართველოშიც იყო ნამყოფი, იცნობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს და ქართველთა საქმიანობას იერუსალიმში კუთვნილი ეკლესია–მონასტრების შესანარჩუნებლად. დოსითეოსის ცნობით: „გაბრიელმა, რომელიც ნიკოლოზმა დატოვა ჯვრის მონასტრის მმართველად ბევრი ვალი დაადო მონასტერს, რომლის დასაფარად ნიკოლოზმა ვინმე მარკუსის ხელით მას ფული გაუგზავნა...(1658 წელს)..გაბრიელი ამ ფულის მისაღებად წავიდა იაფაში, მაგრამ ვიღაც ნესტორიანელმა მარკუსი მოდალატურად ჩააგდო ზღვაში და ფული მიითვისა“ (Селезнев, 1847:31,39). ხომ არ არის ნიკოლოზის გაგზავნილი მარკუსი იგივე მარკოზ აჭარელი? თუ ასეა, მაშინ მე–17 ს.–ის შუა ხანებში მარკოზი ბრუნდება საქართველოში, ორიოდე წლის შემდეგ კი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორეს) მიერ შეგროვილი სახსრებით (შარდენი, 1975:199,384) იერუსალიმს მიემგზავრება, მაგრამ ბედმა უმუხთლა და მისი სიცოცხლეც ტრაგიკულად დასრულდა

პალესტინის ქართველთა ამ უდიდესი სიწმიდის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მე–17 ს.–ის 40–იანი წლების მიწურულს (1649 წ.) ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის რეკომენდაციით საქართველოში თავისი საქმიანობით ცნობილი და „ყოველი პატივის ღირსი“ მღვდელ–მონაზონი მარკოზ აჭარელი სამოღვაწეოდ გადადის იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრში–ჯვრის მონასტერში, სადაც ის წინამძღვრად–ჯვარის მამად–დაწინაურდა. იერუსალიმში მარკოზ აჭარელი ცნობილია მარკოზ სამცხელის სახელით. მისი წინამძღვრობა შეიძლება განისაზღვროს 1649-1653/54 წლებით. ხოლო თუ გავიზიარებთ მოსაზრებას მარკოზ–მარკუსის იგივეობის შესახებ, მაშინ მარკოზ აჭარელი 1658 წლისათვის კიდევ ჩანს იერუსალიმისაკენ მიმავალი. ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა–ძიება ახალი შტრიხებით გაამდიდრებს ქართული კულტურის, ეროვნული საქმის ღირსეული მოამაგის – მარკოზ აჭარელის საზოგადოებისათვის არცთუ საკმაოდ ცნობილ სახელს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ცხ. ტ. IV. თბ., 1973
2. Горгиджанидзе П., История Грузии , Тб., 1990
3. მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის თბ., 1962
4. მილანელი ჯ., წერილები საქართველოზე, თბ., 1964
5. მიქაძე., იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, ქართული წყროთმცოდნეობა, ტ. III. თბ., 1971
6. –972, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.II. თბ.,1951
7. Селезнев М, Руководство к познанию Кавказа, СПб, 1847
8. სიხარულიძე ი., XVII ს.–ის გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი, „საბჭოთა აჭარა“,№3, 1977
9. სულაძე ო., წიწუაშვილი., ქართველები იერუსალიმში XVI ს. სამი არაბული
   დოკუმენტის მიხედვით, თბ., 1991
10. სურმანიძე რ., ვინ იყო მარკოზ აჭარელი? „კოლექტიური შრომა“, ბათუმი, 1967; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. IX. ბათუმი, 1978 გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 06.02. 1991
11. ტუღუში აბ., გაბრიელ გეგენავა–უცნობი ჯვარის მამა, „საქართველო“№4. თბ.,1998

12 .ქათამაძე ც., ჯვარის მამათა ქრონოლოგია XVII-XIX სს.–ში, „ლიტერატურული აჭარა“ №6, ბათუმი, 2000
13. –2339, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V. თბ., 1949
14. შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975
15. ხუციშვილი ნ., ჯვარის მამების რიგი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №4.თბ.,1998
16. ჯანდიერი გ., XVII ს. საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, მრავალთავი, I. თბ., 1971

Tsiuri Khatamadze

Markoz Ajareli

Summary

Based on the analysis of the historical sources in Ashromy it can be concluded that Markoz Ajarali “The farther of Jvari Monastery”, promoted on the position of the prior in Jvari Monastery in the centre of the Georgian colony of Jerusalem in the mid of the 17th century, and Markoz Ajarali, the important figure at the Kingdom of Kartli in 30-40-s of the 17th century, were one and the same person. The monk Markoz Ajareli was promoted on the position of the prior of Jvari Monastery based on the recommendation of Nikoloz Cholokashvili and 1649-1653/54 can be considered to be the period of his being “‘The Father of Jvari”.

ოთარ გოგოლიშვილი

სახალხო მილიცია აჭარაში XIX ს-ის დასასრულსა და XX საუკუნის 20-30-იან წლებში

ბოლო წლებამდე საქართველოში (სსრკ-შიც) პოლიციას მილიცია (ლათ. მხედრობა) ეწოდებოდა. სავარაუდოა. ამ მნიშვნელობის გამო ქართულ სახალხო ლაშქარს „მილიცია უწოდეს".

მილიცია - გერმანულადაც და ბერძნულადაც ნიშნავს სახელმწიფო მართვას, ადმინისტრაციას. პოლიცია იყო ორი სახის: პოლიტიკური პოლიცია ანუ საიდუმლო პოლიცია - ჟანდარმერია და პოლიცია, რომელიც ებრძვის სისხლის სამართლის დანაშაულობებს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ითვლებოდა, რომ სახალხო პოლიციის შექმნის იდეა თითქოს პირველებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა 1868 წელს წამოაყენეს, ხოლო ეს იდეა ცხოვრებაში პრაქტიკულად განახორციელეს პარიზის კომუნარებმა 1871 წლის გაზაფხულზე, რომლებსაც გაუუქმებია რეგულარული არმია, პოლიცია და შეუქმნიათ საყოველთაო სახალხო მილიცია (ქსე, ტ. VI, 1983:698)

ქართული პოლიცია, ეს იყო ძველი ფეოდალური ლაშქარი. ქართული მილიცია პირველად 1803 წელს შეუკრებია გენერალ ციციანოვს (ციციშვილს), რომელსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია ჭარ - ბელაქანზე ლაშქრობაში, შემდეგ რუსეთ - ირანის 1804 – 1813 წელს, რუსეთ - თურქეთის 1806 – 1812 და 1828 -1829 წლების ბრძოლებში.

ქართული მილიციის ფორმირებაში ოფიციალური პირები არ მონაწილეობდნენ. მთავრობა რომელიმე ადგილობრივ პირს დაავალებდა მილიციის შეკრებას და ისიც მითითების თანახმად მოქმედებდა. ცნობილია, რომ პირველი ქართული მილიციის ლეგიონის მეთაურად იასე ანდრონიკაშვილი დაინიშნა.ეს ლეგიონი შემდეგ გახდა სახელოვან ქართველ სამხედრო მოღვაწეთა სამჭედლოდ. პირველი საბრძოლო ნათლობა ლეგიონმა ჭარ - ბელაქანში მიიღო. იგი ღირსეულად იცავდა ამ მხარეს მილიციის ამ ლეგიონმა ასე იარსება 1849 წლამდე. შემდეგ იგი დრუჟინად გადააკეთეს შემუშავდა ახალი დებულება რომლის თანახმად ლეგიონი თითქმის რეგულარულ ნაწილებს უთანაბრდებოდა და მილიციაში სამსახური მოსახლეობის ყველა ფენას ევალებოდა [ქსე, ტ. VIII, 1984:143].

მაღალი წოდების პირები ცალკე შენაერთებს ქმნიდა, ხშირად ისინი დაბალ ფენებთანაც ერთიანდებოდნენ.მთავრობა არ ერეოდა გაწვევისა და ნაწილების ორგანიზაციის საკითხებში.

ქართველი ფეოდალები ჰქმნიდნენ ადგილობრივი მილიციის რაზმებს, რომელთაც თავიანთი ხარჯით აღჭურავდნენ.

მილიციას ჰქონდა ტერიტორიული შეიარაღებული ძალის ხასიათი. ყალიბდებოდა ასეულები, რაზმები და რაზმეულები, ქვეითი, ცხენოსანი, მუდმივი და დროებითი რაზმები. მილიციის ასეთმა რაზმებმა თანდათანობით მიიღო მუდმივი ხასიათი ერთ - ერთი ასეთი რაზმი

გახდა ქართული პოლკის ნაწილი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთ - თურქეთის 1877 – 1878 წლეების ომში.

გურიის მილიციის ლაშქარში ქართველი მაჰმადიანების ჩარიცხვას ეწინააღმდეგებოდა და სასტიკად სჯიდა ადგილობრივი - ოსმალეთის ხელისუფლება. აწიოკებდნენ ოჯახებს, უწვავდნენ სახლ - კარს და სხვა. ასეთი ბედი ხვდა წილად ახმედ იმნაიშვილს. იგი ციხისძირთან იბრძოდა გურიის მილიციის ნაწილებში. ახმედ იმნაიშვილს ბრძოლის ველიდან დაჭრილი გენერალი გამოუყვანია და ჯილდოდ ჯვარი დაუმსახურებია.

1829 წელს გურიის მოსახლეობიაგან 1 300 კაციანი მილიციის რაზმი შეკრიბა და გურიის საზღვართან გამაგრდა. მილიციელთა რაზმი გენერალ იესეს 2 500 კაციან ჯართან ერთად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ. ამავე წრის 5 მილიციონერი შეუმჩნევლად შევიდა მტრის ზურგში, მოულოდნელად ცეცხლი გახსნა და რუსეთის არმიასთან ერთად იერიში მიიტანა ოსმალთა ბანაკზე. ბრძოლა ოსმალთა განდგურებით დამთავრდა.

ამ ბრძოლაში თავი ისახელა გურიის მილიციამ „გურულების მიერ ამ საქმეში გამოჩენილი მამაცობა და გულადობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებსო," - წერდა რუსეთის სარდლობა. ამ ბრძოლებისათვის რუსეთის მთავრობამ გურიის პოლიციის რაზმს დროშა უბოძა, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფი რაზმებში (ქსე, ტ. VI, 1983:698)

1853 წლის 7 ნოემბერს ოსმალების 3 ათასიანი კაცისგან შემდგარი რაზმი თავს დაესხა ჩოლოქის საგუშაგოს და ლიხაურის მიმართულებით გურიაში შეჭრა მოინდომა. ადგილობრივმა მილიციამ უკუაგდო ოსმალები საზღვრიდან 6 კილომეტრს იქეთ განდევნა.

აჭარასა და გურიას შორის ურთიერთობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი, სასტიკი საქმიანობისა, იგი არ წყდებოდა. დიმიტრი ბაქრაძის ცნობების თანახმად, აჭარელი „ადვილად მოგასწავლის თავის გვარეულობას, იმერეთში ან გურიაში მხოლოდ სარწმუნოება ასხვავებს ჩურუქსუელებს ჩვენი ქართველებისაგან".

ყირიმის ომის დროს (1853 წლის 14 ივლისი) პირველი ცეცხლი კავკასიაში გაიხსნა.16 ნოემბერს, ღამით 5 000-იანი დესანტი გადმოსხეს სოფელ შეკვეთილთან ალიბეგ თავდგირიძის მეთაურობით. აქ რუსეთის არმიის მხოლოდ 2 ასეული და გურიის მილიციის 345 კაციანი ნაწილი იდგა. რომელთაც თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ მხოლოდ ორი ქვემეხი.რუსეთის არმიის ნაწილებს კაპიტანი შერბაკოვი მეთაურობდა, ხოლო გურიის მილიციას გრიგოლ გურიელი. სიკვდილის წინ გურიელმა განაცხადა: „ნუ ფიქრობთ ჩემზე, ჩემი სიკვდილი ერთი კაცის სიკვდილია. გაამართლეთ ნდობა, დაამტკიცეთ, რომ თქვენ ის გურულები ხართ, რომელთა მიწაც ყოველთვის ოსმალების სამარე იყო" (მეგრელიძე შ., 1963:127).

1854 წლის ივნისში ბრძოლები მოხდა მდინარე ჩოლოქთან, ამ ბრძოლებში თავი ისახელეს ასეულის მეთაურმა ნ. ჭავჭავაძემ, მისმა

თანაშემწემ მიხეილ ერისთავმა, პოლკოვნიკმა მიხეილ ჯანდიერმა, იმერეთის მილიციის ასეულის უფროსმა მ. ციციშვილმა, მოხუცმა ქაიხოსრო მიქელაძემ, ცხენოსანი მილიციის უფროსმა კაპიტანმა წულუკიძემ, გურიის ცხენოსანი მილიციის მეთაურმა თავდგირიძემ, მაჭავარიანმა.

1855 წელს გურიის მილიცია დასავლეთ საქართველოს იცავდა აჭარის მხრიდან. ქართული მილიცია აქტიურად ჩაება ომში. მათი შიშით ოსმალები იძულებული გახდნენ ქობულეთის დასაცავად გაემაგრებინათ ლეღვა- ოჩხამურის საგუშაგოები. ოსმალებმა თითო საგუშაგოზე 2 000 კაცი დააყენეს.1855 წლის 19 იანვარს ქართული მილიცია თავს დაესხა ლეღვას და ბანაკი გაანადგურა.

ახლოვდებოდა რუსეთ - თურქეთის 1877 – 1878 წლების ომი. 1876 წლის ნოემბერში კავკასიის არმიის ხელმძღვანელობით დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაცია და მილიციის რაზმების ჩამოყალიბება, რომელიც ომის ბოლომდე გრძელდებოდა (მეგრელიძე შ., 1963:127).

ქართველებისაგან ჩამოყალიბდა 37 საბრძოლო ერთეული, რომელშიც შედიოდა 102 ასეული, 18 395 კაცისგან შემდგარი, აქედან 15 ცხენოსანი ასეული იყო. ამ ომში ქართველი ხალხი მონაწილეობას ღებულობდა მილიციის ჯარის სახით. ეს იყო მეტწილად არსებული სახალხო ლაშქრის თავისებური სახე. ცარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი მილიციის გამოყენებას ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში (მეგრელიძე შ., 1963:61).

ქართველი მილიციელები კარგად იცნობდნენ საბრძოლო ადგილებს, ადგილობრივ მოსახლეობას და ამიტომ წინა ხაზზე იბრძოდნენ. რეგულარული ჯარის ნაწილებთან შედარებით მილიციელთა ლაშქრის ორგანიზაციის თავისებურებამ ხელი არ შეუშალა მათ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ საერთო მტერთან ბრძოლაში (მეგრელიძე შ., 1963:91).

ქართველ მილიციელთა გმირობაზე დაწვრილებით ცნობებს იძლევა ი. მაკაევი (მაყაშვილი), რომელიც რუსეთ - თურქეთის 1877 – 1878 წლეების ომის დროს გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროსი იყო. მისი ხელმძღვანელობით ქართველ მილიციელებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი ბძოლებში. ბევრი მათგანი ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებული იყვნენ მედლებით და ორდენებით. მაგ. კ. შარაშიძე ციხისძირთან ბრძოლების დროს გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ორდენით. სიკვდილის წინ მან შვილს უთხრა: შვილებო, იცხოვრეთ და გაიხარეთ დიდხანს ჩემს მიერ გათავისუფლებულ ბათუმში) (გაზ. „ივერია", 1877 წ, 14 ივლისი).

14 აპრილს ქობულეთის მილიციის რაზმი თურქეთის ძლიერ შეტევაში მოხვდა სოფ. ხუცუბნის მისადგომებთან. რაზმმა ვერ შეძლო წინ წასულიყო, მაშინ გენერალ - ლეინტენანტმა ოკლობჟიომ გამოიძახა გურიის მილიციის დრუჟინის მეოთხე ასეული პორუჩიკ ი. მაკაევის მეთაურობით, უბრძანა დაეკავებინათ სოფელი და აღემართათ დროშა. სოფელი მალე დაიკავეს მილიციელებმა და მადლობა დაიმსახურეს.

მუხაისტატეს დაკავების შემდეგ ქობულეთელი აღა ჭყონია თავის თანამზრახველებთან ერთად გამოაცხადდა დრუჟინის მეთაურ გურიელთან და განუცხადა მას, რომ გადმოდიან მათ მხარეზე თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მის მაგალითს მალე 150 ქობულეთელმა მიბაძა.

1878 წლის გაზაფხულიდან გახშირდა შეიარაღებული ბანდიტების თავხედური მოქმედება. ისინი გამოჩნდნენ ბათუმის ახლო მიდამოებში, ჩაქვსა და ციხისძირში, სადაც კლავდნენ ადგილობრივ მილიციელებს.

ბათუმის ოლქში წესრიგის დაცვის მიზნით შეიქმნა ადგილობრივი მილიცია. მილიციის მიერ შექმნილი ასეულები ემსახურებოდნენ ძირითადად რუსეთის იმპერიის ზრახვებს (ბაქრაძე დ., 1983: 29).

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ლიკვიდირებულ იქნა მეფის ხელისუფლება, პოლიცია და ჟანდარმერია. დროებითმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ე. წ. „სახალხო მილიციის" შექმნის შესახებ. 1917 წლის თებერვალში მოსკოვში შეიქმნა ქართული მილიციის რაზმები. თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველი სტუდენტები შეიკრიბნენ კრემლში, მათ შეიტყვეს შავრაზმელების განზრახვა იარაღის საწყობის ხელში ჩაგდების შესახებ. ქართველმა სტუდნტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მათ (БАТУМИ и его окресности, 1906:134)

მოსკოვის ქართული მილიციის რაზმები მ. ჟღენტის, მ. ჩხეიძის, ა. კანდელაკის, მ. ჩერგოშვილის, კ. გობეჯიშვილის, ვ. ფანიაშვილის და სხვათა მეთაურობით პირველად ასრულებდნენ საბჭოების გადაწყვეტილებებს. დროებითმა მთავრობამ იგი დაშალა.

ფაქტიურად სახალხო მილიციას ყოფილი ჟანდარმერიის და პოლიციის მოხელეები განაგებდნენ. ამავე დროს ბოლშევიკები რუსეთის მშრომელი მასისგან ჰქმნიდა თავის მუშურ - გლეხურ პოლიციას, რომელსაც საბჭოები ხელმღვანელობდნენ.

რუსეთში თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ (1917 წ) საქართველოს ბოლშევიკებმა მტკიცედ გადაწყვიტეს შეექმნათ პროლეტარული მილიცია. 1917 წლის 10 მარტს თბილისის პროლეტარიატმა განაიარაღა ქალაქის პოლიცია, დაიკავა ყველა საბოქაულო და შექმნა თბილისის წითელი რევოლუციური მილიცია. მიუხედავად ამისა მთლიანად იქნა შენარჩუნებული პოლიცია, მას მხოლოდ სახელი შეეცვალა (ბურჭულაძე ე., 1906 :135).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ 1919 წლის 28 იანვარს გამოცემული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემის" შესახებ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ქართული მილიციის სტრუქტურა, მოვალეობა და უფლებები.

1918 წლის 2 აგვისტოს კანონის მიხედვით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შ/ს სამინისტრო, რომელსაც დაექვემდებარა არსებული სახალხო მილიციის ასეულები. ხოლო 1919 წლის 30

იანვრის კანონის მიხედვით შ/ს სამინისტროს დაექვემდებარა აგრეთვე თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო მფრინავი რაზმები; დაარსდა შ/ს სამინისტროსთან ადმინისტრაციული ინსპექტორის თანამდებობა (ბურჭულაძე ე., 1906 :135).

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია მოახდინა - დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ხელისუფლების სხვა ორგანოების ფორმირებასთან ერთად იქმნებოდა საქართველოს მუშურ - გლეხური მილიცია. 1921 წლის 26 თებერვალს შეიქმნა კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისია.

საქართვფელოს მუშურ - გლეხურ მილიციას არ ჰქონდა მუშაობის გამოცდილება, არ არსებობდა საკანონმდებლო აქტი, ამიტომ საჭირო გახდა რუსეთის საბჭოთა მილიციის მიერ უკვე მიღებული გამოცდილების გაცნობა და გაზიარება.

1921 წლის 20 აპრილს რევკომმა მიიღო დეკრეტი „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ".

ამ დეკრეტით მუშათა და გლეხთა მილიციის შემადგენლობაში შევიდა: ა) ქალაქისა და მაზრის მილიცია; ბ) რკინიგზის მილიცია; გ) წყლის მილიცია; დ) სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია (ახვლედიანი ხ., 1978:144).

დეკრეტმა მილიციაში დანერგა წითელ არმიაში მოქმედი წესები. სამხედრო დისციპლინა და სამხედრო გაწვრთნილობის შემოღება. შემოღებული იქნა სპეციალური ფორმები და განსხვავებული ნიშნები, რომელთა ტარება სავალდებულო იყო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. შ/ს სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა მილიციის მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი ითვლებოდა შ/ს სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

1921 წლის 5 მაისს საქართველოს სსრ შ/ს სახალხო კომოსარიატმა დაამტკიცა ინსტრუქცია „ საქართველოს სსრ - ში მთავარი მაზრის, ქალაქისა და რაიონის მუშათა და გლეხთა მილიციის მმართველობის მოწყობის შესახებ".

ინსტრუქცია 35 მუხლისგან შედგებოდა, რომელიც ავალებდა მილიციის მუშაკებს მიეღოთ ქმედითი ზომები აჯანყების მღელვარების, დანაშულობათა და წესრიგის დარღვევათა ასაცილებლად. პროფილაქტიკურ - გამაფრთხილებელ ღონისძიებათა გასატარებლად.

1921 წლის 5 აპრილს ბათუმის რევკომის მართველობამ გამოუშვა ბრძანება „ბათუმის ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს მოწყობის შესახებ". დამტკიცდა მილიციის სამმართელოსა და რაიონების მილიციათა საშტატო ერთეულები. ბათუმის ოლქის მილიციის პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 312 კაცით და მილიციის მარქაფი 112 კაცის შემადგენლობით. (ახვლედიანი ხ., 1978:146).

ამავე დროს ბათუმის ოლქის შ/ს მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება აჭარაში მილიციის რაიონული ორგანოების შექმნის შესახებ. შეიქმნა: კინტრიშის რაიონული მილიცია (ცენტრი ქობულეთში) ; ბათუმის რაიონული მილიცია (ცენტრი გოროდოკში); გონიოს მილიცია

(ცენტრი მარადიდში); ზედა აჭარის მილიცია (ცენტრი ხულოში); ქვედა აჭარის მილიცია (ცენტრი ქედაში).

ბათუმის ოლქის ახალშექმნილ მილიციას მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში 1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, თურქი ოკუპანტები ყოველნაირად იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის შესანარჩუნებლად. ქემალისტებმა აჭარა თავიანთ ტერიტორიად გამოაცხადეს (მეგრელიძე შ., 1958: 51).

ქემალისტებმა დაიწყეს ხალხის მოსყიდვა, რომელსაც ჯამაგირის სახით ან ერთდროული დახმარების სახით იძლეოდნენ. ისინი ძირითადად ხოჯა - მოლების საშუალებით მოქმედებდნენ.

ხოჯები, ქემალისტები და სხვა პანთურქისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. მაგ. ქედაში ფაქტიურად მოქმედებდა ორი მილიცია - ერთი ქემალისტური, მეორე ე.წ მენშევიკური 1921 წლის 19-21 სექტემბერს ქედაში მოეწყო აჯანყება. 21 სექტემბერს აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა. მისი ორგანიზატორები, აქტიური მონაწილეები და ქედის რაიმილიციის უფროსი თავისი 30 მილიციელით თურქეთში გაიქცნენ. ქემალისტებმა ვერ შეძლეს მოსახლეობის მოსყიდვა (მეგრელიძე შ., 1963:56).

1921 წლის 25 ნოემბერს საქართველოს რევკომმა გაითვალისწინა რა საქართველოს შავი ზღვისპირა ქალაქებში - ბათუმში, ფოთსა და სოხუმში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში მილიციის მუშაობის სპეციფიურობა, მიიღო დადგენილება სანავსადგურო მილიციის შექმნის შესახებ.

მუშურ - გლეხური მილიციის რიგების შევსება, როგორც სრულიად საქართველოში, ასევე აჭარაშიც მოხალისეთა საწყისებზე მიმდინარეობდა. მათი სამსახური ერთი წლით განისაზღვრებოდა. მათი მატერიალური მდგომარეობა აუტანელი იყო (მეგრელიძე შ., 1963:52-54).

1922 წლის 20 იანვარს მიღებული იქნა საქართველოს რევკომის დეკრეტი „რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ", რომელმაც განსაზღვრა მილიციის მუშაკთა უფლება მოვალეობანი, პირადი შემადგენლობის შევსების, თანამდებობაზე დანიშვნის, გადაყვანის და გადაყენების წესი.

მიღებული იქნა მუშურ - გლეხური მილიციის ფიცი.: „მე შვილი მშრომელთა ხალხისა, ვდგები რა ნებაყოფლობით მუშათა და გლეხთა მილიციის რიგებში, ვსდებ ამ ხელწერილს, მასში რომ მილიციის სამსახურში ყოფნის დროს მე მოვალე ვარ:

1) ვიდგე სადარაჯოზე რევოლუციონური წესწყობილებისა და კანონიერებისა.
2) დავიცვა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ინტერესები.
3) შეუბრალებლად მოვსპო ყველა გამოსვლები მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ.
4) მივეშველო, თუ საჭირო იქნა, წითელ ლაშქარსა და მეთაურთ.

5) დაუღალავად თვალყური ვადევნო მოქალაქეთა მიერ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას.
6) დავიცვა მოქალაქეთა კანონიერი უფლებანი.
7) შევასრულო ყველა სამსახურით გამოწვეული ბრძანებები და განკარგულებანი ჩემი უფროსებისა, გარდა დანაშაულებრივი ქმედობის ხასიათისა და საიდუმლოდ შევინახო ყველა ბრძანება და განკარგულება.
8) დავიცვა დისციპლინა და წესების თანახმად მუშათა და გლეხთა მილიციის სამსახურის შესახებ დებულებისა და მილიციაში მოქმედ წესდებებისა.
9) ვიყო პატიოსანი, ფხიზელი და ყველასთან ზრდილობიანი.
10) თვით შევიკავო თავი და შევაკავო ამხანაგები ისეთი საქციელიდან რომელიც სახელს უტეხავს და დაბლა სცემს მოქალაქეთა ღირსებას.
11) ვიცოდე და სწორად დავიცვა ყველა ინსტრუქციები და ბრძანებები, რომლებიც ეხებიან ჩემს სამსახურეობრივ მოვალეობას.
12) შევინახო ჩემს მიერ დასაცავად მონდობილი სახალხო ავლადიდება და ქონება ყველა მოქალაქეთა ჩემდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე.
13) გაფრთხილებით მოვეპყრა ჩემდამი გაცემულ იარაღს, ტანსაცმელს.
14) ჩემს მიერ გაცემულ, თუნდაც ერთი მოვალეობის დარღვევისათვის, როგორც პიროვნება, დაყენებული რევოლუციონერი წესიერების მეთვალყურედ, მიცემული უნდა ვიქნე პასუხისგებაში რევოლუციონური კანონიერების უღრმესი სისასტიკით.
15) მუშათა და გლეხთა საბჭოთა მილიციაში ვიმსახურო 1 წელი .

1924 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სახლკომსაბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სისხლის სამმართველოს მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ". დადგენილებამ განსაზღვრა სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციის მუშაკთა უფლება - მოვალეობანი, მათი დამოკიდებულება საერთო მილიციის ორგანოებთან. პასუხისმგებლობა დაკისრებული მივალეობის შესრულების დროს.

1925 წლის 25 ივლისს საქართველოს ცაკ - მა შემოიღო მილიციის დისციპლინარული წესდება, რომელიც მილიციის ყველა მოსამსახურისგან მოითხოვდა სწორად შეესრულებინა უფროსის ბრძანება სამსახურეობრივი მოვალეობა და სხვ.

1925 წლის 2 ოქტომბერს ცაკ - მა და სახალო კომისართა საბჭომ შიმუშავა და მიიღო ერთობლივი დადგენილება „საუწყებო მილიციის შესახებ". მისი დაკომპლექტება, შეიარაღება, უფლება - მოვალეობანი, დაექვემდებარა დისციპლინა და სასუხისმგებლობა გავრცელდა იმავე წესით, რაც მილიციისათვის იყო გათვალისწინებული.

1922 წლის 25 აგვისტოს საქართველოს კპ ცაკ - ის პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება „ბანდიტიზმთან ბრძოლის ორგანიზაციის გეგმის შესახებ (ახვლედიანი ხ., 1978:179).

1924 წ.სექტემბერში ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მილიციის მუშაკები და ცხენოსანი კომუნარები პარტიზანულ ჯგუფებად გაერთიანდნენ და განაწილდნენ პუნქტების მიხედვით. ბათუმის ოლქში მილიციის უფროსად დაინიშნა ახობაძე, ბათუმის წყლის მილიციის უფროსად - ჟორდანია.

1921 წლის 25 ივნისს განიხილეს საკითხი სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. სპეკულაციასთან საბრძოლველად მობილიზებული იქნა მილიციის მთელი ძალები და საშუალებები, რომლებიც ააშკარავებდნენ და ავლენდნენ სპეკულანტებს, გადამალულ საქონელს, უშუალოდ მონაწილეობდნენ ძებნის საქმეში (ხვიჩია პ., 1971: 7).

1922 წელს ცენტრალური სისხლის სამართლის მილიციის სამმართველომ მოაწყო დამნაშავეთა სარეგისტრაციო ბიურო ე.წ. ბერტილიონის ოთახი. სისხლის სამართლის საქმის სპეციალისტების მოსამზადებლად შეიქმნა მოკლე ვადიანი კურსები (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამმართველოს აქტების კრებული, 1990:224).

1922 წლის 16 ოქტომბრიდან შემოღებული იქნა მილიციის მუშაკთა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება, რომლითაც შემდეგ აჭარის მილიციის არა ერთი გუშაკი დაჯილდოვდა.

სახკომსაბჭომ 1922 წლის 4 მაისს მიიღო დადგენილება „საქართველოში ლტოლვილთა მოზღვავების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". მკაცრმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო - მილიციის მუშაკები კრებდნენ ლტოლვილებს და უკან გზავნიდნენ. თანდათან იკლო ლტოლვილთა რიცხვმა ბათუმსა და ქობულეთშიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამმართველოს აქტების კრებული, 1990:224).

1926 წელს საქართველოს შ/ს სახალხო კომისარიატმა შექმნა საუწყებო მილიციის შემდეგი დარგობრივი აპარატები, სარეწაო, საფაბრიკო - საქარხნო, სავაჭრო - სარეწაო, საკრედიტო - საფინანსო, საკურორტო, სანავსადგურო, სავაჭრო. ამასთან დამატებით აჭარაში შეიქმნა საძოვარ - სააგარაკო მთების დამცველი მილიცია.

1930 წლის იანვარში საქართველოს კპ (ბ) ცკ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო სქართველოში ოლქების ლიკვიდაცია და რაიონების ეკონომიურ - ტერიტორიული გაძლიერება. ამ ღონისძიების გატარების შედეგად გაუქმდა ბათუმის ოლქი („მოამბე", 3, 1921:20).

1930 წლის 15 იანვარს გაუქმდა საქართველოს შ/ს სახალხო კომისარიატი (შინსახკომი). მისი ფუნქციები გადაეცა სხვა ორგანოებს, ხოლო მილიციის, სისხლის სამართლის, სამძებროს და საუწყებო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს. შინსახკომი გაუქმდა აგრეთვე აჭარის ავტ. რესპუბლიკაშიც. მის

ნაცვლად აჭარის ცაკ - თან მოეწყო მილიციის და სისხლის სამართლის სამეძებრო განყოფილება, ხოლო ქალაქებში - ბათუმსა და ქობულეთში მილიციის სამმართველოები.

აჭარისწყლის, ქედისა და ხულოს მაზრის მუშაკებმა მობილიზაცია გაუკეთეს არსებულ ძალებს და საშუალებებს, რითაც მიაღწიეს ბანდიტების ლიკვიდაციას. ბანდიტიზმისა და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავდადებული მუშაობისათვის აჭარის მუშურ - გლეხური მილიციის მუშაკები: შ. ჯოხაძე,გ. დონდოლაძე, ი. შენგელია, გ. ჭუბაბრია, ს. წულუკიძე, მ. მალაყმაძე, შ. კონტრაძე, თ აბუსერიძე, რ. ჩიკავაძე, ბ. კვალია და სხვ. დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით. თუმცა დაშვებული იყო უხეში შეცდომებიც („კავკასიის კომუნა", 28 თებერვალი, 1921 წ.). სწორედ ამან განაპირობა ხულოს მაზრაში ანტისაბჭოთა გამოსვლები. მილიციისა და სასაზღვრო ნაწილების ერთობლივი მოქმედებით აღნიშნული გამოსვლები ძალადატანებით ლიკვიდირებულ იქნა.

ხულოს მაზრაში მომხდარი ამბების შესახებ იოსებ სტალინი წერდა მ. ორახელაშვილს: „როგორც ჩანს, თქვენ შეცდომა დაუშვით, ჩადრის მოხსნის დროს ძალადობა გამოგიაჩენიათ, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობა ძლიერ შეგივიწროებიათ. ასეთი პოლიტიკა არ არის ჩვენი პოლიტიკა, იგი არსებითად მცდარია. წინადადებას გაძლევთ ჯარები არ გამოიყენოთ, არავეთარ სროლას და დახვრეტას ადგილი არ ექნეს. მოელაპარაკეთ ე. წ. აჯანყებულებს და განუმარტეთ მათ, რომ მომავალში რელიგიისა და ჩადრის მოხსნის მიმართ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ექნება". (ხვიჩია პ., 1971).

1928 წლის ივნისში საქართველოს კპ ცკ - სა და საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „ბათუმის საბაჟოში გამოჩენილ ბოროტმოქმედთა შესახებ". ამ საკითხის განხილვა გამოიწვია საბაჟოს მომსახურე პერსონალის

დანაშაულებრივმა საქმიანობამ: კონტრაბანდის უკანონო დადაღვა, ყალბი დოკუმენტების გაცემა, მექრთამეობა და ლოთობა, პროტექციონიზმი, უყარაითობა და ა. შ. (ხვიჩია პ., 1971:25).

მწვავე ხასიათი მიიღო აჭარაში მიწის გაყოფისა და ყიდვა - გაყიდვის საკითხმა. ხშირი იყო მიწისათვის მკვლელობა, განსაკუთრებით ზემო აჭარასა და ქობულეთში. მილიციის მუშაკების მიერ სოფელ ერგეში დაპატიმრებული იქნა ადამიანების ჯგუფი, რომლებმაც გადაწვეს 4 ჰა ჩაის პლანტაცია.

აჭარის მილიციის თანამშრომლებმა 1932 წლის სექტემბერში გამოაშკარავეს სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და სპეკულანტების ჯგუფები, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ ატელ „წითელ მეთევზეში", კოოპერატივ „წერა - კითხვასა" და „ ლიკსა" - ში. ისინი დიდძალ ფულად სახსრებს იტაცებდნენ.

1934 წლის ივლისში საქართველოს შ/ს სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შევიდა შ/ს სამმართველო, რომელიც დააკომპლექტდა მუშურ - გლეხური მილიციისა და სახელმწიფო უშიშროების სამმარ-

თველოებით, სახანძრო დაცვის განყოფილებით, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების განყოფილებით, ადმინისტრაციულ - სამეურნეო განყოფილებით, რეზერვის კომიტეტის ინსპექციით და საფინანსო განყოფილებით (ხვიჩია პ., 1971:25).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1978
2. ბაქრაძე დ., მოგზაურობა „აჭარასა და გურიაში", ბათ. 1983
3. ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო (ბათუმი და მის შემოგარენში), ბათ. 1906 წ. (რუსულ ენაზე).
4. მეგრელიძე შ., აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ, 1958
5. მეგრელიძე შ., სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1963
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამმართველოს აქტების კრებული (1918 – 1921), თბ, 1990
7. ქსე, ტ. VI, თბ. 1983
8. ქსე, ტ. VIII, თბ. 1984
9. ხვიჩია პ., საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები, 1921 – 1937 წ.წ., თბ, 1971
10. БАТУМИ и его окресности, БАТ. 1906

პერიოდული პრესა:

1. გაზ. „ივერია", 1877 წ, 14 ივლისი.
2. გაზეთი „კავკასიის კომუნა", 28 თებერვალი, 1921
3. ჟურ. „მოამბე", 3, 1921

Otar Gogolishvili

National Militia in Ajara at the end of the XIX century and 20-30 s of the XX Century

Summary

Until the recent years the police in Georgia (even in Soviet Union) the police used to called as militia (Lat.army). It could be assumed that due to this meaning the Georgian national army was called "Militia". Militia means to govern, administer the country both on German and Greeck languages. The police used to be of two kinds: Political police or the secret police and gendarmerie and police, that fights against the crimes of criminal law. The presented article deals with the discussion about the activities of the militia in Ajara at the end of the 19th and the beginning of the 20th centuries.

რედუპლიკაცია ლაზურში

ლექსიკურ ერთეულთა რედუპლიკაცია წარმოქმნის ერთ-ერთი სახეა. სიტყვის გაორკეცება, განმეორება გამოსახვის სტილისტიკური საშუალებაცაა; მას მიმართავენ მნიშვნელობის გასაძლიერებლად, ამასთანავე , ზოგჯერ მორფოლოგიური ფუნქციაც აქვს (ა, 115)

ფუძეგაორკეცებული სახელები ქართულში განხილულია ა. შანიძის, ფრ.ნაისერის , ბ. დუეტერსის, ვ. თოფურიას, ფ. ერთელიშვილის, ლ. სანიკიძის... შრომებში.

დადგენილია, რომ რედუპლიცირებული ფუძეებით გამოიხატება მრავლობითობა, კრებითობა, ინტენსივობა.

ლაზურში სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით რედუპლიცირებული ფუძეები შედერაბით მცირეა და მეტწილად ქართულის წესს მისდევს.

ზედსართავ სახელთა გაორკეცება მრავლობითობას გამოხატავს. გაორკეცება თითქმის აუცილებელი ხდება, თუ საზღვრული საზოგადოდ მრავლობითს ვერ აწარმოებს (2,95): ტუცა-ტუცა-ცხელ-ცხელი, მჭიფე-მჭიფე-წვრილ-წვრილი, ჭიტა-ჭიტა-ცოტ-ცოტა, დიდი-დიდი-დიდ-დიდი

ზედსართავის ფუძის რედუპლიკაცია გამოხატავს აემატებით და ოდნაობით ხარისხს (3,255)

ხომულა-ხომულა-ხმელ-ხმელი, მკულე-მკულე-მოკლე-მოკლე.

რიცხვითი და არსებითი სახელების გაორკეცება ასახავს განაწილებითის ფუნქციას (4,54)

თითო-თითო-თითო-თითო, სუმ-სუმ-სამ-სამი.

ინტენსივობის ფუნქცია აკისრია ზმნათა გაორკეცებას: მოხთუ-მოხთუ-მოვიდა-მოვიდა, ღაღალუ-ღაღალუ-ილაპარაკა-ილაპარაკა.

მრავლაგზისობისა და ინტენსივობის გამომხატველია მხდარის რედუპლიკაცია: ოკითხუ-ოკითხუთენ—კითხვა-კითხვით. გოხთიმუ-გოხთიმუთენ—სიარული-სიარულით.

არაიშვიათად სახელის გაორკეცების შედეგად ვიღებთ ზმნისსართს: დაღი-დაღი-ტყე-ტყე, ოფუტე-ოფუტე-უბან-უბან, მზოღა-მზოღა-ზღვა-ზღვა.

კავშირიანი გაორკეცების ნიმუში: ოხორი დო ოხორი სახლდასახლ, გზადოგზა-გზადაგზა, ჩქვადო-ჩქვა-სხვადასხვა.

გაორკეცებული ფუძის ბგერითი შედგენილობა მრავალფეროვანია. ხმოვნის შენაცვლებით რედუპლიკაცია მეტწილად სახელებში ხდება და ასეთი ფუძეგაორკეცებული სიტყვები კრებითი სახელებია, რომლებიც გამოხატავენ მარტივი საგნისა და მნიშვნელობით მასთან ახლომდგომ საგანთა კრებითობას. ზოგჯერ ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცებული სიტყვები კნინობით დამცირებითის მნიშვნელობის მქონეა. ზოგჯერ მეორე სეგმენტი მნიშვნელობის არამქონე სიტყვაა.

ა-უ: თასი-თუსი თასი-მასი ჭაღა-ჭუღუნი-კიბორჩხალი-მიბორჩხალი. ღალა-ღულ-არეულ-დარეული, ბამ-ბურა-სულელი.

ე-ა: ბერე-ბარი-ბავშვი-მავშვი.

უ-ვა ყუჯი-ყვაჯი-ყური-ყვარი, მთუგი-მთვაგი-თაგვი-მაგვი. კუჩხე-კვაჩხი-ფეხი-მეხი.

ო-ვა: კოჩი-კვაჩი-კაცი-მაცი, ჩხომი-ჩხვამი-თევზი-მევზი, ი-ვა: კიცი-კვაცი-კეცი-მეცი, კითი-კვათი-თითი-მითი

პირველი სეგმენტის თავკიდურ ნებისმიერ თანხმოვანს ცვლის მ თანხმოვანი მეორე სეგმენტში: კოჩი-მოჩი კაცი-მაცი, კუჩხე-მუჩხე-ფეხი-მეხი.

ხმოვნის წინ მეორე სეგმენტში ვითარდება სონორი მ: იხი-მიხი-ქარი-მარი; ინჭირი-მინჭირი-ანწლი-მანწლი.

მ-სონორი ცვლის კომპლექსს: ხჩე-მე-თეთრი-მეთრი. ჩხომი-მომი-თევზი-მევზი.

პირველი სეგმენტის ბოლოკიდური სონორი იცვლება სონორით: რ-ლ: კარკალ-კაკანი, ტარ-ტალ-ლაპარააკი.

ნ-ლ: კანკალ-კანკალი, ძან-ძალ-ზანძარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. ლომთათიძე-რედუპლიკაციის ფუნქციისათვის აფხაზურში ენიმკის მოამბე, V-VI, თბ. 1940.
2. ა. შანიძე – ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1953.
3. არნ. ჩიქობავა-ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952
4. F. Neisser-Studien zur georgischen Wortbilding, Abhandlungen fun die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, Wiesbaden, 1953.

ზაზა ბურკაძე

საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

1918 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ მიზნად ამ აქტის საერთაშორისო აღიარება და 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ერთა ლიგაში შესვლა დაისახა, რაც ახლადშექმნილ სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საერთაშორისო იურიდიულ გარანტიას მისცემდა და მის ეკონომიკურ განვითარებასაც დიდად შეუწყობდა ხელს.

მაგრამ ამ მიზნის მიღწევა თავდაპირველად მეტად რთული აღმოჩნდა, რადგან ანტანტის წამყვანი ქვეყნები ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც ერთა ლიგის პოლიტიკას განსაზღვრავდნენ თავიანთი სამოკავშირეო ვალდებულებების შესაბამისად მთელი ძალებით ცდილობდნენ აღედგინათ კანონიერი ხელისუფლება რუსეთში და ეს სახელმწიფო დაშლისაგან ეხსნათ. თუმცა შემდეგ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების პოზიცია თანდათანობით შეიცვალა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ანტანტის ანტისაბჭოთა ინტერვენციამ 1919 წლის ბოლოს სერიოზული მარცხი იწვნია. კოლჩაკის და განსაკუთრებით დენიკინის არმიების განადგურებამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში რუსული ბოლშევიზმის გავრცელების საფრთხე შექმნა. სწორედ ამიტომ ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა 1920 წლის იანვარში საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ფაქტობრივად ცნეს (სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის განხილვა თურქეთთან ანტანტის ზავის გაფორმებამდე გადაიდო (Чохели А. , 1980:148)

თუმცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებას ანტანტის დიპლომატია მაინც აჭიანურებდა, რადგან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ აგრძელებდა ვრანგელის მძლავრი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც საფრანგეთის მიერ იყო აღჭურვილი. მაგრამ 1920 წლის ნოემბერში ვრანგელის მარცხის და წითელი არმიის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის დაკავების შემდეგ ინგლის-საფრანგეთის ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობა რუსეთში იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო.

შექმნილ მძიმე ვითარებაში (აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1920 წლის ბოლოს საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობასაც მოუღო ბოლო) ანტანტის დიპლომატია საქართველოს, ამიერკავკასიაში დარჩენილი ერთადერთი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს დახმარების გზას დაადგა. სწორედ ამ ცვლილების გამოხატულება იყო

1921 წლის 26 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის დე იურედ ცნობა. თუმცა უფრო ადრე 1920-1921 წლების მიჯნაზე საქართველოსათვის ქმედითი დახმარების გაწევის საკითხში ორ მოკავშირეს შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ინგლისში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა ლოიდ ჯორჯის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დაემყარებინა, რაც ინგლისს ამ ქვეყნის უზარმაზარი ბაზრის გამოყენების საშუალებას მისცემდა. ამიტომაც იყო რომ ინგლისის მთავრობის ზეწოლით 1920 წლის 16 იანვარს ინგლის-საფრანგეთს შორის გაფორმდა შეთანხმება რუსეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის შესახებ. ლოიდ ჯორჯის განცხადების მიხედვით „საჭირო იყო რუს ხალხთან ვაჭრობა საბჭოთა მთავრობის გვერდის ავლით“ (Джордан В. 1945:3). ამავე წლის მაისში ინგლისისა და საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკებებიც დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების დამყარების შესახებ. რა თქმა უნდა ამ მოლაპარაკებებმა ინგლისს ამიერკავკასიაში რადიკალური ანტირუსული პოლიტიკის გატარების საშუალება აღარ მისცა.

რაც შეეხება საფრანგეთს, ეკონომიკური კრიზისის გამო რუსული ბაზრის ათვისება ამ ქვეყნის მმართველი წრეებისთვისაც აუცილებელი იყო, რის გამოც საფრანგეთის ხელისუფლება, როგორც ზემოთ ითქვა რუსეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას დათანხმდა, მაგრამ საბოლოოდ ფრანგულ პოლიტიკურ ელიტაში მსოფლიოში საფრანგეთის გავლენის ზრდისაკენ სწრაფვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ინგლისის პასიურობის ვითარებაში საფრანგეთს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევის და ამიერკავკასიაში მტკიცე საყრდენის შექმნის ხელსაყრელი შესაძლებლობა ეძლეოდა.

თავის მხრივ რა თქმა უნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ესწრაფვოდა, საფრანგეთთან დაახლოებას ყოველნაირად ცდილობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1920 წლის ბოლოდან რუსეთი საქართველოს დაპყრობის მზადებას შეუდგა.

შექმნილ ვითარებაში საფრანგეთმა საქართველოს მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ნაბიჯები გადადგა. 1920 წლის 15 დეკემბერს ქართულ პრესაში საქართველოში ჩამოსული საფრანგეთის ახალი უმაღლესი კომისრის ა.შევალიეს განცხადება გამოქვეყნდა: „რა თქმა უნდა, ამბობდა იგი, მე დავიცავ საფრანგეთის ინტერესებს... და სწორედ საფრანგეთის ინტერესებშია ის, რომ საქართველო დამოუკიდებელი და განვითარებული სახელმწიფო იყოს“. შემდეგ შეეხო რა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი რგოლის მნიშვნელობას, შევალიემ აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული შინაგანი რევოლუციის საფრთხე და გარეგანი ზეწოლის ფაქტორი ერთნაირ საშიშროებას უქმნიდა ამ ქვეყანაზე გამავალ

მნიშვნელოვან კომუნიკაციებს. ამიტომ საგანგებო ვითარებაში საფრანგეთი საქართველოს სამხედრო დახმარებას გაუწევდა (Чохели А., 1980:166 ; 3).

საფრანგეთის უმაღლესი კომისრის განცხადება ლიტონი სიტყვები არ იყო. 1918 წლის შემოდგომიდან, მას შემდეგ რაც, ოსმალეთმა და გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადეს, შავ ზღვაში უკვე იმყოფებოდა ფრანგული ფლოტის მნიშვნელოვანი შენაერთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ შენაერთის შემადგენლობაში მყოფი სახაზო ხომალდები „ჟიუსტი“, „დემოკრასი“, „ვერნო“, „მირაბო“, „ჟან ბარი“, „პროვანსი“, „ლორენი“, „ფრანსი“ და ჯავშნოსანი კრეისერები „ვალდეკ რუსსო“, „ედგარ კინე“, „ჟიულ მიშლე“, „ერნესტ რენანი“, და „დესსე“. გარდა ამისა ფრანგული ესკადრაში შედიოდნენ აგრეთვე საესკადრო ნაღმოსნები, ავზოები (საგუშაგო ხომალდები) და სატრანსპორტო გემები. 1918-1920 წლებში ფრანგული ფლოტი თეთრგვარდიელთა ძალებს ნოვოროსიისკის, ოდესის და სევასტოპოლის სანაპიროებთან წარმოებულ ბრძოლებში დიდ დახმარებას უწევდა.

1920 წლის ზაფხულიდან, როცა რუსეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმის საფრთხე თანდათან გამოიკვეთა, ფრანგულმა ხომალდებმა ქართულ პორტებში უკვე პატრულირება დაიწყეს, რადგან საქართველოს მცირერიცხოვან ფლოტილიას ნავსადგურების უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეეძლო. საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწევის დაპირება საქმითაც დაამტკიცა. 1920 წლის აგვისტოში ნოვოროსიისკიდან ბათუმში შემოსული სატრანსპორტო ხომალდი „ზეინაბი“ ნავსადგურის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ღია ზღვაში გავიდა (როგორც შემდეგ გაირკვა ამ გემს თურქეთში ქემალისტებისათვის იარაღი მიჰქონდა), მაგრამ სანაპიროდან ხუთ მილში რუსულ ხომალდს ფრანგულმა საესკადრო ნაღმოსანმა „საკიიარმა“ გაუხსნა ცეცხლი და გაანადგურა.

1920 წლის 13 იანვარს ბათუმში ფრანგული ჯავშნოსანი კრეისერი „ვალდეკ რუსსო“ შემოვიდა, ხოლო მეორე დღეს თბილისში ჩამოვიდა შავი ზღვის ფრანგული ესკადრის სარდალი ადმირალი დუმენილი, რომელმაც საქართველოს მთავრობას ზღვის მხრიდან სახომალდე არტილერიით დახმარება აღუთქვა (Адамиа В., 1961:219)

მალე, ადმირალ დუმენილის დაპირება რეალობად იქცა. 1921წლის 16 თებერვალს სხვადასხვა მიმართულებებიდან საბჭოთა რუსულმა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართომაშტაბიანი აგრესია წამოიწყო. 19 თებერვალს შავი ზღვის სანაპიროსთან საქართველო-რუსეთის საზღვარი რუსულმა 31-ე დივიზიამ გადმოლახა, რომელსაც მაშინვე აფხაზ ბოლშევიკთა შეიარაღებული რაზმები ამოუდგნენ გვერდით. რუსეთის ძალები სანაპიროს გასწვრივ განვითარებული შეტევით სოხუმისა და ბათუმის აღებას გეგმავდნენ. ამავე დროს რუსეთის სარდლობას ფოთსა და ბათუმში საზღვაო დესანტის გადმოსხმაც ქონდა განზრახული, რითაც ზემოთაღნიშნული ოპერა-

ციის განხორციელება მნიშვნელოვნად გაიოლდებოდა. დესანტის წარმატების იმედს რუსული დივიზიის მეთაურებს საქართველოსთან შედარებით ზღვაზე რუსეთის დიდი უპირატესობა აძლევდა, რადგან მათ განკარგულებაში ორმოცამდე შეიარაღებული გემი, კატარღა და საკანონერო ნავი იყო. რუსეთს დახმარებას ორი თურქული საკანონერო ნავი „აიდინ რეისი“ და „პერვეზიც“ უწევდნენ.

მაგრამ რუსეთის სარდლობის ჩანაფიქრს სადესანტო ოპერაციების შესახებ განხორციელება არ ეწერა. 18 თებერვლიდან აფხაზეთის სანაპიროსთან უკვე პატრულირებდა ფრანგული ავიზო „დიუშაფო“, რომელიც საომარ მოქმედებებში რუსების შემოჭრისთანავე ჩაერთო. მალე მას ჯავშნოსანი კრეისერები „ვალდეკ რუსსო“, „ერნესტ რენანი“, საესკადრო ნაღმოსანი „საკიიარი“ , ავიზოები „სუიპე“, „იზერი“ და „დიუნკერკი“ შეუერთდნენ. ფრანგული სამხედრო ხომალდები აქტიურად აწარმოებდნენ საკრეისერო, საპატრულო, სადაზვერვო, ქართული არმიის საცეცხლე მხარდაჭერის და ლტოლვილთა საევაკუაციო ოპერაციებს. 21 თებერვალს ფრანგულმა ესკადრამ დაბომბა რუსების პოზიციები სოფელ პილენკოვოსთან (განთიადი). 22 თებერვალს აქვე დაიბომბა რუსული 31-ე დივიზიის ერთ-ერთი პოლკის შტაბი. 23 და 24 თებერვალს სახომალდე არტილერიით ინტენსიურად იბომბებოდა წითელი არმიის პოზიციები გაგრასთან. 25 თებერვალს და 3 მარტს ფრანგებმა საბჭოთა რუსეთის ძალებს გუდაუთასთანაც მიაყენეს მძლავრი დარტყმები. იმავე 3 მარტს ახალ ათონთან ფრანგული ხომალდების არტილერიის მხარდაჭერით ქართულმა ნაწილებმა წარმატებული კონტრშეტევის განხორციელება შეძლეს. ფრანგული ფლოტის დახმარების ფაქტი 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომაზე საგანგებოდ აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. 24 თებერვალს ამის შესახებ საქართველოს არმიის გენერალურმა შტაბმაც გაავრცელა ინფორმაცია. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საფრანგეთის ფლოტის ოპერაციები თვით ადმირალ დიუმენილის ხელმძღვანელობით. ხორციელდებოდა.

4 მარტს, როცა წითელმა არმიამ სოხუმი დაიკავა, ქალაქში დარჩენილი ქართველი სამხედროების და ლტოლვილი მოსახლეობის ევაკუაცია ფრანგულმა ხომალდებმა უზრუნველყვეს. მსგავსი საევაკუაციო ოპერაცია ფრანგმა მეზღვაურებმა 11-12 მარტს ფოთშიც განახორციელეს.

ბოლო სამხედრო ოპერაცია, რაც საფრანგეთის ფლოტმა ჩაატარა ბათუმიდან საქართველოს მთავრობის, ქართული სამხედრო ნაწილების, სამოქალაქო მოსახლეობის, ასევე ქართული ეროვნული სიმდიდრის და საგანძურის ევაკუირება იყო. 1921 წლის მარტის დასაწყისიდან ფრანგული სამხედრო მისია მთლიანად ევაკუაციის პრობლემით იყო დაკავებული. 10 მარტს ამ მისიის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა კორბელმა, მისიის წევრმა პოლკოვნიკმა პუადებარმა და კონსულმა ნეტემანმა სამხედრო ხომალდების და ეკიპაჟების მზად-

ყოფნის საბოლოო შემოწმება მოახდინეს. საქართველოს მთავრობას ევაკუაციისათვის საჭირო მცურავი საშუალებები ფაქტობრივად არ გააჩნდა. მის განკარგულებაში იყო მხოლოდ ოთხი სამხედრო კატარღა („პატარა კახი“, „ავთანდილი“, „ტარიელი“ და „ფრიდონი“) და ორი სატრანსპორტო ხომალდი („მარია“ და „ვესტა“). ამიტომ მას შემდეგ, რაც 16 მარტს საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის სამტრედიაში გაფორმებული ხელშეკრულებით ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას ემიგრაციის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა, იგი მთლიანად ფრანგულ ფლოტზე იყო დამოკიდებული. ევაკუაცია 17 მარტს საღამოს დაიწყო. მთავრობის სპეციალური განკარგულებით სახელმწიფო ხარჯებით ევაკუაციას ექვემდებარებოდნენ მხოლოდ მთავრობის წევრები, ეროვნული გვარდიის 15 წარმომადგენელი, მთავარსარდლის შტაბი, 50 ოფიცერი და 10 პოლიტიკური მოღვაწე. ხომალდებზე ადამიანებისა და ტვირთის მიღება მართალია ფრანგი მეზღვაურების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ პროცესის ბოლომდე გაკონტროლება შეუძლებელი აღმოჩნდა. სამხედროები (იმ რაოდენობაზე ბევრად უფრო მეტი ვისაც ევაკუაცია ეხებოდა) და სამოქალაქო მოსახლეობა „მარიასა“ და „ვესტაზე“ მოთავსდნენ. სამხედროთა ნაწილი კრეისერმა „ვალდეკ რუსომაც“ მიიღო. საფრანგეთის კომისარი საქართველოში შევალიე, ფრანგული სამხედრო მისიის ოფიცრები, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები კრეისერ „ერნესტ რენანზე“, ავიდნენ. ამ ხომალდში ჩაიტვირთა ქართული საგანძურის დიდი ნაწილიც. საქართველოს მთავრობა და საგანძურის დარჩენილი ნაწილი იტალიურ კომფორტაბელურ სამგზავრო ხომალდ „კირალზე“ განთავსდა (ეს ხომალდი რეგულარულ რეისებს ასრულებდა სტამბოლსა და ბათუმს შორის) 17 მარტს გვიან ღამით ხომალდების ქარავანი ფრანგული საესკადრო ნაღმოსნების ესკორტით ღია ზღვაში გავიდა. გამთენიისას 18 მარტს, როცა ბათუმში ბრძოლები გაჩაღდა პორტი უკანასკნელმა საესკადრო ნაღმოსანმა „საკიიარმა“ დატოვა. აღსანიშნავია, რომ 22 მარტს „საკიიარი“ ბათუმს ისევ მოუახლოვდა. ფრანგმა მეზღვაურებმა ქალაქის თავზე მოფრიალე წითელი დროშა, ხოლო ნავსადგურში წითელარმიელთა რაზმები შეამჩნიეს.

უნდა ითქვას, რომ ფრანგულმა ესკადრამ თავისი საბრძოლო ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა და საქართველოს წინააღმდეგ ომში რუსეთს ზღვაზე მოქმედების საშუალება არ მისცა. თუმცა ხმელეთზე რუსეთის არმიას მაინც მნიშვნელოვანი უპირატესობა ქონდა, რასაც საქართველოს მთავრობის დეზორგანიზებული მოქმედებაც ერთვოდა. ამან კი რუსეთს საბოლოოდ საქართველოს ოკუპაციის საშუალება მისცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Чохели А. И. Политика Франции в отношении Грузии в 1917-1921 годах. Тбилиси, 1980.
2. Джордан В. М. Великобритания, Франция и Германская проблема в 1918-1939 годах. Москва, 1945.
3. ,,Борьба“. 15, XII, 1920.
4. Адамиа В. И. Из истории английской интервенции в Грузии (1918-1921г.г.). Сухуми, 1961.

Zaza Burkadze

From the History of the French –Georgian Relations

Summary

The presented article deals with the issues related to the attempt of the French government to establish its influence in Transcaucasia with the help of being based on Georgia after the world war I in Russia during the military interventions in entente counries. The article also highlights the political situation that pushed the French ruling parties to make the defined decision.

ერდოდან შენოლ (ერეკლე დავითაძე)

თურქეთის ქართველების თვითიდენტიფიკაციის საკითხისათვის

თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის მომავალის შესწავლის დროს უნდა ვიცოდეთ და ვითვალისწინებდეთ მრავლამხრივ ისტორიულ პროცესებს. სამწუხაროა, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის და თურქეთის რესპუბლიკის მიერ გატარებული სახელმწიფო ეთნიკური პოლიტიკა თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ბევრს ჰგონია, რომ მათი პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ფაქტია, რომ ერთმანეთს ჰგავს ამ ორი პერიოდის სამწუხარო შედეგი. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ანალიზისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ასპექტი: თურქეთ-საქართველოს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა და თურქეთის ხედვა მისი მოქალაქე ეთნიკური ქართველების მიმართ და ქართველების თვითაღქმა.

თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის წარსული

ისტორია გვიამბობს, რომ, ამ ორი ხალხის ურთიერთობა იწყება თურქების მცირე აზიაში გამოსვლის პერიოდიდან. თურქ-სელჩუკების პერიოდის შემდგომ კი გრძელდება ოსმალეთის იმპერიის დროს. ოსმალეთის იმპერია საქართველოს მეზობელი ქვეყანა გახდა ფათიჰ სულთან მეჰმედის მიერ ტრაპეზონის დაპყრობის შემდეგ. იავუზ სულთან სელიმის ხელისუფლების შემდგომ, სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შევიდა ოსმალეთის სუვერენიტეტში. ოსმალეთის ქვეშევრდომობაში შესული ამ მხარეების ქრისტიანი მოსახლეობის მიერ ისლამური რელიგიის მიღების შემდგომ ჩვენს წინაპრებს ანუ ადგილობრივ ქართველ ხალხსა და ოსმალეთის საზღვრის გარეთ მცხოვრებ ქართველებს შორის თანდათანობით გაწყდა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი და ურთიერთობა. სწორედ ეს იყო ოსმალეთის იმპერიის მიზანი.

ამ მიზნით ძირითადად გამოიყენეს რელიგიური ფაქტორი - რჯული. ოსმალეთის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებში (ახალციხე, არზრუმი და ტრაპიზონი) დაარსებული ძლიერი სანჯაყები ანუ საფაშოები მართავდნენ დაპყრობილ ნაწილებს. ცენტრებიდან დაწყებული იქნა რელიგიური სწავლების პროცესი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და მიზნად ისახავდა დაპყრობილი ხალხის გათურქებას. საუკუნეების მანძილზე ქადაგება გრძელდებოდა. ასიმილატორული პოლიტიკის მესვეურებმა განაცხადეს, რომ „ჩვენებურები“ სხვები იყვნენ და ქრისტიანი ქართველები სხვები. ასეთი ასიმილაციის პოლიტიკის შედეგად თანამედროვე თურქეთის საზღვრებში მცხოვრები მუჰაჯირი ან ადგილობრივი ქართველების უმრავლესობა კულტურულად დაკნინდა. ეს შედეგი ოსმალური პერიოდის მოსავალია. ჩემი აზრით, განსხვავებით ბევრი თურქეთელისაგან, ვფიქრობ, რომ ამჟამინდელი მდგომარეობა შედეგია წარსულისა.

ოსმალეთის პერიოდის ასეთი პოლიტიკა ძირითადად გეგმავდა მუდმივ მეთაურობას, შემოსავალის გამრავლებას, მწარმოებელი, მეომარი, ერთგული ქვეშევრდომი ადამიანების რესურსების გამრავლებას და დიდი წარმატებით ახორციელებდა ამ პროცესს.

რაც შეეხება იმ ტერიტორიებს, სადაც ოსმალეთის იმპერია სრულ კონტროლს ვერ ახორციელებდა, გაგრძელდა კულტურული წინსვლა, ხოლო ოსმალეთის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქართულ მხარეებს (ტაო-კლარჯეთი, მესხეთი, ლაზეთი, აჭარა) და იმ მხარეებიდან გადმოსახლებულ ხალხს, ნაკლებად ჰქონდა შენარჩუნებული წინააღმდეგობის უნარი და თვალსაჩინოა მათი კულტურული დაკნინება. დაკნინება ჩანს უფრო კონკრეტულად. მთლიანად ამ რეგიონში, ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ სხვადასხვა იმპერიალისტური ძალები და აქ მიმდინარეობდა მუდმივი ბრძოლა ამ რეგიონზე სრული გაბატონებისათვის. ამ იმპერიალისტური ძალების ჩარევის შედეგად (მათი ინტერვენციის გამო) ვერ განხორციელდა ადგილობრივი ხალხის შემდგომი ინტეგრაცია.

მე-20 საუკუნეში, 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ ეს იყო ხანმოკლე პერიოდით და 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია მოახდინა საბჭოთა რუსეთმა, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირის პერიოდში შეწყვეტილი იყო თურქეთის სახელმწოფოსა და საქართველოს ურთიერთობა, რადგან საქართველო იძულებით მოქცეული იყო საბჭოთა კავშირში. ამ 70-წლიანი პერიოდის შემდგომ თურქეთმა აღიარა დამოუკიდებელი საქართველო. თურქეთი ოფიციალურად ცნობს საქართველოს ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობას. მაგრამ დღესაც, სამწუხაროდ, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებთან დაკავშირებით, თურქეთი, თავისი ოფიციალური ხედვის წინააღმდეგ, ზოგჯერ რუსეთის პოლიტიკის პარალელურად მოქმედებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ყველაზე მძიმე, გაჭირვებულ დროს, თურქეთი საკვებითა და ფინანსებით დაეხმარა საქართველოს და ამით ქართველი მოსახლეობის გული მოიგო. ამჟამად ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო მასშტაბის დიდი პროექტებიც მოქმედებს და ამიტომაც ეს ორი ქვეყანა შეუცლელი პარტნიორია ერთმანეთისათვის. თურქეთი არის საქართველოს უდიდესი კომერციული პარტნიორი. ფაქტია, რომ საქართველოსთან კეთილი ურთიერთობა ძალიან მნიშნელოვანია თურქეთის ინტერესებისთვისაც.

თურქეთმა კულტურული იდენტობის განვითარების საშუალება არ მისცა თანამოქალაქე „ჩვენებურებს“

იკვეთება შემდეგი სურათი: თვალშისაცემია ქართველი ხალხის მიმართ განხორციელებული ასიმილატორული პოლიტიკის ინტენსიური ხასიათი, რასაც საფუძველი ჩაეყარა ოსმალეთის დროს და დღემდე გრძელდება სხვადასხვა ფორმით. თურქეთის რესპუბლიკის პერიოდის სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში მხოლოდ ერთი ენის (თურქულის) არსებობა და ერთადერთი ტიპის ადამიანის - თურქის -

ჩამოყალიბება. ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ აკრძალული იყო ოფიციალური თურქული ენის გარდა ყველა სხვა ენა. მაგალითად, ქალაქ ართვინის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება და აკრძალა ქალაქ ართვინის ფარგლებში თურქულ ენის გარდა სხვა ენები 1927 წელს. 1930 წელს დედაქალაქ ანკარაში ეროვნული მთავრობის იუსტიციის მინისტრმა, მაჰმუდ ესად ბოზქურთმა თქვა: „...სუფთა ეთნიკური თურქების გარდა, სხვა ადამიანებს ამ ქვეყანაში შესაძლებლობა აქვთ იყონ მხოლოდ მსახურები და მონები, ეს სიმართლე კარგად გაიგოს ყველა მეგობარმაც, მტერმაც და თვით მთებმაც კი!“ ამ მენტალიტეტით გაზრდილმა თაობამ და თურქეთის საზოგადოებამ დააკისრა მძიმე გადასახადი ყველას, ვინც ფიქრობდა სხვაგვარად, სხვა რაიმეზე იყო ორიენტირებული და თვითგამორკვევაზე მუშაობდა. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენთვის ამის მაგალითი არის აჰმეთ ოზქან-მელაშვილი. მისი ერთადერთი „დანაშაული“ იყო საკუთარი ხალხის(აც) და კულტურის სიყვარული და ამ სიყვარულის გადასახადი გადაიხადა თავისი ცხოვრების/სიცოცხლის დაკარგვით.

თურქეთმა საქართველოსთან ახლო საზღვრის ტერიტორიებზე მჭიდრო კონტროლი დაამყარა, რათა ხელი შეშლოდა ეთნიკური თვითგამორკვევის საკითხების წახალისებას. თავის მოქალაქეებსაც კი არ ახალისებდნენ ამ კუთხეებში ვიზიტებისათვის. აკრძალვის მიზეზი კი არ სახელდებოდა. ამავე დროს, ხელისუფლება არ იწონებდა საქართველოს მოქალაქეების ამ კუთხებში ვიზიტს. სამწუხაროდ, ამ ტერიტორიიდან დაწყებულია მიგრაცია დასავლეთ თურქეთისაკენ და დღესაც გრძელდება ეს პროცესი. მკვეთრად შემცირებულია ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის რიცხვი. სამწუხაროდ, ეს მიზანი იყო დასახული და იგი განხორციელდა. ზოგადად კეთილი და განვითარების გზაზე მდგარი ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების მიუხედავად, თურქეთმა, მრავალკულტურული და მრავალეთნიკური მოქალაქეობრივი იდენტობის შექმნის ნაცვლად, ეთნიკური თურქობის შეგრძნების განცდა გააძლიერა და სხვადასხვა ეთნიკური ფესვების მქონე მოქალაქეები კვლავაც „თურქებად“ გამოაცხადა. ამგვარი დეზინფორმაცია უწყვეტად გააგრძელა. ამავე დროს, ატარებდა იმ პოლიტიკას, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ქართული ძეგლების ქართულობა უარყოფილი იყო და მათ ქართულად არ სცნობდა. თუმცა, ამავე დროს, თურქეთმა ხელი არ შეუშლა მრავალი ქართული ფოლკლორული ჯგუფის თურქეთში ჩამოსვლას. საერთაშორისო ბავშვთა ღონისძიებაში (23 აპრილი) და სხვადასხვა ქალაქებში არსებულ დღესასწაულებში ყველაზე მეტად საქართველოდან მონაწილეობენ და თურქი ხალხი ყველაზე მეტ ტაშს მათ უკრავს. მაგრამ მნიშვნელოვანი კონტრასტია, რომ თურქეთის ქართველებს დაჟინებით ეუბნებიან, ჩვენებურების ანუ გურჯების მუსიკალური ფოლკლორი ეს კი არაა, ჰემშინურია, თურქეთის შავიზღვისპირეთის (დეფორმირებული) და ორიენტალურ-აღმოსავლურ კულტურის ნაწილიაო. თურქეთის მრავალ ჩვენებურ ქართველსაც სჯერა ამისა. ქართული ფოლკლორით არა მხო-

ლოდ ქართველები არიან დაინტერესებულები, არამედ, სხვა ადამიანებიც, მაგრამ არც ისინი ასახელებენ ქართულ ცეკვებს ქართულად და ამით შეცდომაში შეჰყავთ თურქეთის საზოგადოება.

თურქეთში ერთი ძველი და საერთო გამოთქმა არსებობს; თურქეთის მოქალაქეებს შორის თანასწორობა სუფევს და ყველას შეუძლია გახდეს მინისტრი, პრემიერი და პრეზიდენტი. ოსმალეთის დროს და თურქეთის რესპუბლიკაში იყო და არის ბევრი ქართველი მაღალ დონის სახელმწიფო მოხელე (დეპუტატებიც, მინისტრებსიც და პრემიერებიც), მაგრამ ამ ადამიანების უმეტესობამ დატოვა თავისი კულტურა და იდენტურობა. სამწუხაროდ, მათი შვილები ან შთამომავლები დაინტერესებული არ არიან მშობლიური კულტურით.

თურქეთში ეთნიკურად თურქი ძმები თვითდაჯერებულად, უშიშრად და წყნარად არიან. წარმოშობით სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები, ქართველებიც და სხვებიც, სხვა ეთნიკური ფესვებიდან მომდინარეობის გამო, რთული კომპლექსებით არიან შეწუხებულები და ხაზგასმით ცდილობენ თავიანთი ეთნიკური ფესვების - ვითომ როგორც ნაკლები რაიმის - დამალვას. ამ მიზეზით ზედმეტად ითვისებენ თურქული ნაციონალიზმის იდეებს და ექცევიან სხვადასხვა იდეოლოგიების გავლენის ქვეშ. ხოლო ეთნიკური თურქობა თავს ამაღლებულად გრძნობს და არ საჭიროებს მათ მფარველობას. ჩვენი კულტურის დაცვა და განვითარება, ასევე საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის მრავალმხრივი წინსვლა არაფერს არ დააკლებს თურქ ძმებს.

უკვე დრო იცვლება, ამ ცოდნის ეპოქაში ყველამ უნდა დათმოს ტყუილები ბოლო წლებში თურქეთი სერიოზულად განვითარდა, წარსულთან შედარებით იგი ბევრად დემოკრატიული ქვეყანა გახდა. ის თავისუფალი ქვეყანაა და ცდილობს წარსულის უარყოფითი მხარეებისაგან თავის დაღწევას. თურქეთი უკვე ის ქვეყანა აღარ არის, რომ ვინმემ საქართველოს შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი დაადანაშაულოს და დააპატიმროს, ან ვინმემ ვერ თქვას, გურჯი-ქართველი ვარო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი არის გამოსწორებული. თურქეთის ქართველების უმრავლესობა ალყაშია მოაქცეული ოფიციალური იდეოლოგიის მიერ. ამ იდეოლოგიით განათლებულ-გამოზრდილ მრავალ თურქსა და ქართველს შორის არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ბათუმი საქართველოს მიერ ოკუპირებული თურქეთის ნაწილი ჰგონიათ. ეს მათი ბრალი არ არის, ეს მათ ისწავლეს თურქეთის სკოლებში, სადაც ასე ასწავლიან ბავშვებს. სასარგებლოა რომ ყველა ეს ვიცოდეთ.

თურქეთმა უკვე უნდა დათმოს ამგვარი ტყუილები და თავის მოქალაქეებს სწორი განათლება და ინფორმაცია მისცეს. თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს მათ ეთნიკურ ფესვებს, კულტურას და თურქეთში არსებული კულტურის ძეგლებს პატივი უნდა სცეს. ასეთ შემთხვევაში უფრო პოზიტიური საზოგადოება და ქყეყანა გახდება თურქეთი. დღემდე ჩვენი ენა, კულტურა და არსებობა იგნორირებულია. ჩვენი ინტეგრაციისთვის ჩვენივე ეთნიკური კულტურის გაქრობის გზა ურჩევნია თურქეთს, მაგრამ ამ მოდერნული ეპოქის მოთხოვნების მი-

ხედვით, ის ჩვენი ხელახალი განვითარების-აღდგომის მხარდამჭერად უნდა გამოდიოდეს. ამ ეტაპზე დაკარგული კულტურული ღირებულების დამოუკიდებლად აღორძინებას თურქეთის ქართველები თავისით ვერ შეძლებენ. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა, განსხვავებით წარსულისაგან. თუკი ეთნიკური კულტურის აღორძინებას, განვითარებას შეძლებს თურქეთის სახელმწიფო, ამით იგი ჩამოყალიბდება უფრო მთლიან, მონოლითურ სახელმწიფოდ, სადაც ყველა იცხოვრებს ბედნიერად, მშვიდად და ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი თავს ჩათვლის სრულუფლებიან მოქალაქედ. მთელი რეგიონი გახდება საცხოვრებლად ვარგისი, ძლიერი და მშვიდობიანი.

ამ თვალსაზრისით, სავალდებულია თურქეთში არსებული ისტორიული ქართული ძეგლების აღდგენა თურქეთის მიერ. ამ მიზნით ჩვენ შევიტანეთ განცხადება ამ წელს თურქეთის კულტურის-ტურიზმის სამინისტროში და ვთხოვეთ ისტორიული ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაცია. პასუხი მოგვცა სამინისტრომ ამ თემაზე, ოფიციალურად დამტკიცა ეს ძეგლები ქართულად და შეთანმხმებულია რესტავრაციის საჭიროებაც. მაგრამ იმ წერილშიც წერია და კიდევ ერთხელ გავიგეთ, რომ რესტავრაციის პირობა არის საქართველოს და თურქეთს შორის „საქართველოში არსებული ისტორიული თურქული ძეგლების და თურქეთში არსებული ისტორიული ქართული ძეგლების რესტავრაციის შეთანხმების ორმხრივი კონტრაქტის ხელმოწერა (!). ამის შემდეგ 30 მაისს კიდევ ერთხელ წერილი გავუგზავნე ჩვენს სახელმწიფოს ანუ თურქეთის სამინისტროს. დავწერე: „ის ძეგლები ააგეს ჩვენმა ქართველმა წინაპრებმა, მაგრამ დღეს ეს ძეგლები მოქცეულია თურქეთის საზღვრებში, ჩვენ ვართ თურქეთის მოქალაქეები და ჩვენი სახელმწიფო - თურქეთი არის უფლებამოსილი, დაიცვას, რესტავრაცია ჩაუტაროს, სათუთად მოუაროს ამ ძეგლებს. ამიტომ სხვა სახელმწიფოსთან იმ ძეგლების რესტავრაციის თემაზე ვაჭრობა წარმოუდგენელია“ - მეთქი.

კიდევ: ორმხრივი კონტრაქტის ფარგლებში შედის ქალაქ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის ხელახლა აშენების მოთხოვნა თურქეთის მხარის მიერ. ამ საკითხთან დაკავშირებით ვუთხარი თურქეთის სამინისტროს, რომ ეს არის მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული ძეგლი, დაახლოებით მხოლოდ 50 წელიწადი იდგა და მერე მე-20 საუკუნის დასაწყისში გაანადგურეს საბჭოთა კავშირის დროს და არ დარჩენილა მისი ნანგრევიც კი. „საქართველოში არსებული ისტორიული თურქული ძეგლების რიგში“ არ უნდა განვიხილოთ აზიზიეს მეჩეთი, იმიტომ რომ მისი კვალიც კი არ არსებობს. თქვენი მიზანი თუ არის საქართველოში ახალი მეჩეთების აშენება, ესეც არ არის თურქეთის საქმე და ამაზე ვაჭრობა წარმოუდგენელია. საქართველოს მოქალაქეებს თუ აქვთ ახალი მეჩეთების აშენების მოთხოვნა, ამას მხარი უნდა დაუჭიროს თვითონ საქართველოს სახელმწიფომ. ასეთი საკითხების გამო პირობა და კონტრაქტი ზიანს აყენებს ორი ქვეყნის მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობას. ამავე დროს, აზიზიეს მეჩეთი საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში კი არ განადგურდა, არამედ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდ-

ში, მოგეხსენებათ, 1918-1921 წლებში დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდის შემდგომ კვლავ ოკუპირებულ საქართველოში დაანგრიეს ეს მეჩეთი ოკუპანტებმა და არა საქართველომ. ასევე, ამ ნგრევაში მონაწილეობა არ მიუღია მოგვიანებით 1991 წელს კიდევ ერთხელ დამოუკიდებლობა მიღებულ ახალგაზრდა საქართველოს სახელმწიფოს. დროს ნუ დავკარგავთ და ვიჩქაროთ თურქეთში არსებული ქართული ძეგლების რესტავრაციისათვის მეთქი".

აუცილებელია რომ თურქეთმა და საქართველომ გააგრძელონ, კეთილი ურთიერთობა, წინსვლა, ერთმანეთის პატივისცემა. სამწუხაროდ, ჩვენ თურქეთში არ გვაქვს საშუალება, რომ ვიცხოვროდ ჩვენი ეთნიკური კულტურით და დავკარგეთ ყველა რეზერვი. ჩვენ თურქეთის მოქალაქეებს, თურქეთმა მხოლოდ კულტურული გადარჩენის ნებართვა კი არა, საშუალებაც უნდა მოგვცეს - დაგვეხმაროს. ჩვენი კულტურის განვითარების წყარო არის ჩვენი დედასამშობლო, მისი ძვირფასი ხალხი, ღრმა კულტურა და რეზერვი. თურქეთმა და საქართველომ უნდა გაითავისონ ეს საჭიროება.

ჩვენ მუჰაჯირმა და ადგილობრივმა ქართველებმა უნდა ვიცოდეთ რომ სტუმრები კი არა, მასპინძლები ვართ თურქეთში: ადგილობრივი ქართველები ოდითგან ცხოვრებენ თავიანთი წინაპრების მიწა-წყალზე. რაც შეეხება მუჰაჯირ ქართველებს, ისინი სტამბოლის რუსებისაგან გადარჩენის მიზნით დადებული ხელშეკრულების შემდეგ, სხვადასხვა შეღავათური პირობებით იქნენ მიწვეულნი ანატოლიაში. ამ მხრივაც, ოსმალეთმა „ჩვენებურებისთვის" მიცემული ვალდებულება ვერ შეასრულა. თურქეთში მცხოვრები ქართველები არ არიან, ზოგიერთი სხვა ხალხივით, გაცვლითი ან დეპორტირებული ლტოლვილები. ამიტომ თურქეთელი ქართველი არ არის ვინმეს წინააღმდეგ გასრესილი ან ვინმეს მადლიერი. იგი თურქეთში თანამფლობელია და უფლება აქვს მოითხოვოს ყველა საკითხში მხარდაჭერა თავისი სახელმწიფოსაგან. მივესალმები მას, ვინც იცის, რომ არ არის იძულებული დაემსგავსოს სხვას ან განსხვავდეს.

Erdoghan Shenol

The View of Turks on Georgians and Self Perception, History, the Present and Future Prospects of Georgians in Turkey

Summary

The research of the Turkish-Georgian cultural relations and the future development of it tends to be the most important objective of the historical science. The presented article describes how Georgian people living in Turkey perceive the essential issues of the Georgian-Turkish relations.

შ. მამულაძე, გ. ყიფიანი, ე. კახიძე

აღმოსავლეთ ჭანეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ათინას ციხე - კიზ-კალე)

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (გრანტი № 4475) „ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები" ფარგლებში)

ციხე მდებარეობს ქ.ფაზარის (ძველი ათინა) გასასვლელში, აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით: ნაგებობა ზღვის სანაპირო ზოლში, ხმელეთიდან 25-30 მ-ით დაცილებულ კლდოვან კონცხზეა დაშენებული. აქ სულ სხვადასხვა ზომის ვულკანოგენური წარმოშობის ოთხი კლდოვანი ბორცვია. მათგან ცენტრალური შედარებით მაღალია, რამდენადმე მოცულობით დიდიც და მიუვალიც. ციხე-კოშკის მშენებლებს მისი მთლიანი ფართი მაქსიმალურად გამოუყენებიათ და ზედ გაუმართავთ მართკუთხა ფორმის საფორტიფიკაციო ნაგებობა. ციხე-კოშკის გარე კედლები კლდოვანი ბორცვის გარე კონტურებს მიუყვება და ერთიანობაში იგი კლდესთან ერთად ზღვიდან ამოზიდული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დღემდე მოღწეულ ნაგებობაზე დაკვირვებით მასში სულ ცოტა სამი საამშენებლო ფენის გამოყოფა შეიძლება. ქვედა საამშენებლო დონე, რომლის წყობები კარგად იკითხება აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარეებზე, ნაგებია ქვიშა-ქვის კარგად დამუშავებული კვადრებით. მათი საშუალო სიმაღლე 60 სმ-ია. შემაკავშირებლად კირხსნარის თხელი ფენაა გამოყენებული და წარმოადგენს ე.წ. რომაული ისოდომის ტიპიურ ნიმუშს. ამ პერიოდის წყობის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე ნაგებობის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში, 4 მეტრს აღწევს. დაკვირვებით ჩანს, რომ შემდგომში მისი განახლება მიმდინარეობს და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძველი წყობის დახრილ სიბრტყეზე ამოყვანილია სრულიად ახალი წყობა, რომელიც ბიზანტიურ პერიოდს უკავშირდება. თუმცა ამავე წყობაში ორი სხვადასხვა ქვეპერიოდი განირჩევა. პირველი ესაა მოწითალო-მოყავისფრო ფერის მცირე ზომის კვადრები, რომლის სიმაღლე 25-30 სმ-ია. კედლის ეს წყობა აღმოსავლეთიდან ორ ვიწრო თაღოვან სარკმელს შეიცავს. იგი 4 მეტრი სიმაღლისაა. ბიზანტიურ პერიოდში ჩანს კედლის ამაღლების ცდა, რომელიც სამ ვიწრო თაღოვან სარტყელს შეიცავს. მშენებლობის ეს პერიოდი ითვალისწინებდა კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, აღმოსავლეთის მხრიდან ფართე, მაღალ თაღოვან ღიობს. კარის სიმაღლე სამი მეტრია, ხოლო სიგანე 1.80 მ. ეს წყობა წინამორბედისაგან იმით გამოირჩევა, რომ მონაცრისფრო და მოწითალო ფერის თლილი ქვები ერთმანეთში მონაცვლეობენ და წყობათა ზომები არათანაბარი ზომისაა.

კოშკის დასავლეთ კედელზე და ნაწილობრივ სამხრეთის მხარეს დარღვეულ ბიზანტიურ წყობაზე დაშენებულია ოსმალური პერიოდის კედელი, რომლითაც როგორც ჩანს მთლიანად განახლდა კოშკი. წყობა ხასიათდება იმით, რომ საამშენებლო მასალად გამოყენებულია ადრეული პე-

რიოდის ნაგებობათა მოშავო-მონაცრისფრო კვადრები, ხოლო მათ შემაკავშირებლად- კირის სქელი ფენა.

ჩრდილო-დასავლეთი კედელი ზედა სტრუქტურაში ფართო არქიტრავით გადახურულ სარტყლებსაც შეიცავს. მისი ფუძე კლდოვანი მასივი, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მკვეთრადაა დახრილი. ჩანს, რომ საძირკვლისათვის გამოყენებული კვადრები, მათთვის საგანგებოდ ნაკვეთ ბუდეებშია ჩასმული.

საკუთრივ კოშკის შესასვლელი გამართული უნდა ყოფილიყო ციხე-კოშკის ჩრდილო-აღმოსვლეთ კუთხეში, მაგრამ აქ საფეხურების ნაკვალევი არ ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეციხოვნეები იყენებდნენ ხის სამხედრო დანიშნულების კიბეებს.

რაც შეეხება კოშკის დასავლეთ მხარეს, აქ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეების ორი სართულია შემორჩენილი. ამ მონაკვეთის საამშენებლო წყობაში ოთხი შრე გამოიყოფა: ქვედა, რომელიც მხოლოდ კოშკის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს იკითხება სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვებით და კირხსნარით არის ნაგები. ეს უშუალოდ კლდეზეა ამოყვანილი. პირველი სართულის ფასადზე სამხრეთ-დასვლეთ არეში იკითხება ორი სარკმელი და ერთი კარის თაღოვანი ღიობი. პირველი სართული, ნაგებობის მეორე საამშენებლო დონეს ასახავს და ნაგებია კარგად შერჩეული, დაუმუშავებელი ქვიშაქვის კვადრებით, რომელთა სიმაღლე საშუალოდ 25 სმ-ია. ქვედა სართულის სარკმლები ვიწრო 15-20 სმ-ის სიფართის ღიობებია და ერთი მეტრის სიმაღლისაა ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე. როგორც ირკვევა, თაღოვანი კარის ღიობი გვიანდელი ქმნილებაა, რომელსაც მესამე, ზედა საამშენებლო დონე ჩრდილო დასავლეთის ნაწილში დარღვეული აქვს და თავიდან არის შევსებული უსისტემო წყობით. კარგად იკვეთება მესამე საამშენებლო დონე, რომელიც მეორე სართულის კუთვნილი ჩანს. ეს მეტრნახევარი სიმაღლის, ვიწრო ზოლია კვადრების ხუთი რიგისაგან შედგენილი. მეორე სართულის სარკმლების ძირის დონიდან, გამოიყოფა მეოთხე საამშენებლო დონე სხვადასხვა ზომის საგანგებოდ შერჩეული ქვებით (ასევე ქვიშაქვის). ეს სართული სამ სარკმელს შეიცავს. მათ შორის ორი-ქვედა სართულის სარკმლების გასწვრივ და შედგება საგანგებოდ გამოყვანილი წირთხლებისა და თაღოვანი დამაგვირგვინებელი კვადრებისაგან. ამ წყობის მიხედვით ეპოქათა ზუსტი დეფინაცია შეუძლებელია. პირველი სართულის წყობა შეიძლება ჩავთვალოთ გვიანბიზანტიურად, რომელმაც სავარაუდოდ მოსპო ან რაღაც მიზეზის გამო შეცვალა

აღმოსავლეთის მხარეს დადასტურებული გვიანრომაული, ასევე ადრებიზანტიური ისოდომური წყობა. მითუმეტეს კონცხი ისეთ სტრატეგიულ ადგილასაა, რომ გამორიცხულია მისი გამოუყენებლობა თითქმის ყველა დროში.

ამ კლდოვანი კუნძულიდან დასავლეთით 15 მ-ის დაშორებით არის ასევე მეორე შედარებით მცირე მოცულობის კლდოვანი შვერილი. მისი სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან დაახლოებით 7-8 მ-ია. ამ კონცხის კლდოვანი მასივის სამხრეთის შვეულ კიდეზე ზღვის დონიდან 4,5 მ-ის სიმაღლეზე გამოკვეთილია კლდოვანი კამერა. მისი სიმაღლე 2 მ, სიგანე ასევე 2 მ-ია, სიღრმე კი- 3 მ-ია. იგი თავისი ფორმით ძალიან გვაგონებს კლდოვან სამარხებს, რომელიც მოგვიანო პერიოდში ათვისე ბულია საცხოვრებელ სივრცედ. მის დასავლეთ მხარეს გაჭრილია სარკმელი. მსგავსი ტიპის ძეგლი ჯერჯერობით ერთადერთია საკვლევ ტერიტორიაზე.

პროკოპის თანახმად რიზეს შემდეგ პეტრამდე რომაელებს და ლაზებს შორის მოსახლეობს ერთი ხალხი (ძიდრიტები?), რომელთა მიწაწყალზე იყო განლაგებული ათენა, არქაბე და აფსაროსი (Bel. Goth. VIII, 2). სტეფანე ბიზანტიელი დაახლოებით ამავე ტერიტორიის ფარგლებში ასახელებს ბიძერების ნავსადგურს (s.v.Βύζηρε), რომელსაც ევსტატე (მე-12 ს) დიონისიოსის (ახ.წ. 1-ლი-მე-2 სს) ნაშრომის კომენტირებისას ბიძერების სახელს უკავშირებს (762)&

მომდევნო პუნქტია ათინა (Arr., PPE, 3-5, 7; Ptol., V, 6; Anon., 40; Tab. Peut., X, 4; PPE, 39-40; Steph. Byz., s. v. Αθηναι). არიანეს მიხედვით, იმის გამო, რომ მისი ნავსაყუდელი (*ορμος*) არასაიმედო იყო, აქ მცირერიცხოვანი ხომალდები მხოლოდ ზაფხულობით შედიოდნენ. ახლომახლო იყო მიტოვებული კასტელუმი (PPE, 4). ფაქტობრივად, ათენას ლიმანზე იგივეს იმეორებს ჯ. პალგრევი, ხოლო ათენას კონცხზე აღმართულ კიზ-კალეს „ნახევრადდანგრეულს“ უწოდებს (1882, გვ. 68-69).

როგორც ჩანს, ათინას ციხე(კიზ-კალე) პონტო-კავკასიის საზღვრის ფორმირების პირველი ეტაპის (ვესპასიანეს) დროინდელია, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო მოგვიანებით დაკარგა მნიშვნელობა. ამ მხრივ საინტერესოა კლავდიუსის მმართველობის ბოლო წლებში არმენიაში, გორნეას სიმაგრეში მდგარი დამხმარე კოჰორტა (Tac., Ann., XII, 46), რომელმაც თავისი პოლიტიკური მისიის ამოწურვის, რაც რომის არაპოპულარული პროტეჟეს-მითრიდატე იბერიელის დაცვაში გამოიხატებოდა, შემდეგ დატოვა იქაურობა (Кудрявцев, 1948, გვ. 51). როგორც ჩანს, ჭანებისა და ძიდრიტების საცხოვრებელ არეალთან სულ ახლოს განლაგებული პუნქტი თავდაპირველად გარკვეულ სტრატეგიულ ამოცანებს ემსახურებოდა. მას შემდეგ რაც, დამპყრობელმა აქ მისთვის სასურველი მმართველობა დაამყარა მაქერონებისა და ჰენიოხების „სამეფოს“ სახით, ზედმეტად ჩათვლა „საიმედო ხელებში“ მოქცეული ტერიტორიის უშუალო კონტროლი (ამის შეს. იხ. ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 21).

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ათინა ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-5 ს ათენელი კოლონისტების მიერ დაარსებული სავაჭრო პუნქტი იყოს. ამ მიმართულე-

ბით საქმიანობა განსაკუთრებით პერიკლეს დროს გააქტიურდა. ათენის მიერ დაფუძნებული ახალშენები თავიდანვე ერთ თავისუბურებას ატარებ-დნენ, ისინი განსაკუთრებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშარებულნი მეტროპო-ლიასთან სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში (Яйленко, 1982, გვ. 141-152). სწორედ ამგვარი ტიპის 600 სამხედრო კოლონისტი გაიგ-ზავნა პერიკლეს მიერ მე-5 ს 40-იან წლებში სინოპეში დემოკრატებისათ-ვის დასახმარებლად (Максимова, 1956, gv. 97-102), რამაც კიდევ უფრო გააძ-ლიერა რეგიონის ისედაც ყველაზე უფრო დაწინაურებული პოლისი და, როგორც ჩანს, მისი და შესაბამისად ათენის გავლენის ტრაპეზუნტის აღ-მოსავლეთით გავრცობას შეუწყო ხელი (ინაძე, 1982, გვ. 135-139 145-147 156-159; Инадзе, 1979, გვ. 109-110; კახიძე, 1974, გვ. 79-85; ა. კახიძე, ე. კახიძე, 1999, გვ. 23-24).

ახ.წ. მე-5 ს ანონიმი ავტორი ფსევდო არიანე ათინას (ისევე როგორც კორდილესა და აფსაროსს) სოფლად მოიხსენიებს (PPE,39-40). ანანია ში-რაკაცის მე-7 ს "სომხური გეოგრაფიაში", ანუ „აშხარაცუიცში", რომელიც, ძირითადად, ახ.წ. მე-4-5 სს ვითარებას ასახავს, ათინა (ისევე როგორც რი-ზონი) კოლხურ ქალაქადაა მოხსენიებული (1877, გვ. 39). ათინას ციხის მიდამოებიდან გზა ერზრუმისაკენ მიემართებოდა, რომელსაც სტრატეგიუ-ლი ადგილი ეკავა. მას ახალი იმპულსი 421 წ ერზრუმში თეოდოსიოპოლი-სის ციხე-სიმაგრის დაფუძნებას უნდა მიეცა (Crow, 1986, გვ. 82). ამის კონ-ტექსტშია განსახილველი მდ. მელესკურის ერზრუმ-ათინას მაგისტრა-ლის მაკონტრებელი ყალე (ყიფშიძე, 1937, გვ. 153) და ისპირიდან მომავალ გზაზე გაბატონებული ჯიხა (სოფ. ბაშქოის თავზე), სადაც ნ. მარმა თლი-ლი ქვით ნაგები კედლის უხეშ წყობასა და ნაგებობის, ადგილობრივთა განმარტებით აბანოს ნაშთს მიაგნო (Марр, 1910 გვ. 558). იუსტინიანე თა-ვის ნოველებში იქადნებოდა კიდეც, რომ მის მიერ დაპყრობილ ჭანეთს „უკვე აქვს ქალაქად ქცეული ადგილები, მომავალშიც ექნება სხვები" (XXXI (XXXIII). ამ მხრივ საინტერესოა თეოდორიადა (გატჰ., V, 1-2), რო-მელიც შესაძლებელია სწორედ ამ ჯიხას შეესაბამებოდეს. რაც შეეხება ათინას ციხეს, როგორც ჩანს, თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით გამოყენებული იყო თითქმის ყველა ეპოქაში, დაწყებული გვიან რომაული ხანიდან დამთავრებული ოსმალური პერიოდით.

Sh. Mamuladze, G. Kipiani, E. Kakhidze

Castle Atina (Kiz-Kale)

Summary

Castle is located 1,5 kilometers away from Phazari (old Atina). Construction is built on rocky cape which is at a distance 25-30 from the sea. Castle Atina (Kiz-Kale) is connected with the first time stage (Vespasiane) of Ponto-Caucasus border formation. Later it was used in Byzantium and Ottoman periods.

ბიბლიოგრაფია

1. ევლია ჩელები , „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, 1, თბ., 1970.
2. გოგიტიძე ს. აჭარის ეტიმოლოგია.-ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მე-2 სამეცნიერო კონფერენციის სოხსენებათა გეგმა და თეზისები, 1994.
3. თოდუა თ. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი (სადოქ. სადის. ნაშრ.), თბ. 1995.
4. ინაძე მ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები). - მსკი, 32, 1955.
5. ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.
6. ინაძე მ. ტერმინი „ჭანები“. - სქაუქტ, თბ., 1993.
7. კახიძე ა. ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-1968 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. - მაცნე, 3, 1974.
8. კახიძე ა., კახიძე ე., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ანტიკურ სამყაროსთან გვიანარქაულ და კლასიკურ ხანაში (ფიჭვნარში აღმოჩენილი მასალის მიხედვით). - ვანის მე-9 საერთაშორისი სიმპოზიუმის მოხსენებათა მასალები, თბ., 1999.
9. ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ. - მსკი, 35, თბ., 1963.
10. ლომოური ნ. დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.
11. ლომოური ნ. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან, თბ., 1998.
12. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
13. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIIსს,თბ.1971
14. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბ., 1961.
15. „ქართლის ცხოვრება“ ტ. 1, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
    1. 16. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, 1, 1967.
17. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ. 1976.
18. ყიფშიძე ი. ჭანეთში მოგზაურობა. - ენიმკის მოამბე, 1, ტფ., 1937.
    2. Армянская география VII в. под. ред. К. Патканова, СПб., 1877.
    3. Инадзе М. П. К вопросу о влиянии эллинизма в странах Закавказья.- Проблемы античной истории и культуры, I, Ереван, 1979.

4. Качарава Д. Д., Квирквелия Г. Т. Города и поселения Причерноморья античной эпохи, Тб., 1991.
5. Кудрявцев О. В. Римская политика в Армении и Парфии во второй половине правления Нерона.-ВДИ, 4, 1948.
6. Ломоури Н. Ю. Грузино-Римские взаимоотношения, Тб., 1981.
7. Манандян Я. А. Критический обзор истории армянского народа, т. 1, Ереван, 1841.
8. Максимова М. И. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л..
9. Марр Н. Я. Из поездки в турецкий Лазистан.-Отд. от. из ИИАН, 1910.
10. Меликишвили Г.А. Наири-Урарту, Тб., 1954.
11. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959.
12. Моммзен Т. История Рима, т. V, Ростов-на-Дону–М., 1997.
13. Отчет консула В. Джиффорда Пальгрева за лето 1872 о береге Лазистана и прилегающих к нему внутренних округах. - ИКОИРГО, т. VII, Тиф., 1882.
14. Ушаков П. К походам урартийцев в Закавказье в IX-VIII вв. до н. э.-ВДИ, 1946, 2.
15. Яйленко В. П. Греческая колонизация VII-III вв. до н. э., М., 1982.
16. Crow, J. A. A Review of the Physical Remains of the Frontiers of Cappadocia, The Defense of the Roman and Byzantine East, Proceedings of a Colloquium Held at the University of Sheffield in April 1986, Oxford, BAR Int. Ser., 1986, 297 (I).
17. Honigmann, E., Maricq, A. Recherches sur les Res Gestae Divi Saaporis, Bruselles, 1953.
18. Kiessling, M. RE, Bd. VIII, 1913.
19. Koch, K. Wanderungen im oriente während jahre 1843 und 1844, II. Reise im pontische gebirge und türkischen Armenien Weimar, 1846.
20. Sprengling, M. A New Pahlavi Inscription, AJSLL, 2, 1937.

თამაზ ფუტკარაძე

ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები (საცხოვრებელი ნაგებობები)

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (გრანტი № 4475) „ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“ ფარგლებში)

ისტორიული საქართველოს მხარეთა შორის თავისი მომხიბლავი ბუნებით გამორჩეულია ლაზეთი, სადაც დღემდე უხვადაა შემონახული დასახლების ძველქართული (ლაზური) ტიპი და ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. მათი შესწავლა საშუალებას იძლევა შევადაროთ ისინი მათივე მოძმეების ყოფისა და კულტურის თავისებურებებს, გამოვყოთ ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, დავადგინოთ ნათესაობა და ერთიანი გენეტიკური ფესვები, ლაზებისა და მეგრელების (ასევე სხვა ქართველური ჯგუფების) საყოფაცხოვრებო ერთობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია საყოფაცხოვრებო არქიტექტურის, სამშენებლო ხელოვნების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მეცნიერული შესწავლა.

ლაზური დასახლება

საცხოვრებელი ნაგებობებიდან კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით, გავრცელების არეალით გამოირჩევა როგორც შავიზღვისპირა ზოლის, ისე მთიანი რეგიონის ლაზური (ასევე ჰემშინების) დასახლებები.

საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად არსებობს უამრავი მასალა, მაგრამ უძველეს ტიპებთან მათი დამაკავშირებელი ხაზი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია სრულად არაა გამოკვეთილი (დავითაშვილი გ.,.1974:**3**). საკითხის შესასწავლად ავირჩიეთ საცხოვრებელი სახლის რამოდენიმე ტიპი, რომელთა კვლევას აქვს დიდი მნიშვნელობა საცხოვრებელი ნაგებობების, მასში შემავალი სათავსოების ფუნქციური დანიშნულების, ლაზური კარმიდამოს გარეგანი თავისებურებების, საცხოვრებლის ორნამენტაციასთან დაკავშირებული სპეციფიკის დასადგენად.

ლაზური სახლის გეგმის კომპოზიცია სწორკუთხედია ან კვადრატს უახლოვდება. ხშირად იგი ორსართულიანია, ესადაგება რთულ რელიეფს და აკმაყოფილებს ოჯახის საცხოვრებელი და სამეურნეო პირობებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კომპლექსში წარმოდგენილია საცხოვრებელი და სხვადასხვა დამხმარე შენობები. სახლის შიგა ნაწილის დაგეგმარებაში ასახული იყო ოჯახის სოციალური სტრუქტურა, სქესთაშორისი ურთიერთობები, მათი ადგილი და უფლება-მოვალეობანი ოჯახში (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, 2010:576).

მეცხრამეტე საუკუნემდე ლაზეთში ძირითადად მრგვალი ხეებისაგან აშენებულ ე. წ. „ჯარგვალა" სახლებს აშენებდნენ (მ. ვანილიში, ა. თანდილავა, 1964:100). სახლის აგების წინ ლაზები ნიადაგს მოასუფთავებდნენ და საძირკვლის ამოყვანას შეუდგებოდნენ. ხის შენობას საძირკვლად უწყობდნენ გათლილ ქვებს (**ბინაში დოდვალუ**). მასზე აშენებდნენ ხის კედლებს. ზედ გამართავდნენ ე.წ. **თავხეებს** (თავი ხე). ყველაზე დიდ თავხეს გადებდნენ სამზარეულოში **(„ონგორე")**. ონგორეს თავზე ჩამოკიდებდნენ საკიდელს **(„კრემული**") და „**ოვლეს",** რომელშიც აშრობდნენ ღომის თავთავს. ხე სწორად უნდა ყოფილიყო გათლილი. ამ მიზნით ხეზე „**ჭაფხუ"**-ს (ჭაფხუ//წარნაქი, წითელ საღებავში ამოვლებული თოკი) „გაატარებდნენ". მშენებლობისას ხშირად აწყობდნენ „**ნოდერს**" (ნადი). ნადი ეწყობოდა აგრეთვე სახლისათვის საჭირო მასალის დამზადების დროსაც. ნადისათვის შეარჩევდნენ ისეთ ადამიანებს, ვინც ფიცრის ხერხვა და ხის დამუშავება იცოდა. სამასალე ხეს ძირითადად ზამთარში („ხეს წყალი არ ექნება), მზიან ადგილას მოჭრიდნენ, რადგან მისი მასალა უფრო დიდხანს გაძლებდა. .

სახლის სახურავის აწევისას მოიწვევდნენ ახლობლებს და მეზობლებს, რომლებიც დალოცავდნენ სახლის პატრონს. ამ დროს ერთ-ერთი ხელოსანი ხელეჩოთი გამუდმებით აკაკუნებდა ფიცარზე, რაც საჩუქრის მოთხოვნის ნიშანი იყო. ახალ სახლში კერაზე ცეცხლი პირველად დედამამიან ქალიშვილს ან ახლო ნათესავს უნდა დაენთო.

ინტერესს იწვევს სამშენებლო ტერმინოლოგია, რომელშიც ლაზურთან ერთად გვხვდება თურქული და ზოგჯერ რუსული ტერმინებიც. მაგ. ბინებისა და ჭერის ქირიშებს\\ძელებს **დიზმეს** ეძახიან, კარებს – **ნეკნას**, კედლებზე გადმოშვერილი სახურავის ნაწილს – **სარაბახს**, ფანჯარას – **ფენჯერას\\აქოშკას**, იატაკს – **დოშემეს,** კედელს – **დიუვარს,** კიბეს – **კარდუმონს**, სახურავს – **საჩაღს**, დერეფანს – **სელოს**, საფუტ-

კრეს – **ბაგენს**, ნალიის აივანს – **აბარწას**, საქათმეს – **კარეს** (ზოგან **ოქოთუმალეს**), გამყოფი ხის ძელებს - **ონგურას** და ა. შ.

ჩვეულებრივ, ლაზური სახლი შედგება სხვადასხვა დანიშნულების ოთახებისაგან. სამზარეულო **(„ოხორშქაგური"),** რომელსაც ადრე მიწის იატაკი ჰქონდა, აერთიანებდა: **„ოკრებულე"**-ს (ადგილი, სადაც შუაცეცხლია), **„ოდაჩხირე**"-ს (კერის შუა ადგილი, სადაც შეშას ცეცხლი უკიდია), **„ოკიცე"//საკეცეს** (ადგილი, სადაც იდგმებოდა კეცი მჭადის (მჭკიდიშ) გამოსაცხობად. სამზარეულოს უშუალოდ უკავშირდებოდა **„ოჩხარე"//„ოწკარე",** სამზარეულოს მარჯვენა კარებიდან შესასვლელი ადგილი, სადაც მოწყობილი იყო ჭურჭლეულის დასარეცხი და თუნგების (კუკუმები//გუგუმები) დასადგმელი. სამზარეულოს მარცხენა მხრიდან დადგმულია მჭადის ფქვილის (მჭკიდიშ მქირი) შესანახი ფიცრის **„ხარო"** და სხვა პროდუქტების შესანახი თარო. ამ ადგილს **„ხარო კალა"**-საც უწოდებენ. კერიის მარცხნივ **„საწყალეს"** ზემოთ მიჭედებული იყო კოვზების ვერტიკალურ ჭრილებიანი ჩასაწყობი ოთხკუთხა რეიკისმაგვარი ფიცარი საკოვზე - **„ოკიზალე**", რომლის ზემოდან მოწყობილი იყო ღია თაროები - **„ოწუდე**" – გარეცხილი თეფშების დასაწყობად.

ოკრებულე"-საჯალაბო დარბაზი - ყველაზე დიდია (დაახლოებით 28-30 კვ. მეტრი). იგი წარმოდგენილი იყო შუაცეცხლით, მოგვიანებით ბუხრით. თუ დარბაზში ორი კერა იყო გამართული, ეს იმას ნიშნავდა, რომ „ოხორო"ორი ოჯახისაგან შედგებოდა. ამ დარბაზს არ ჰქონდა ჭერი, ამიტომ კერის პირდაპირ სახურავზე დატოვებული იყო საფუტე ხვრელი (საფუტე ფუტიდან მომდინარეობს. სულხან საბას განმარტებით ფუტი არის „მავნე კვამლი") ანუ „სარკუმე" (სარკუმედან უნდა იყოს წარმოშობილი სიტყვა სარკმელი) (ინტერნეტი: http://saunje.ge/index.php?id=1266&lang=ka)

საცხოვრებელი სახლის გეგმის კომპოზიცია წარმოადგენს ცენტრალური გეგმარების უძველეს ნიმუშს, რომელშიც მთავარ ადგილს იჭერს საოჯახო დარბაზი. საოჯახო სახლში შესასვლელი იყო ღია აივნიდანან ე. წ. შუა დერეფნიდან. საცხოვრებელი ოთახები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ცოლ-ქმრისათვის გათვალისწინებული იყო გვერდითი ოთახი – **გვერდიშ ოდა**, რომელსაც მშობლები შემდგომში უთმობდნენ დაქორწინებულ შვილს. შესაძლოა სახლს ჰქონოდა ორი გვერდითი ოდა: **„მარძგვანი"**//მარჯვენა და **„კვაზალი**"//მარცხენა.

სამზარეულოდან აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესასვლელი ე. წ. **შქაშოდა**"-ში (შუა ოთახი). სამზარეულო უკავშირდებოდა აგრეთვე გვერდით ოთახებსაც. მოხუცების ოთახს **„პაპულეს ოდას**" უწოდებენ. ცალკე იყო ე.წ. **„ჭიტა ოდა**" (პატარა ოთახი. ჭიტა, ჭიტინა, ვუჭიტინებ – სინათლის სხივის შემოსვლას უნდა უკავშირდებოდეს) და **„იაზიშ ოდა"** (საზაფხულო ოთახი). ამ ოთახების შესასვლელები გვერდითი და შუა ოთახების გარდა გაკეთებულია **„ხაიათზე**" (აივანი) გავლით. სასტუმრო ოთახს კარებს გარედანაც უკეთებენ. ლაზური სახლის გარეთა ნაწილის სახელწოდებებია: **„სთელო**" (**ოხორ შქა გურიში"** – შესასვლელი

აივანი, სახლზე გადაშვერილი სახურავით, **„ღოჯი”** – ეზოს ნაწილი, სადაც ერთმანეთს უერთდება სახლის ხის საფუძვლები (მ. ვანილიში, ა. თანდილავა, 1964:109), „**ჟიმოკა**” – სახლის სამზარეულოს უკანა მხარე, სადაც აწყობენ შეშას, შრომის იარაღებს, „**ოფუტე**” – ეზოს ფართობი, **„ბაღუ**” – პროდუქტების, ხილის, საზამთრო მარაგის შესანახი ბეღელი, **„ბაგენი**” – სასიმინდე, „**ოქოთუმალე**” – საქათმე, **„მსკიბუ**” – წისქვილი, **„ონჩამურე**” – საცეხველი და ა. შ.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ლაზური სახლი თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა მიწური იატაკით და შუაცეცხლით. მესაქონლეობა ადრიდანვე სუსტად იყო განვითარებული. შესაბამისად, ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული აღნაგობით შეესაბამებოდა სასოფლო და საზღვაო-სამეურნეო პირობებს. სახლს აუცილებლად უნდა ჰქონდა სათევზაო-სანაოსნო ინვენტარის შესანახი სათავსოები. „**თუდენი ოდა**”//ქვედა ოთახი გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო და სათევზაო-სანაოსნო ინვენტარის შესანახად.. მასში ინახავდნენ: მოსავალს, ციტრუსებს, სანაოსნო ინვენტარს: ნიჩაბს **(„ხოპე”), „თალაზს**” (ნავის ბორტზე სპეციალურად მორგებული ფიცრები, რომელიც იხმარება ტვირთით შორეული ნაოსნობის დროს), „**ფილოსს”** (ტივი), **„არმა”**-ს (ანძის მოწყობილობა: თოკები, ჭანგები და ა. შ.) და სხვა იარაღებს.

გონიო-სარფის ლაზურ მოსახლეობაში მთავარ შუაცეცხლიან სათავსოს რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ: **ოხორი**-საკუთრივ ლაზური სახელწოდება, **სამყოფი სახლი, სამზარეულო, მუთვაღი** (მუთვაღი თურქულიდანაა შემოსული) და ა. შ. (მიქელაძე ჯ., 1982:49). ი. ადამია ამ სათავსოს **საჯალაბო დარბაზს** უწოდებს და მას ლაზური საცხოვრებლის ადრინდელ საფეხურად მიიჩნევს (ი. ადამია, 1965:49). მართლაც, სამყოფ სახლს ლაზურ საცხოვრისში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ყველა სხვა სათავსო მასთანაა დაკავშირებული.

თანამედროვე ლაზეთში უმთავრესად ლამაზ, ე. წ. კომბინირებულ სახლებს აშენებენ. ქალაქად და დაბებში ქვის სახლები სჭარბობს.

ჩვენთვის საინტერესო საცხოვრებელი მდებარეობს ფინდიკლთან ახლოს, სოფელ **ჩაღლიან ქოიში** (ჩაღლიანი – ნიშნავს ხმაურიანს) საკარმიდამო ნაკვეთში, სოფლის ცენტრალური ჯამი-მეჰელეს ტერიტორიაზე და ეკუთვნის **ჰაჯი ალიოღლის**. რიყის სხვადასხვა ფერის ქვისა და ხის კონსტრუქციის კომბინირებით აშენებული სახლი მნახველზე ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას. ასეთ სახლს „**ფახვერკიან//ჩალანგარიან//ტოლმიან” სახლსაც** უწოდებენ (შოშიტაშვილი ნ.„ პაპიაშვილი თ., 2010:99). შენობის კედლების კონსტრუქცია წარმოადგენს დგარულ სისტემას, რომელშიც ჩასმულია ოთხკუთხოვანი, მცირე კვეთის რიკულები. მათი მეშვეობით მიიღება კვადრატული ხარიხები, რომელშიც კირის ხსნარით ჩამაგრებულია სხვადასხვა ფერის ქვები. შიგნიდან კედლები შეფიცრულია წაბლის მასალით. კედლის ასეთი

კონსტრუქცია ზრდის საცხოვრებლის მდგრადობას (შოშიტაშვილი ნ.,, პაპიაშვილი თ., 2010:99).

შენობის პირველი სართული წარმოადგენს ქვით აშენებულ სანათურიან (საქონლის პატივის გასაყრელი ადგილი) **საჯინიბოსა და ახორს**. შესასვლელი დერეფნით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ახორის მოქცევა საცხოვრისის სისტემაში შედარებით ძველი ტრადიციაა, რაც მოგვიანებით შეიცვალა მისი გაერთიანებით სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებთან, განსაკუთრებით კი საბძელთან (შოშიტაშვილი ნ.,, პაპიაშვილი თ., 2010:101). ტრადიციულად, სახლის სარდაფის სამი კედელი ქვით შენდებოდა, რომელსაც „**მესონს**" უწოდებენ. მესონი წარმოადგენს პირველი სართულის გამყოფ კედელს. გვერდითი კედლები „**კანადი"-**ის სახელითაა ცნობილი. ადრე აქ ინთებოდა შუაცეცხლი. ჭერზე გადებული იყო ხეები, რომელზეც ზამთარში გასახმობად ეწყობოდა ბრინჯის კონები. ამჟამად, საცხოვრისის პირველი სართული საწყობადაა გამოყენებული.

სახლი შედგება ექვსი ოთახისაგან. ოთახები არაა ძალიან დიდი. ლაზური საცხოვრებლის სხვადასხვა სათავსოებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე.წ. **დიდი ოდა,** რომელსაც დღეს „**ოთურმა სალონს"** (თურქულის გავლენით) ეძახიან. იგი უფროსი მამაკაცისა (დიდი ბაბას//პაპულეს) და უფროსი ქალის სამყოფია (სარფსა და გონიოში სახლის უფროს მამაკაცს **„ოხორიშ საიბს**", ხოლო უფროს ქალს „**ხჩინი ბადი"**ს უწოდებენ). ადრე სწორედ დიდ, ე. წ. „**ბუიუქ ოდა**"-ში იყო გამართული ბუხარი, კედლის ორივე მხარეს კი სექვი. იატაკი ფიცრულია. ამ ოთახში იძინებენ 8-10 წლამდე ასაკის ბავშვებიც. ამავე ოთახში იღებენ სტუმარსაც, დასაძინებლად კი გადაჰყავთ სასტუმრო ოთახებში.



ჩაღლიანი, ფეთი ჰაჯი ალიოღლის საცხოვრებელი სახლის სქემატური გეგმა

ოთურმა სალონის ჩრდ. მხარის ზედა ნაწილში, კედლის მთელ სიგრძეზე დატანებულია ვიწრო (დაახლოებით 30-40 სმ-ის სიგანის) აივნის მაგვარი სათავსო **„მედინე"** (იარუსი) რიკულებიანი მოაჯირით, სადაც ინახავდნენ ზამთრის პროდუქტებს (კვახი, თხილი, ლობიო). მედინეზე ასვლა შესაძლებელია კედელზე ვერტიკალურად დატანებული კიბის სამი საფეხურით. კიბის საფეხურის ორივე მხარეს არის 3 სამ-სამ თაროიანი **„დოლაბი"**. თაროები გასდევს კიბის საფეხურებს. ერთ დოლაბში ინახავენ ჭურჭლეულს, მეორეში ქვაბებს, მესამეში კი ფქვილს და სხვა პროდუქტებს. სიტყვა „დოლაბი" თურქულიდანაა შესული ლაზურში, თუმცა თავად თურქულ საცხოვრებელ სახლებს მსგავსი სათავსოები არ აქვს.

მედინეზე ასასვლელი კიბის საფეხურები

მედინე **დოლაბი**

ზოგიერთ სახლში მედინეზე ასასვლელად იყენებენ მოძრავ კიბეს, რადგან არ აქვს კედელში დატანებული კიბის საფეხურები.

დიდი ოდიდან არის შესასვლელი **ჭიტა** (პატარა) ოდაში, რომელსაც კედელში ჩატანებული აქვს ე. წ. **„იუქლუქი”** (თურქ.) – ლოგინების შესანახი სათავსო. სარფში მცხოვრებ ლაზთა საცხოვრისში მსგავსი სათავსოები ჰქონდა ყველა ოთახს. ვიწრო დერეფნის გავლით შედიხარ ე. წ. **„წალენდო”** (ქვედა) ოთახში, იქედან კი **„მაბეინ ოდასა” და „ჟილენდონ”**-ში (ზედა საძინებელი). სახლში მოწყობილია აბანო და საპირფარეშო. ძველი სახლების ყველა სათავსოს ერთ-ერთ კედელში დატანებული ჰქონდა ე.წ. **ონგლებიანი (დარაბებიანი)** ფანჯრები.

ონგლებიანი (დარაბებიანი) ფანჯარა რკინის კაუჭიანი საკეტით

ლაზური საცხოვრისისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა **ჰაიდარ სოიერის** ორსართულიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ხოფის ცენტრიდან 1 კილომეტრში. სახლი ორსართულიანია. მთხრობელთა გადმოცემით სახლის ასაკი 200 წელია. შესასვლელი თაღოვანია და წყვილად, სამ-სამი თლილი ქვისაგანაა აგებული.

თაღის სიმაღლე 1,8 მ-ია, სიგანე კი 86 სმ. შესასვლელი კარი ორნამენტირებულია. კარებს „დასაკეტად" **სელადს//კურაკს** უკეთებენ (მემიშიში ო. პირადი არქივი, რვეული 2). სხვა ლაზური სახლებისაგან განსხვავებით, ჰაიდარ სოიერის სახლის პირველი სართულიც ადამიანთა საცხოვრისისთვისაა გათვალისწინებული და შედგება ქვის ორი მიწის დატკეპნილიატაკიანი ოთახის, კედელში ჩატანებული ოთხი ე.წ. „თერეგის" //თაროსაგან (ფინდიკლელ ლაზებში – დოლაბი). ერთ-ერთი დიდი „თერეგი" კარტოფილის შესანახად გამოიყენებოდა. მთავარ ოთახში//სალონში მოწყობილია ბუხარი. ბუხარი არის სახლის მეორე სართულზეც. ყველა ოთახს აქვს დარაბებიანი ფანჯრები რკინის კაუჭიანი საკეტით, რომელიც ჩამოედება კედელში ჰორიზონტალურად ჩატანებულ რკინის ნაჭრებს.



ხოფა, ჰაიდარ სოიერის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სქემატური გეგმა

ლაზური სახლის კვადრების ხარიხები ძირითადად კვადრატულია, თუმცა გვხვდება დახრილხარიხებიანი კვადრებიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფელ ბაშქოიში (ხოფიდან 6 კმ.) მდებარე ქემალ ბულუთის 250 წლიანი სახლი, რომლის აღმოსავლეთის კედლის მარცხენა მხარეს არის დახრილი ხარიხები. ამიტომ კვადრები წარმოდგენილია სამკუთხედის ფორმით.

კვადრატული და დახრილხარიხიანი კვადრები

სახლის წინა კედელი ხისაა. ფანჯრებზე აქვს ორფრთიანი დარაბები.

ქემალ ბულუთის კარ-მიდამო (ბაშქოი)

კარ-მიდამო დასახლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და გულისხმობს საცხოვრებელი და შრომის ადგილის ერთიანობას (ჩიტაია გ., 1953:201). თვით კარ-მიდამო თავისთავში აერთიანებს როგორც საკარმიდამო მიწის ფართობს, ისე მასზე განლაგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს, რომელთა მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათა შეხამების თავისებურებები, ბუნების აღქმის სახე ეფუძნება ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას.

ლაზეთისათვის ტრადიციული კარმიდამოს ტიპი დღესაცაა შენარჩუნებული, ყოველ შემთხვევაში კარგადაა დაცული კარ-მიდამოს მოწყობის ძირითადი საფუძვლები. დაკვირვებული თვალი შენიშნავს კარ-მიდამოს სტრუქტურის უმნიშვნელო ცვლილებებსაც. ქემალ ბულუთის კარ-მიდამოს გარკვეული მოსაზრებით, შეიძლება ვუწოდოთ ტიპიური, კლასიკური ლაზური კარ-მიდამო, რომლის ტერიტორიაზე აშენებული საცხოვრებელი ხითა და ქვით ხუროობის ტექნიკის მაღალ დონეზე მეტყველებს. საკარმიდამო კომპლექსში წარმოდგენილია **ნალია, ახორი,** საფუტკრე (**ბაგენი),** საქათმე (**კარე,** რომელსაც ზოგან **ოქოთუმალეს** სახელით იცნობენ) და **მანგალი** (საშაშლიკე). დასახლება საკარმიდამო ტიპს განეკუთვნება. სახლთან ახლოს აქვთ სახნავ-სათესი ფართობები, მოშორებით კი ჩაის პლანტაციები.



ხოფა, სოფ. ბაშქოი, ქემალ ბულუთის საცხოვრებელი სახლის და ეზოს სქემატური გეგმა

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საცხოვრებელი, რომლის ასაკი დაახლოებით 200 წელია, მდებარეობს ხოფასთან ახლოს, კავაქ დიბის უბანში. იგი ოსმანოღლის საკუთრება ყოფილა. ამჟამად ნაგებობა ამორტიზირებულია და შენობაში შესვლა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. იგი აგებულია დამუშავებული, გათლილი და „მოკოდილი" ქვებით, ორსართულიანია და კრამიტის სახურავიანი ოთხფერდა გადახურვითაა წარმოდგენილი. ფანჯრები თაღიანია, შესასვლელი კი ოვალური.

სახლის კედლების ნაწილი ჩამოშლილია. ფართობი შეადგენს 14X12 კვ.მეტრს. ვიზუალურად, მსგავსი ტიპის საცხოვრებელი სხვაგან არ გვხვდება. საცხოვრებელი მდებარეობს მეჰელეს (უბნის) დავაკებულ ადგილას, გზის მარჯვენა მხარეს და ითვლება მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად. მომავალში გათვალისწინებულია სახლის რეკონსრტუქცია და მუზეუმის გახსნა.

ლაზეთში გავრცელებული სამფერდა, ოთხფერდა და ნახევრადწრიულ გადახურვიანი საცხოვრებლები სახლები ვიზუალურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ლაზეთში გავრცელებული საცხოვრებლის ძირითადი ტიპები

ლაზეთში გვხვდება აგრეთვე სამსართულიანი სახლებიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქ. ოფიდან 8 კმ-ის დაშორებით, ფინდიქობაშის მეჰელეში, სუბაქლის ხეობის მარცხენა მხარეს, ხეობის სათავეებისაკენ მიმავალი გზის ახლოს მდებარე სახლი. ამ საცხოვრისის თავისებურება ისაა, რომ მას არ გააჩნია კვადრები. იგი მთლიანად ხისგანაა აშენებული:

ტიპიური ლაზური სახლის კლასიკური ნიმუშია სურმენეში, საკუთრივ ბალიქლში მემიშადა იაკუბოღლის კუთვნილი საცხოვრებელი ნაგებობა, რომლის ასაკი 270 წელია. მემიშ აღა სამხედრო მოსამსახურე (ასისთავი) ყოფილა. მას ევალებოდა გადასახადების აკრეფა, საზღვაო მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი. იმ ადგილს, სადაც ეს სახლი მდებარეობს, რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ: კასტელი, კონაღი, მემიშადა კონაღი, ბაშთიმარ კონაღი და ა. შ. ამ მეჰელესაც ბაშთიმარ მეჰელეს უწოდებენ. ამჟამად ამ სახლში განთავსებულია მუზეუმი. მას რესტავრაცია ჩაუტარეს 1990-იან წლებში. მანმადე აქ მემიშადას ერთ-ერთი შთამომავალი ცხოვრობდა.

ლაზეთში დასტურდება სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა საცხოვრებლად გამოყენების შემთხვევები. ჩაღლიანის მეჰელეში, ალი ქემალ ჩებოღლის საკარმიდამო კომპლექსში მდებარე სამსართულიანი ნალიის პირველი სართული წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სტუმრებისთვისაც. ზოგჯერ მას აქირავებდნენ კიდეც, განსაკუთრებით ე.წ. მკალავებზე//კალაიჯებზე, რომლებიც დადიოდნენ საშოვარზე (დროებით სამუშაოზე) სოფელ-სოფელ და სპილენძის ჭურჭლეულს „კალავდნენ".

ასეთი ტიპის ნაგებობები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ნალია-სახლები", გამოყენებულია როგორც დროებით საცხოვრებლად, ისე ტურისტული მიზნებისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლაზური საცხოვრისისათვის დამახასიათებელი გადახურვის ტექნოლოგია. ამ მხრივ საყურადღე-

ბოა არდაშენთან ახლომდებარე სოფელში, ბარიშის მეჰელეში მდებარე ფატმა ენდეროღლის ბუნებრივ ტერასაზე აშენებული სახლი ოთხფერდა გადახურვით. სახურავი კედლებზე გადმოშვერილია 1,5-2 მეტრით.

აღნიშნული სახლი ყურადღებას იქცევს **დეკორის, ორნამენტის, მხატვრული გაფორმების** თვალსაზრისითაც. მისი ზომაა 13X14-ზე. სახლის შესასვლელში, ვიწრო დერეფნის თავზე არის საინტერესო ორნამენტი ბორჯღალა – სხივური დასხურების გამომხატველი მზის დისკო-გასხივოსნებული მზე:

ბორჯღალა ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა მთელ მსოფლიოში (ირანი, ინდოეთი, შუამდინარეთი) და წარმოადგენს სვასტიკის მრგვალმკლავა ვარიანტს. მათგან უძველესია კავკასიური ვარიანტები (მტკვარ-არაქსის, თრიალეთის კულტურები). ქართული „ბორჯღალის" შესატყვისია მეგრული „ბარჩხალი" (თვალისმომჭრელი) –

ნათება, ელვარება. ამასთანავე იგი „დროს", „ჟამს," „მარადისობას" ნიშნავს. იგი ოდითგანვე წმინდა ჩუქურთმად ითვლებოდა და ყველაზე საკრალური ლოგოგრამა იყო. ბორჯღალები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ქიმთა რაოდენობით. საქართველოში ყველაზე მეტად შვიდქიმიანი ბორჯღალო იყო გავრცელებული, რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა კოსმოსს და ქართულ წარმართულ პანთეონში არსებული შვიდი წმინდა მნათობის ხატოვანი ნიმუში იყო. წარმოდგენილი ბორჯღალა ქიმთა სიმრავლითაა გამორჩეული და ჩვენის აზრით დროის ცვალებადობისა და სიცოცხლის მარადიულობის ფუნქციითაა დატვირთული.

ორნამენტი გვხვდება აგრეთვე ქვის თაღიან შესასვლელსა და ჭერის სარტყელზეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნახევრადწრიულგადახურვიანი საცხოვრებელი ფინდიკლიში, საკუთრივ თოროსის უბანში მდებარე სახლი:

ზოგადად, ლაზი ოსტატების აშენებული სახლები გამოირჩევა რთული და ლამაზი ჩუქურთმებით. ზოგიერთი ჩუქურთმა ვაზს გამოსახავს. ჩუქურთმებით ამკობენ როგორც ხის, ისე ქვის სახლის შიგა კედლებსაც და ფასადსაც. ლაზური სახლის ფასადებზე ჩუქურთმების მრავალფეროვანი არშიების მოტივები და ცალკეული ნიმუშები,

რაც დღემდეა შემორჩენილი, ამჟღავნებს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული სამკაულებით ფასადის მორთვის ტრადიციას, რითაც აღნიშნული კომპოზიციები თავისი სიუჟეტითა და ხუროთმოძღვრული დამუშავების ტექნიკით ენათესავება კოლხური ოდა-სახლის სივრცობრივ კომპოზიციებს (ადამია ი., 1967:3-12)

ზოგიერთი სახლის კედელზე გამოხატულ ნახატებში იკითხება მეთვრამეტე საუკუნის სტამბოლში, უფრო ადრე კი თოფქაფის სასახლეში არსებული ფოლკლორული ვერსიები, ქალაქის საუკეთესო ხედები, გემები, და ა. შ., რაც უდაოდ არის მოგვიანო მოვლენა და შემკულობაში დომინანტი ეთნოსის გავლენას უნდა მიეწეროს, თუმცა ეს სრულიადაც ვერ უცვლის აქაურ საცხოვრებელს ლაზურ (ქართულ) იერსახეს და თავისი კონსტრუქციით, მშენებლობის ტექნიკით ქართული ხალხური საცხოვრებლის ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს. აქაურ საცხოვრისში აშკარად ჭარბობს ტრადიციული ორნამენტები, მათ შორის **სიცოცხლის ხე**. ასეთი შემკულობა პოპულარული იყო მეცხრამეტე საუკუნეში. ნ. მარის თქმით აქაური „**ორნამენტი ქვაზე დეკორატიული კვეთილობისა იმეორებს ქართული ქრისტიანული არქიტექტურის მოტივებს**" (მარი ნ., 1910:631). მნახველის განცვიფრებას იწვევს ჩუქურთმები, ხეზე და ქვაზე კვეთილობის ბრწყინვალე ნიმუშები. ლაზი ოსტატების მიერ შესრულებული სინატიფით განთქმული მრავალფეროვანი ორნამენტები, როგორც ხუროთმოძღვრული სამკაული გამოყენებულია ექსტერიერისა და ინტერიერის შესამკობად. უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის პროცესში შემოქმედებითად გამოიყენეს მათი კულტურული მიღწევები, აითვისეს, გადაამუშავეს საკუთარი ტრადიციების საფუძველზე და მისცეს მას მსოფლიო მნიშვნელობის შინაარსიანი ქართული (ლაზური) კულტურის დამოუკიდებელი ეროვნული სახე (ადა მია ი., 1967:3-12).

ლაზეთში დღემდე შემორჩენილი ორნამენტების მთელი სისრულით განხილვა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ აქ შევეხებით ორნამენტული დეკორის რამოდენიმე სახეს. ორნამენტი ინტერიერში ძირითადად გამოყენებულია ჭერისა და კარის ზედა ნაწილის მოსართავად, კედლებში ჩატანებული კარადებისა და თახჩების სიბრტყის ნაწილის დასამშვენებლად, კარ-ფანჯრებისა და მათი საპირეების შესამკობად. ჩვენ არ ვაპირებთ მათი კომპოზიციის, სიუჟეტის თემატიკის დეტალურ განხილვას და აქ მოტანილი ილუსტრეციებით და მოკლე ცნობებით დავკმაყოფილდებით.

საცხოვრებელი ნაგებობის ფასადი სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციით უკავშირდება სახურავს. ფასადი მოხატულია სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებით, მცენარეული მოტივებით. ფასადის ქვის კვადრებიანი კედელი ლაზური სახლის დეკორს განსაკუთრებულ დახვეწილობას და სილამაზეს ანიჭებს. ხის პატარა კვადრატული ჭდეები მთლიანად ფარავს კედლის გარე ფასადის მხარეს. მუქი ფერის ხის ოთხკუთხა ჭდეებში ჩასმულია განსხვავებული ფერის შედარებით ღია ქვები. ეს ქვები დამუშავებულია, მოპირკეთებულია და მიღებული აქვს მარმარილოსებრი ბრწყინვალება. სწორედ ეს ანიჭებს ლაზურ სახლს განსაკუთრებულ სილამაზეს. აქაური სახლების საუცხოო მახასიათებელი სიმეტრიული წყობაა. მნახველისათვის ლაზური სახლი ნამდვილად უჩვეულო სანახავს წარმოადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახლის ასეთი არქიტექტურული ტიპი აკმაყოფილებდა ერთის მხვრივ მცხოვრებთა ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ამავე დროს ხის მასალის დეფიციტურობის მაჩვენებელიც იყო. სახლების კონსტრუქციაში საკედლე მასალად გამოყენებულია რიყის ქვის ფერადი ჯიშები, რომლითაც მდიდარია ფორტუნასწყლის, ხოფისწყლის თუ ზღვის სანაპიროები. კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით ლაზური სახლის კედლები წარმოადგენს ოთხკუთხა კვეთის მქონე ხის ლარტყებს, რომლებიც ერთმანეთში ჭდობითაა ჩამჯდარი. მათი მეშვეობით მიღებულია კვადრატული ხვრელებისაგან შედგენილი ბადე. ხვრელთა ზომები შერჩეულია რიყის ქვის ზომების მიხედვით (20X20; 25X25 და ა. შ.). ამ ხვრელებში ჩაისმება სხვადასხვა ფერის რიყის ქვები და მიიღება კედლის სიბრტყის მხატვრული დამუშავების მოზაიკური სახის შესანიშნავი ნიმუში.

ლაზური საცხოვრებლები ძირითადად ისეთ ადგილებზეა აშენებული, საიდანაც იშლება ბრწყინვალე ხედები. ფანჯრების გასწვრივ, როგორც წესი, დგას ხის ტახტი, რომელსაც აქვს ზემოდან ასახდელი კარი. ამდენად, ეს ტახტი სათავსოს ფუნქციასაც ასრულებს. იგი საცხოვრებლის განუყოფელი ატრიბუტია.

საცხოვრებელს აქვს ორ-ორი, ზოგჯერ სამ-სამი შესასვლელი ორი მხრიდან. ოთახებში შესასვლელი კარები ხისაა და მოხატულია ორნამენტებით. ზოგიერთი კარის მთელ სიგრძეზე გამოსახულია სიცოცხლის ხე და ტიტები. შეიძლება ითქვას, რომ **სიცოცხლის ხე ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ლაზურ დასახლებებში**. როგორც ჩანს, ორნამენტის ამ სახეობას საცხოვრებელი ნაგებობების კონსტრუქციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და შესაბამისად გარკვეული ფუნქციის მატარებელია.

მნახველის ყურადღებას იქცევს მემიშ აღა იაკუბოღლის სახლის დედაბოძის შემკულობა. იგი მთლიანად ხისგანაა გამოთლილი თავფართო სვეტით. ზოგადად, დედაბოძზე გამოისახებოდა გეომეტრიული ორნამენტები, ფრინველები, ცხოველები, ადამიანის ხელი, ჯვრები, რადიალურად განსხივებული მზე და ა. შ. ხალხის წარმოდგენით კერა და დედაბოძი ერთ კომპლქსს შეადგენდა და ოჯახის წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. ყველა რიტუალიც მათ გარშემო

სრულდებოდა. დედაბოძის თაყვანისცემა ხის კულტს და სიცოცხლის მოტივს უკავშირდება. კავკასიის ხალხებში, ქართველებში, მათ შორის ლაზებში სიცოცხლის ხე იყო ცის საყრდენი, მნათობთა სადგური.

ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ორნამენტაცია უხვადაა გამოყენებული ბორჩხისა და მურღულის რაიონის სოფლებში. ცხადია, იქაური სახლებიც ლაზი ოსტატების მიერაა აშენებული. ამ ტიპის ორნამენტში ვაზთან ერთად ფიგურირებს სხვა მცენარეებიც. მაგ. მუსულმანი ბულგარელების სოფელ რიბნოვოში დავაფიქსირეთ საცხოვრებელი, რომლის კედელზე პალმაა გამოსახული.

საცხოვრებელი სახლი
სოფ. ბაშქოიში

საცხოვრებელი სახლის
ფასადი სოფ. რიბნოვოში
(ბულგარეთი)

მსგავსი მოტივები დაფიქსირდა ცენტრალურ ევროპაში, კერძოდ ავსტრიაში, ქ. გრაცის ერთ-ერთი საცხოვრებელი შენობის ფასადზე:

ორნამენტის ეს სახე თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას ეკუთვნის, მომდინარეობს ძველი ტრადიციებიდან (ჩიტაია გ., 2000:215) და პარალელებს პოულობს ქართულ, ზოგადკავკასიურ, წინააზიურ თუ ბალკანურ სინამდვილეში (ფუტკარაძე თ., 2008).

კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს საცხოვრისში **ბუხრის მოწყობის ტრადიცია**. ბუხარსა და კერას უძველესი დროიდან საკრალური ფუნქცია ეკისრებოდა. მასთან მთელი რიგი საოჯახო რიტუალები სრულდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საცხოვრებელი სახლის აივნებზე ჯაჭვით ჩამოკიდებული თუნგები (გუგუმები), რომლებიც მრავლადაა ლაზეთში მცხოვრებ ჰემშილთა და ლაზთა თანამედროვე საცხოვრებელ კომპლექსში.

ასლანდერე (ფინდიკლი), ალი ჩებოღლის სახლი

ჩვენის აზრით, აივანზე ჯაჭვისა და თუნგის ჩამოკიდება შუაცეცხლის უძველეს ტრადიციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თანამედროვე სახლებში ბუხარი ღუმელმა ჩაანაცვლა. მისი ეს სიმბო-

ლური დატვირთვა, როგორც სიცოცხლის მარადიულობის გამოხატულება თანამედროვე პირობებში ასეთი ფორმით იქნა წარმოდგენილი. ძველ სახლებში შემორჩენილ ბუხრებს კი სიმბოლური დატვირთვაღა შერჩა.

ბუხარი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომლის მიხედვითაც ხდება შიგა დეკორაციის ორიენტირება. ბუხრებზე გამოხატულია სიმბოლური ორნამენტები, რომელთა შორის გვხვდება როგორც ასტრალური გამოსახულებანი (მაგ. ვარსკვლავები, მთვარე), ისე ისლამურ-თურქული სიმბოლიკა (ნახევარმთვარე). უმარტივესი კონსტრუქციის საშუალებით ბუხრის მთელი სიმძიმე ეყრდნობა **დირეგს (ბოძს),** რომელიც თავისი აგებულება – დანიშნულებით ქართული სახლის დარბაზულ სისტემაში არსებულ ე.წ. **„დედაბოძს" მოგვაგონებს**. მას ეყრდნობა ოჯახის მთელი სიმძიმე (ადამია ი., 1967:8-9). გათბობა თითქმის ყველგან დაკავშირებული იყო შუაცეცხლთან, მოგვიანებით კი ბუხართან.

ბუხრის მოპირდაპირე მხარეს, სექვების პირდაპირ არის წაბლის მასალისაგან დამზადებული საოცარი დახვეწილობის კარადა და თაროები ე.წ. **მუსანდარა** – ლოგინებისა და ჭურჭლეულის შესანახად. მართალია დროთა სვლას მათთვის ფერი შეუცვლია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს იშვიათი სილამაზე, რომელშიც ვლინდება სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონე. ზედაპირი მთლიანადაა მოჩუქურთმებული სხვადასხვა ორნამენტით. მრავლადაა მცენარეული მოტივები, მათ შორის სიცოცხლის ხეც. ბუხრის მეორე მხარეს გამართულია აბანო. სექვის თავში, სახლის უფროსისათვის გამოყოფილ ადგილას განთავსებული იყო ძვირფასეულობის შესანახი სკივრი. სტამბოლის საცხოვრისთა გავლენით ზოგიერთ სახლში გვხვდება ე.წ. საქანელები, რომლებიც ადრე ხშირი იყო ჰარამხანებში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი დახრილი ღია კიბე, რომელიც იშვიათია სამოქალაქო არქიტექტურაში. გაურკვეველია, როგორ შეაღწია ამ სახის კიბემ ლაზეთში. ასეთი კიბეები დამახასიათებელია სტამბოლის არქიტექტურასა და მეჩეთებისათვის და შესაძლოა სწორედ მათი გავლენის შედეგია. კიბესთან ერთად ინტერესს იწვევს დახრილსახურავიანი ქვის დიდი საკვამური, რაც მიუთითებს შენობის დანიშნულებასა (საცხოვრებელი) და მასში არსებულ დიდ სამზარეულოზე, რასაც ისინი „**აშხანას**" (თურქ. კერძი) ეძახიან. სახლში სამზარეულოს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას აქვს შესასვლელი ორი მხრიდან და წარმოადგენს მოჩუქურთმებულ და მოხატულ თაროებიან სათავსოს. სწორედ სამზარეულოს ერთ მხარეს მდებარეობს ქვის სარტყლით, ე. წ. „სამზარეულოს ფარდით" შემოსაზღვრული დიდი ბუხარი, რომლის საკვამური ზემოდან ღიაა. მასში, ზუსტად ცეცხლის შუაგულში ჩამოშვებულია რკინის ჯაჭვი, რომელიც გათვალისწინებულია ქვაბების ჩამოსაკიდად.

ნიშანდობლივია, რომ ლაზი ოსტატების მიერ აშენებულ სახლებს ვხვდებით კლარჯეთში, შავშეთში, ასევე აჭარაში (გონიო, სარფი, ფურტიო, მახუნცეთი, ოლადაური, ქოსოფელი და სხვ.), გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. რა თქმა უნდა, ამ რეგიონებშიც იყვნენ მშენებლები, მაგრამ ლაზები ამ თვალსაზრისით აშკარა უპირატესობით სარგებლობდნენ. გ. ჩიტაიას თქმით აჭარასა და მთელ დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ოსტატებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ მიერ ნაგები სახლები, ეკლესიები და ჯამეები დღემდეა მოღწეული (ჩიტაია გ., 1941:305). მათ ამშვენებს ლაზური ორნამენტი. ზოგან ოსტატს თავისი წარწერაც კი გაუკეთებია. მაგ. ბაღდათის რაიონის სოფ. სანში ერთ-ერთ სახლს ჰქონდა წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე (მ. ვანილიში, ა. თანდილავა, 1964:101). ჩიტაიას ცნობით, ბაღდათში სამი ძმა ლაზი ყოფილა: ომერ, ახმედ და მუსტაფა, რომლებსაც ხანისწყლის ხეობაში ლაზური სახლები უკეთებიათ (გ. ჩიტაია, 1941:305) ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ლაზი ოსტატები განთქმული იყვნენ სამხრეთ რუსეთის ზღვისპირა ქალაქებშიც კი (მარი ნ., 1910:618

თურქეთის სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადრებას აქცევს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობას. ლაზური სახლები ასეთ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება. სახელმწიფო ლაზური სახლის მეპატრონეებს ბიუჯეტიდან უხდის 50-50 ათას ლირას, რათა არ დააზიანონ საცხოვრებელი სახლების ფასადები და შეკეთებისას მათ პირვანდელი სახე შეუნარჩუნონ. საკვლევ რეგიონში მრავლადაა განახლებული ლაზური სახლები, რომლებიც მნახველზე ახდენენ წარუშლელ შთაბეჭდილებას:

განსხვავებულია ლაზეთის მთიანი ზოლის საცხოვრებლები, ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ალპური ზონის დასახლებები. ჰემშილთა დასახლება კალე იაილაში, რომელიც მდ. ფორტუნას წყლის სათავეებში, არდაშენიდან 56 კმ-ის დაშორებით ბდებარეობს, გვხვდება როგორც ერთსართულიანი ჯარგვალური ტიპის სახლები, ისე ზედშედგმული ჯარგვალიც. აქაური იაილა//კონაღი წარმოადგენს გრძელ, ჰორიზონტალურ ბანიან ნაგებობას, სადაც ერთ ჭერქვეშ არის როგორც ადამიანთა საცხოვრისი, ისე ცხოველთა სადგომი. იგი აშენებულია სხვადასხვა ზომის ქვების უწესრიგო წყობით და შედგება სამი სათავსოსაგან. ერთი განყოფილება ცხოველთა სადგომია, მეორე - (შუა) – სარძიე, მესამე ადამიანთა საცხოვრისი. სახლის კარები ერთფრთიანია და ვერტიკალურად შეჭედილი ხისგანაა შეკერილი. გვხვდება აგრეთვე ასეთივე ტიპის ხის კონსტრუქციებიც:

ლაზეთის ალპური საძოვრების ტერიტორიაზე განლაგებული ჰემშილების სახლების კომპლექსში შემავალი ოთახ-სათავსოები არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით მოგვაგონებს ამავე რიგის ქართულ ხალხურ ნაგებობებს და ჯავახეთის სომხების მიწურბანიანი სახლების ანალოგებს (თრიალეთი, ჯავახეთი), თუმცა მათგან განსხვავებით უფრო ნაკლები სინატიფით გამოირჩევიან. საცხოვრებელი ოთახები საკმაოდ დაბალი და ბნელია.

კალე იაილაში გვხვდება მეორე ტიპის საცხოვრებელიც. გარკვეული თვალსაზრისით მას შეიძლება ზედშედგმული ჯარგვალი ვუწოდოთ. ერთ-ერთი ასეთი საცხოვრებლის სიგრძე 12 მეტრი, სიგანე კი 6 მეტრია. ნაგებობა ორსართულიანია. პირველი სართული წარმოადგენს ცხოველთა სადგომს. იგი ქვის მშრალი წყობითაა აშენებული. მეორე სართული ჯარგვალურია და მრგვალი ხის ძელებისაგანაა ნაშენი. იგი შედგება ადამიანთა საცხოვრებელი ოთახისა და სუთხანისაგან (სარძიე).

კალე იაილაში ბევრია ნაქოხარები და მათ ირგვლივ ციკლოპური წესით შემოზღუდული ტერიტორიები, რაც ჩვენის აზრით საქონლის ღია სადგომებს წარმოადგენდა. მათი ფართობი დაახლოებით 40-60 კვ. მეტრს შორის მერყეობს. საქონლის მსგავსი სადგომები ცნობილი იყო საქართველოშიც. დიდ ღია სადგომებს ჩვენთან **ხალხამს,** პატარებს კი **ბერას** უწოდებდნენ.

განხილული მასალიდან ნათელია, რომ თურქეთის საქართველოს ზღვისპირა და მთიან ზოლში თანამედროვე სახლებთან ერთად ფართოდაა გავრცელებული ვერტიკალურ ჭრილში წარმოდგენილი ორ ან სამსართულიანი ლაზური, ე.წ. კომბინირებული ტიპის საცხოვრებელი. მათი შესწავლა საშუალებას იძლევა ტრადიციული კულტურით მდიდარ ლაზეთში წარმოჩნდეს ხალხური საცხოვრებლის თავი-

სებურებანი, ქართულ (ლაზურ) საცხოვრებელთან გენეტიკური სიახლოვე და მისი ადგილი ქართულ, უფრო ზუსტად დასავლურ ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა განვითარების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამია ი., ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, „ძეგლის მეგობარი", № 12, თბ. 1967;
2. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბ. 1965;
3. ადამია ი. ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუშიმდ. ვირილის ზემოდინების ხეობაში, „ძეგლის მეგობარი", №12, თბ. 1967
4. დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია, „ძეგლის მეგობარი", №34, თბ.1974
5. ვანილიში მ. , თანდილავა ა., ლაზეთი, თბ. 1964
6. მემიშიში ო., პირადი არქივი, რვეული 2
7. მარი ნ., თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, სანკტ-პეტერბურგი, 1910;
8. მიქელაძე ჯ., საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აჭარაში, ბათ. 1982
9. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ. 2010
10. ფუტკარაძე თ., საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია პირინის მაკედონიაში, ი, ოქტომბერი, 2008
11. შოშიტაშვილი ნ., პაპიაშვილი თ., ტრადიციული საცხოვრებლის ნიმუშები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, „ჭოროხი" №2, 2010 წ. მარტ-აპრილი;
12. ჩიტაია გ., შრომები, ტ. II, თბ., 2000;
13. ჩიტაია გ., სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბ. 1941;
14. Марр Н.Я. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтиского. См. дневник поэздки в Шавшетию и Кларджетию, с Петербург, 1911, стр.75.
15. http://saunje.ge/index.php?id=1266&lang=ka

Tamaz Putkaradze

Examples of Domestic Architecture Preserved in the Eastern Part of Historical Chaneti

Summary

Lazeti is one of the distinguished, with its attractive nature, historical parts of Georgia, where there are still numerous samples of monuments of the settlements of the old Georgian type and the unique monuments of the folk architecture. The article describes the typical houses in Lazeti (Lazuri house) and its specific characteristic features.

მარინა ჯინჭარაძე

სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები XX ს-ის ქართულ ხელოვნებაში

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თანამედროვე-X Xს-ის ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ზოგიერთი თავისებურება იმ მხატვართა გარკვეული ჯგუფის მაგალითზე,რომელთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მხატვრულ-სტილისტურ ტენდეციებს, იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, სწავლების იმ სხვადასხვა მეთოდებს, რომელიც დამახასიათებელია ქართული მხატვრული სკოლისათვის.

მიუხედავად იმისა,რომ ახალი და უახლესი პერიოდის ქართული ხელოვნების პრობლემებს არა ერთი გამოკვლევა მიეძღვნა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს: ვ. ბერიძის, ნ. ეზერსკაიას, გ. ალიბაგაშვილის, მ. კარბელაშვილის, გ.ხოშტარიას, მ.ციციშვილს და სხვათა ნაშრომები, ამ პერიოდის მხატვრულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები ჯერ კიდევ არ არის ფართოდ შესწავლილი.

ახალი ქართული ხელოვნების საწყისები დაკავშირებულია XIX ს-ის დასასრულისა და X X ს-ის დასაწყისის ქართული ფერწერის განვითარებასთან, მის წარმომადგენლებთან. ახალ ქართულ ხელოვნებაში ფიროსმანის ფიგურამ, რუსეთიდან და ევროპიდან შემოსულმა ტენდენციამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა მხატვართა ერთი ჯგუფის შემოქმედებითი ძიებები და მხატვრული ენის თანამედროვე მოდერნულისაკენ შეცვლა. მაგრამ ეს პროცესები ხელოვნურად იქნა შეჩერებული. ჟამთა უკუღმართობის გამო, 1920-იანი წლების II ნახ-დან განვითარებულმა მოვლენებმა მკვეთრად შეცვალა ქართულ ხელოვნებაში საუკუნეების მიჯნაზე აღებული გეზი.

1922წ. 25 მაისს თბილისში გაიხსნა სამხატვრო აკადემია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების ფაკულტეტებით და სადაც სწავლება რუსული აკადემიური მეთოდით ე.წ. ჩისტიაკოვის მეთოდით მიმდინარეობდა. საბჭოთა იდეოლოგიასთან შესაბამისობაში ის წარმატებით ამკვიდრებდა აკადემიურ ხელოვნებას და მცირედ შეიცავდა თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი ძიებების ელემენტებს. ფაქტობრივად აკადემიის სკოლამ განსაზღვრა ნაწილობრივ XX ს-ის ქართული ხელოვნების თავისებურებანიც. ამ პერიოდის ევროპულ ხელოვნებაში კი დიდი პროცესები მიმდინარეობდა და ახალი, თანამედროვე, ევროპული ტენდეციები აკადემიზმს უპირისპირდებოდა.

ახალი თაობების აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს.ქობულაძეს, თ.აბაკელიას, ლ.გრიგოლიას, ს.გაბაშვილს და ვ. შუხაევს, რომლის შემოქმედება უფრო რენესანსური და აკადემიური ნახატიდან მოდიოდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ქართულ სახვით ხელოვნებაში დაწყებული ძიების პროცესი, რომლის ერთი ნაწილი მტკიცედ იდგა რეალიზმის პოზიციებზე, მეორე ნაწილს მცნება „რეალიზმი“ ვიწროდ ესმოდა და რევოლუციურ გარდაქმნათა ეპოქის ასასახავად სრულიად ახალი მხატვრული ფორმებისა და სტილის შექმნის საჭიროებას ქადაგებდა, მესამე კი, ეროვნული მხატვრული ფორმის სტილიზაციისკენ ისწრაფოდა, არ იფარგლებოდა მხოლოდ ამგვარი ძიებით და მათი ინტერესების საგანს წარმოადგენდა როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური ხელოვნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მოდერნის სტილმა, რომელმაც საქართველოში გავლენა უფრო დიდხანს შეინარჩუნა და რასაც ხელს უწყობდა პეტერბურგიდან რევოლუციის შემდეგ გადმოსახლებული ე. ლანსერესა და ი. შარლემანის შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობა.

30-იანი წლების ქართველ ხელოვანთა შემოქმედებაში (ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური მხატვრობა და წიგნის მხატვრობა) გაზიარებულია ევროპული ავანგარდის თითქმის ყველა ძირითადი მიმდინარეობა. ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში მხოლოდ ერთი ან ორი მიმდინარეობის მიდევნება ვლინდება (შ. ქიქოძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, კ. ზდანევიჩი, ე. ახვლედიანი, დ. თავაძე), სხვებთან რამდენიმე მიმართულების თანმიმდევრული გადამუშავება და გათავისება იჩენს თავს (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ი. გამრეკელი, დ. შევარდნაძე), ზოგჯერ კი, ქართველი მოდერნისტის ნაწარმოებები იმდენად სახეცვლილი და თავისებურია (მაგ. პ. ოცხელი), რომ პირდაპირი ანალოგიის მოძიებაც კი ძნელდება (ციციშვილი, 2008:101-102).

1930-იანი წლებიდან, ზოგადად მოდერნისტული ხელოვნება 1921 წელს ანექსირებული საქართველოს კულტურამ ერთიანი საბჭოური კულტურულ-ესთეტიკური სივრცის შექმნის მიზნით აკრძალვების შედეგად, მარგინალიზაცია განიცადა. ეროვნული კულტურების მარგინალიზაციამ ჩვენი მეხსიერებიდან სრულიად ამოშალა XX ს-ის დასაწყისის სახელოვნებო ცხოვრება. საბჭოთა პერიოდში რეპრესიებს ფიზიკურად გადარჩენილი მოდერნისტების 1910-20-იანი წლების შემოქმედება განიხილებოდა ახალგაზრდა მხატვართა მოდერნიზმით ერთგვარი „გატაცების“ პერიოდად.საბჭოთა პერიოდის თანხვედრილი მათი ხელოვნება კი წარმოიდგინებოდა ევოლუციურ-განვითარებად ჭრილში და თავსდებოდა სოციალისტური რეალიზმის კონტექსტში. (ყიფიანი,2008:98-99).

მიუხედავად ამისა, 1930-იან წლებში და მოგვიანებითაც გრაფიკოსები ლ. გუდიაშვილი, ს. გაბაშვილი აგრძელებენ თავის ილუსტრაციულ და დაზგურ გრაფიკაში ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ქართულ ძირებთან შეჯიბრების პროცესს. რამდენადმე განსხვავებული მიმართულებით მუშაობს ს.ქობულაძე, რომელიც აქცენტს რენესანსის ხელოვნების ინტერპრეტაციაზე აკეთებს, თუმცა სიცოცხლის ბოლოს პ.პიკასის ნეოგრეკული სტილით ინტერესდება. თაობები აგრძელებენ 1920-1930-იან წლებში გამოკვეთილ მისწრაფე-

ბას კულტურულ დიალოგში მონაწილეობისაკენ, ეროვნული ხელოვნების ჰარმონიული ჩართვისკენ მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ სამხატვრო პროცესებში (ზაალიშვილი,2008:105-106).

XX ს-ის 50-იანი წლებიდან ქართულ ფერწერასა და გრაფიკაში ცვლილებები შეინიშნება. ახალგაზრდა ქართველი მხატვრები - დიმიტრი ყიფიანი, ედმონდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, გივი კასრაძე და სხვები ახერხებენ დასავლეთში მიმდინარე მხატვრული მოვლენების არა მარტო გაცნობას, არამედ შესწავლა-შეთვისებას, განსაკუთრებით იმპრესიონიზმით დაინტერესებას. თუმცა 60-იანი წ- დან შეინიშნება იმპრესიონისტული ღირებულებების კრიტიკული გააზრება, ეიფორიიდან გამოსვლა და მათი შემოქმედებითი ტენდენციების გაძლიერება.

ამდენად, ქართველი მხატვრების შემოქმედებითი პროცესი ემყარებოდა როგორც სამხატვრო აკადემიაში მიღებულ ე.წ. ჩისტიაკოვის მეთოდს,ასევე ევროპულ ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრულ მოვლენებს. ამასთან 60-იანი წ-დან იწყება ახალი მხატვრული გამომსახველობითი ხერხების ძიება, (როცა ძირითადი აქცენტი კეთდება პროპორციებზე. პერსპექტივაზე,შუქ-ჩრდილზე) რამაც რიგი ქართველი მხატვრებისა (ე.კალანდაძე, დ. ერისთავი, ზ. ნიჟარაძე და სხვ.) რენესანსული ხელოვნების ტრადიციებამდე მიიყვანა. თუმცა რენესანსული მხატვრობაც შეიცავდა იმ ელემენტებს, რომელმაც მხატვართა თაობები ჩიხში შეიყვანა და იქედან გამოსავლის პოვნა მხატვართა იმ ნაწილმა შეძლო, რომლებიც ქმნიდნენ საკუთარ გამომსახველობით სისტემას და მკვეთრად გამოხატული შემოქმედებითი ინდივიდუალობა ახასიათებთ.

გამოყენებითი ლიტერატურა:

1. მ.ციციშვილი,ექსპრესიონიზმიდან დადამდე 1910-1930-იან წლების ქართულ მხატვრობაში, ვ.ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები,თბილისი,2008
2. მ. ყიფიანი,“პოეტურად ბინადრობს ადამიანი“, ვ.ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები,თბილისი,2008
3. ნ. ზაალიშვილი,1920-30-იანი წლების ქართული გრაფიკის ზოგიერთი ტენდენცია, ვ. ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი,2008
4. მ.ჩიხრაძე, თანამედროვე ქართული ნატახის განვითარების ანალიზი, ავტორეფერატი, თბილისი,2006
5. ნ. ჯანბერიძე, სახვითი ხელოვნების განვითარების გზა 20-იანი წლების დასაწყისიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი,1989
6. ლ.რჩეულიშვილი,ახალი ქართული ხელოვნების საკითხები, გამომცემლობა „ნეკერი“,თბილისი,1998

Different art stylistic tendencies in XX century Georgian art

Summary

The aim of work is to promote the modern 20th century Georgian fine art developments some peculiarities. In the theme is discussed the methods of teaching in the Art academy, which basis are not only Russian academic the so called Chistiakov's method, but also the principles of Renaissance.

საარქივო დოკუმენტური წყაროები იუსტიციის სახალხო კომისარიატი (ანგარიში 1921-1924 წწ.)

(მასალები მოიძია საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის და დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის განყოფლების მთავარმა სპეციალისტმა ნატო ქიქავამ)

1924 წლის 1-ლ იანვარს შესრულდა 3 წელი მას შემდეგ, რაც აჭარისტანის ფუხარა ხალხმა საბჭოების სახით ხელთ ჩაიგდო ძალაუფლება. ამ დიად ისტორიულ მომენტს თავის-თავად მოჰყვება ძველი ბურჟუაზიული წესების დამხობა და ახალი ფორმების შექმნა. როგორც უკვე ვიცით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ბურჟუაზიული კლასი მშრომელი კლასის სასტიკ ექსპლოატაციას ეწეოდა განსაკუთრებით ბურჟუაზიული სასამართლოების საშუალებით. გასაბჭოების პირველ ხანებში ხელისუფლებამ გადასწყვიტა რა წინანდელი სასამართლო ორგანიზაციის მოსპობა, მიზნად დაისახა თავისი ახალი კლასიური სასამართლოს შემოღება, რომლის დანიშნულებაა პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, სახელმწიფოს მშრომელთა და მათი კავშირების უზრუნველყოფა. ასეთ ორგანოთ უნდა შექმნილიყო სახალხო სასამართლო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ჩაეყარა საფუძველი საგამომძიებლო აპარატის შექმნას. ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტთან დაარსებულ იქნა იურიდიული განყოფილება, შემდეგი ქვე-განყოფილებების სახით: 1) სამოსამართლო-საგამომძიებლო, 2) საიურისკონსულტო, 3) დასჯა-გამოსწორების და 4) ადმინისტრატიული. აჭარისტანის რევოლიუციონურ კომიტეტის იურიდიულ განყოფილებამ პირველყოვლისა მიზნად დაისახა საგამომძიებლო აპარატის შექმნა. 1924 წ. აპრილის თვეში უკვე ოთხი სახალხო გამომძიებელი მუშაობდა ბათომში. აღსანიშნავია ის, რომ ქალაქში და ასევე მაზრებში მყოფი ბნელი ელემენტები გასაბჭოებისთანავე შეეცადენ ამოძრავებას და თავიანთი ბნელი საქმეების კეთებას, მაგრამ ხელისუფლების გადამწყვეტ და გადაჭრილმა ზომებმა, ბნელი ზრახვების განხორციელების საშუალება დაუკარგა მათ. ამიტომ სახალხო გამომძიებლების მუშაობა ჩადგა ნორმალურ კალაპოტში.

გასაბჭოების დასაწყისში ბოროტმოქმედებები უფრო ქონებრივი ხასიათისა იყო; ხშირი იყო მაგ. ქურდობა. რაც შეეხება მაზრებს, აქ კი უფრო სხვა სურათს ქონდა ადგილი: გამეფებული იყო სხვადასხვა ბოროტმოქმედებები, როგორიცაა მაგ. დაჭრა, დაცემა, წარმოშობილი შურის ძიების ნიადაგზე, რასაც მაგრად ჰქონდა გაბმული ფესვები აჭარისტანში.

გაცილებით უფრო ძნელი მოსაგვარებელი შეიქნა სახალხო სასამართლოს ინსტიტუტი. ბევრ სხვა მიზეზეთა შორის აღსანიშნავია ის, რომ თვით რევოლიუციონურ კომიტეტს ქ. ბათომში საშუალება არ ქონდა გადამჭრელი ზომები მიეღო ახალ სასამართლოს დაარსებისათვის, რადგანაც მას ცენტრიდან არავითარი დირექტივები ამის შესახებ არ მოეპოვებოდა. მართალია ძველი „ჩინოვნიკური" საოლქო სასამართლოს მოსპობილ იქნა, მაგრამ მის ნაცვლად ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ახალი სასამართლო. ეს გარემოება კი ძალიან ცუდ პირობებში აყენებდა მშრომელთ.

ამ დეფეკტის გამოსასწორებლათ, რომ საშუალება მისცემოდათ მოქალაქეთ თავიანთ დავის განხილვისა პრიმიტიული წესით მაინც, რევკომის იურიდიულ განყოფილებამ შემოიღო სამოქალაქო საქმეების ადმინისტრატიულ წესით გარჩევა. ასეთი საქმეები თავმოყრილ იქნა საიურისკონსულტაციო განყოფილებაში. რა თქმა უნდა, ამ წესებს დროებითი ხასიათი ქონდა.

ამ წესით სახალხო სასამართლოს დაარსებამდე განხილულ იქნა იურიდიული განყოფილების მიერ 500 საქმე. ნაწილი ამ საქმეებისა კვლავ მოხდა განსახილველად სახალხო სასამართლოს საბჭოში. 16 ივლისს 1921 წ. აჭარისტანი აღიარებულ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკათ, რის გამო რევკომთან არსებული იურიდიული განყოფილების მაგივრად დაარსებულ იქნა იუსტიციის სახალხო კომისარიატი შემდეგი განყოფილებებით: 1) სასამართლოსი; 2) საიურისკონსულტო და 3) დასჯა-გასწორების.

1921 წ. ოქტომბრის თვეში სახალხო სასამართლო მოწყობილ იქნა და შეუდგა მუშაობას. დაარსებულ იქნა თვით ქ. ბათომში 3 სახალხო სასამართლო, შემდეგ ერთი ქობულეთში. სხვა მაზრებში კი სასამართლოს დაარსება სხვა და სხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა.

ახლად დაარსებული სახალხო სასამართლო თავის მუშაობის დროს ხელმძღვანელობდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ „სახალხო სასამართლოს დებულებით:. ამ დებულების გამოქვეყნებით და მისი ცხოვრებაში გატარებით სახალხო სასამართლოების მუშაობა უფრო გაცხოველდა და მიიღო ინტენსიური ხასიათი. სამუშაო კი ბევრი იყო, რადგან დაგროვილი იყო სახალხო სასამართლოს უქონლობის გამო მრავალი გაურჩეველი საქმეები, როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე სამოქალაქო ხასიათისა. პირველ სამ თვეში, სახალხო სასამართლოების დაარსების შემდეგ (ოქტომბერი-დეკემბერი 1921წ.), სასამართლოებში შემოვიდა 970 სისხლის სამართლის და 703 სამოქალაქო საქმე, გარჩეულ იქნა ამ დროის განმავლობაში 596 სისხლის სამართლის და 417 სამოქალაქო საქმეები.

1922 წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოს წარმოებაში იყო 1082 სისხლის სამართლის და 2119 სამოქალაქო საქმე. ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ 1921 წელში სისხლის სამართლის საქ-

მეები 300-ით უფრო მეტი იყო წარმოებაში, ვიდრე სამოქალაქო. 1922 წელში კი სისხლის სამართლის საქმეებმა იკლო და სამოქალაქო საქმეები ძალზე გაიხარდა. ცხრა თვის განმავლობაში (1922წ.) სამოქალაქო საქმე 1937-ით უფრო მეტი იყო ვიდრე სისხლის სამართლისა. ასეთი მოვლენის უმთავრეს მიზეზათ უნდო ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის აღიარება. თავისთავად ცხადია, რომ კერძო ინიციატივის დაშვებამ სავაჭრო და საწარმოო დარგებში გამოიწვია სხვა და სხვა ხასიათის ურთიერთობა მოქალაქეთა შორის, რასაც მოყვა სამოქალაქო საქმეების ზრდა სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით და სახალხო სასამართლოების მუშაობის ინტენსივობა.

სახალხო სასამართლოები მუშაობდენ „სახალხო სასამართლოს დებულებით", რომელიც შემოღებულ იქნა 1921 წლიდან. სასამართლოების კლასიურ პრინციპს იუსტიციის სახალხო კომისარიატი პირველ ხანებში მხოლოდ სახალხო მსაჯულთა ინტიტუტით ატარებდა ცხოვრებაში, თუმცა მსაჯულთა რიცხვში ხშირად ნახავდით ისეთ ელემენტებს, რომლებსაც თავის სოციალური მდგომარეობით არავითარი კავშირი არ ქონდათ მშრომელ მასასთან. ამის გამო სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილებები ხშირად არ შეეფერებოდა პროლეტარულ მართლმსაჯულებას, რაც სრულიად სამართლიან საყვედურს იწვევდა მუშების და პროფორგანიზაციების მხრით, რომლებიც სახალხო სასამართლოების წინააღმდეგ ილაშქრებდენ.

1921-1922 წწ. განმავლობაში, სისხლის სამართლის საქმეები ქალაქში უფრო ქონებრივი ხასიათისა იყო; მაგ. ხშირი იყო შემთხვევები ქურდობისა, თაღლითობისა და სხვ. მაზრებში კი ბოროტმოქმედებები უფრო სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. სამოქალაქო საქმეები წარმოშობილი იყო უფრო საბინაო ნიადაგზე. სისხლის სამართლის საქმეები უმთავრესათ ექვემდებარებოდა რევოლუციონურ ტრიბუნალს. დავას მიწით სარგებლობის ნიადაგზე არჩევდა სამიწადმოქმედო კომისია. რაც შეეხება დავას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუშათა და დამქირავებელთა შორის, - ეს შედიოდა შრომის სახკომისარიატთან არსებულ საკონფლიქტო-საკონტროლო კომისიის კომპეტენციაში.

სახალხო სასამართლოს შემდეგ უმთავრეს ამოცანად მიჩნეული იყო საკასაციო ინსტანციის დაარსება. თუმცაღა სახ. სას. დებულებით გათვალისწინებული იყო ასეთი ინსტანციის დაარსება, მაგრამ დებულების ეს ნაწილი სხვა და სხვა მიზეზების გამო ცხოვრებაში არ ტარდებოდა, რის გამო საკასაციო საჩივრები სახალხო მოსამართლეების განჩინებეზე თვეობით განუხილავი რჩებოდა და თავს იყრიდა იუსტკომისარიატში. 1921 წ. ბოლოს საკასაციო საჩივრების რიცხვი (განუხილავი) უდრიდა 2000.

საკასაციო ინსტანციის უქონლობით აიხსნებოდა ის მოვლენაც, რომ განუხილავი რჩებოდა აღძრული ამა თუ იმ მხარის მიერ კერძო საჩივარი სახ. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, როცა საქმის ვითა-

რება არ ითმენდა გადადებას, მაგ. სარჩელის უზრუნველყოფა, განჩინების წინასწარ სისრულეში მოყვანის საკითხი, წინასწარ აღკვეთის ზომის მიღება და სხვა.

ზემო აღნიშნულ ნაკლს, საკასაციო ინსტანციის უქონლობას, რა თქმა უნდა, შედეგათ მოყვა დაინტერესებულ მშრომელთა მასის ინტერესების შელახვა.

რომ ცოტათი მაინც შემსუბუქებულიყო ასეთი ნაკლის შედეგები, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქნა სპეციალური კომისია კერძო საჩივრების განსახილველად. ამავე კომისიაში ირჩეოდა სხვა და სხვა საკითხები, რომლებიც გადადებას არ ითმენდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დიდი ნაკლის შემსუბუქება როგორიცაა საკასაციო ინსტანციის უქონლობა, - სპეციალურმა კომისიამ ვერ შესძლო. სასამართლოების ასეთი არანორმალური კონსტრუქცია მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეების სამართლიან საყვედურს იწვევდა. 1923 წლის დასაწყისში დაარსებულ იქნა საკასაციო ინსტანცია სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სახით.

ამ ფრიად საპატიო მიზეზის გამო სასამართლოს ორგანოების მუშაობას უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებით 1921 და 1922 წლების განმავლობაში, როცა საქმეები ირჩეოდა მექანიკურად. პროლეტარულ სასამართლოს აპარატის დეზოტგანიზაციას, მის ასეთ მოუწყობლობას კიდევ ზედ დაემატა პირადი შემადგენლობის უვარგისობა, ვინაიდან იმ ხანებში სასამართლოების სათავეში იდგნენ ძველი იურისტ-ჩინოვნიკები, რომლებიც მსახურობდენ ნიკოლოზ-მენშევიკების დროს.

ზემოთ მოყვანილ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ აჭარისტანის გასაბჭოების დღიდან – 1921 და 1922 წლების განმავლობაში, იუსტიციის სახალხო კომისარიატს ძლიერ პირობებში უხდებოდა მუშაობა იმ ობიექტური პირობის მიხედვით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ხანებში (შიმშილობა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები). ამ მძიმე ხანში საბჭოთა ხელისუფლება უმთავრეს ყურადღებას აქცევდა სტიქიურ უბედურებებს, საგარეო და შინაურ მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, ამიტომ სამოსამართლო საქმეს ჯეროვანი ყურადღება ვერ მიექცეოდა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ხელისუფლების წინაშე წამოიჭრა პროლეტარიატის უფლებრივი ორგანოს-სასამართლოების განმტკიცების საჭიროება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რევოლუციის დროს შექმნილ საგანგებო ორგანოების მათით შეცვლა.

შემდეგი მუშაობის უმთავრეს ღერძათ აღიარებულ იქნა არსებულ დეფექტების აღმოფხვრა და ახალი სასამართლოს დაახლოება მშრომელ მასასთან; აქედან სასამართლოების გაწმენდა იმ საქმეებისაგან, რომლებმაც თავი მოიყარა ორი წლის განმავლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაზრები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ ადგილობრივ სასამართლოების უქონლობით. გლეხები იძულე-

ბულნი იყვნენ საჭიროებისას თავი მიენებებინათ თავიანთ სამუშაოებისათვის და კვირაობით და თვეობით ევლოთ ქალაქში 80-90 ვერსტის მანძილზე სამოსამართლო დაწესებულებებში. აქ კი ხშირად სხვა და სხვა მიზეზების გამო, საქმეების განხილვა გადაიდებოდა ხოლმე და ამ რიგად სრულიად უშედეგოთ ბრუნდებოდენ ისევ სოფლებში.

ამიტომ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მოაწყო სახალხო სასამართლოები და საგამომძიებლო ორგანოები ქედაში და ხულოში, რითაც მშრომელთა საშუალება მიეცათ ადგილობრივ ესარგებლათ მუშურ-გლეხური სასამართლოთი. ასეთ განცხადებას განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა გლეხობა. ამის შემდეგ სინამდვილე გვიკარნახებდა გაწმენდილიყო ქალაქ ბათომში არსებული სასამართლოები ისეთ ელემენტებისაგან, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა პროლეტარულ მართლმსაჯულებას და მათ მაგიერ მუშური ელემენტები შეეყვანა შიგ. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა განსაკუთრებით პირველ ხანებში ძალიან ძნელი შეიქნა, ვინაიდგან ადგილობრივ დაწესებულებეში ნაკლებად მოიპოვებოდა მომზადებული კომუნისტები. მიუხედავად ამისა, იუსტკომმა ჩაატარა ნაწილობრივი პერსონალურიცვლილებანი, რის შემდეგ სასამართლოების შემადგენლობა ასეთი იყო:

№	დასახელება	საერთო რიცხვი	მუშა	ინტელიგენტი	პარტიული	უპარტიო
1.	ოლქის სასამართლო	9	7	2	4	5
2.	სახალხო მოსამართლე	9	9	–	5	4
3.	სახალხო გამომძიებელი	9	7	2	4	5

როგორც ზევით იყო მოხსენებული, საკასაციო ინსტანციის უქონლობა თითქმის ორი წლის განმავლობაში, ძალიან აფერხებდა სასამართლოების ნორმალურ მუშაობას. 1923 წლის მარტში შემოღებულ იქნა საკასაციო ინსტანცია სახალხო სასამართლოს საბჭოს სახით, რომელიც დაუყონებლივ შეუდგა 1921 წლიდან დარჩენილ კასაციური საჩივრების განხილვას. ამ ხნიდან დაწყებული 1922 და 1923 წლების განმავლობაში სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ განხილულ იქნა:

სამოქალაქო საქმეები – 274
სისხლის სამართლის – 34

საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა ამ ხნის განმავლობაში:

სამოქალქო საქმეები – 211

სისხლის სამართლის საქმეები – 27

დატოვებულ იქან უშედეგოთ:

სამოქალაქო საქმეები – 63

სისხლის სამართლის – 4

პირველ ხანებში პროკურატურის ინსტიტუტის შემოღებამდე, პროლეტარული მართლ-მსაჯულების მოწყობას და მისი შესაფერ დონეზე დაყენებას ხელს უშლიდა სასამართლოების საქმეებში სხვა ორგანოების ჩარევა. მაგ. ერთი და იგივე საქმე ირჩეოდა ორ სხვა და სხვა დაწესებულებეში, ათავსებდენ გამსახლებაში ამა თუ იმ მოქალაქეს ბრალდების წაუყენებლად და სხვა.

სახელმწიფო პროკურატურის მიღებისთანავე 1923 წლის აპრილის თვიდან დაწესებულ იქნა პროკურატურა, რომელიც სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობას უწევდა ყველა ორგანიზაციებს: სამეურნეო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს და კერძო პირებს.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასა და ჩვენი რესპუბლიკის პირობებში (საზღვრის სიახლოვე მრავალი სამეურნეო დაწესებულებები და სავაჭრო პირები) პროკურატურას დიდი მნიშვნელობა ქონდა.

ახლად შემოღებულმა პროკურატურამ 1923 წ. განმავლობაში სავსებით ვერ შესძლო ამ ინტიტუტის პრესტიჟის განმტკიცება და ფართო მასის პოპულიარობის მოპოვება, რადგან მის შემადგენლობაში არ მოიპოვებოდა გამოცდილ მომუშავე ამხანაგების კადრი.

ამის და მიხედვით პროკურატურა პიველ ხანებში მხოლოდ კონტროლს უწევდა კველვა-ძიების მომქმედ ორგანოებს და საგამომძიებლო აპარატის მუშაობას თვალყურს ადევნებდა.

დაწყებული 1921 წლიდან ვიდრე 1924 წლამდე საბჭოთა ორგანოების მიერ გამოცემულ იქნა მრავალი საკანონმდებლო აქტები დეკრეტების და დადგენილებების სახით, რამაც კანონების გაშუქების და მათი მშრომელთა მასის ინტერესებთან შეფარდების აუცილებლობა გამოიწვია. საჭირო შეიქნა ისეთი აპარატი, რომელიც უფასო მხარდაჭერას გაუწევდა ამ მხრივ ფართო მასას და გააცნობდა მას საბჭოთა კანონმდებლობის საერთო პრინციპს. ამ მიზნით იუსტიციის სახალხო კომისარიატმა დაარსა დამცველთა კოლეგია, რომლის მიზანი იყო იურიდიული უფასო დახმარების აღმოჩენა მშრომელთათვის. მაგრამ, სამწუხაროდ ამ ხნის განმავლობაში (1921-1923წწ), სხვა და სხვა მიზეზების გამო მისი მოღვაწეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ.

აჭარისტანის მოსახლეობა, დაშორებული კულტურულ ცენტრს, საუკუნეების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საშარიათო კანონებით. ვინაიდან ისეთ დიდი ფაქტორს, როგორიცაა ზნე-ჩვეულება, ტრადიცია და სხვა აუცილებლად ანგარიში უნდა გაწეოდა, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1923 წელში მოაწყო საშარიათო სასამართლოები, რომლებიც მოქმედებდენ სათანადო დებულებით. საშარიათო სასამართლოს კომპეტენციას მიაკუთვნა ადგილობრივ მნიშ-

ვნელობის საკითხები: ქორწინების და განქორწინების, მემკვიდრეობისა და სხვათა შესახებ.

ასეთი ხასიათის საქმეები 1921-1923წწ. განმავლობაში გარჩეულ იქნა საშარიათო სასამართლოების მიერ 166. ამათში განქორწინების – 22, ქორწინების – 42, მემკვიდრეობის – 77 და მეურნეობის – 19.

შექმნილ იქნა აგრეთვე საკასაციო ინსტანცია საშარიათო სასამართლოების საქმეებისათვის – მთავარი საშარიათო სასამართლოს სახით.

აღნიშნულ დროის განმავლობაში საკასაციო ინსტანციის მიერ გარჩეულ იყო 22 საქმე, მათ რიცხვში დამტკიცებულ იქნა – 15 და დარღვეულ იქნა – 7.

1921-1923წწ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობა იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ამ ხანებში მოხდა სასამართლოს დაწესებულებების სრული რეორგანიზაცია და მასთან შემოღებულ იქნა სასამართლოს წყობილების ახალი დებულება. ამ უკანასკნელის შემოღებამდე კი არსებობდა ორმაგი სისტემა სასამართლოების ორგანოებში, რომლებსაც სრულიად არავითარი კავშირი არ ქონდა ერთი მეორესთან: ეს იყო, ერთის მიმართ – ტრიბუნალის სისტემა, რომელიც აგებულია საგანგებო ცენტრალურ პრინციპზე და მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლათ ადგილობრივ ორგანოებთან და რომელშიდაც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს სახალხო მსაჯულები, მეორე მხრით კი არსებობდა სახალხო სასამართლო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სახალხო მსაჯულები. სასამართლოს წყობილების ახალი დებულების მიღების შემდეგ კი, ასეთი სისტემა ორგანოების მოქმედებაში მოისპო. ახალი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ახალ სასამართლოს დებულებას მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს კლასიური სახე უფრო გაღრმავდა, რაც ნათლად გამოიხატა სასამართლო წყობილების ძირითად დებულების I-ლ მუხლში და აგრეთვე იმ მუხლებში, რომლებითაც გათვალისწინებულია სახალხო მსაჯულების მოწვევის წესი.

ამ რიგათ, სამი წლის მუშაობის შედეგად მოყვა როგორც თვით სასამართლოს ორგანოების, აგრეთვე პროკურატურის და დამცველთა კოლეგიის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა და გამაგრება და სასამართლოს აპარატის ნორმალური სტურქტურის შექმნა.

1924 წელი კი იწყება ამ დარგში მუშაობის დამთავრებით. შემდეგი ახალი ამოცანები, რომელიც წამოიჭრა საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე შეეხებოდა იდეურ ხელმძღვანელობის გაძლიერებას და სასამართლოებისათვის ავტორიტეტის მოპოვებას.

დაწესებულების მუშაობა და მისი გაჯანსაღება-გაძლიერება დამოკიდებულია თანამშრომლებზე და მათ მომზადებაზე. მთავარ საკითხად როდესაც აღიარებულია მომავალი მუშაობის გაჯანსაღება-გაძლიერება და ჩვენი სასამართლოების ავტორიტეტის მოპოვება, პირველი მიზანი იყო ძველი სასამართლოს მოხელეების მუშურ-გლე-

ხურ ელემენტებით შეცვლა და მათ შორის სპეციალურ ცოდნის განვითარება.

ძველი სპეცჩინოვნიკის მოსამართლეების შეცვლამ ახალი მუშურ-გლეხურ ელემენტებით, რომელთაც არავითარი პრაქტიკა არ ქონდათ ამ დარგში, იუსტსახკომისარიატის წინაშე წამოაყენა ახალი დახელოვნებული მუშაკთა კადრის შექმნის საკითხი. ამ მიზნით დაარსებული იყო იურიდიული კურსები, სადაც როგორც თვით სასამართლოში მომუშავენი, აგრეთვე პარტიალ და პროფესიონალურ უჯრედებიდან გამოყოფილი ამხანაგებიო ეცნობოდენ საბჭოთა უფლებრივ და მართლმსაჯულების ძირითად დებულებებს. არსებულ დეკრეტთა, განკარგულებათა და სავალდებულო დადგენილებათა გასაცნობათ სახალხო მოსამართლეებს, გამომძიებლებს და პროკურატურაში მომუშავეთ ეგზავნებოდათ რეგულიარულათ ყოველდღიური ოფიციალური გაზეთები.

კურსები ოთხთვიური იყო და შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაბიჯმა შესაფერისი ნაყოფი მოიტანა ჩვენი აპარატის და მუშაობის გაჯანსაღებაში.

განზრახულია კიდევ გაიხსნას ასეთივე კურსები, სადაც შესაფერის მომზადებას მიიღებენ აგრეთვე მაზრებში მომუშავე ამხანაგები (მოსამართლენი, გამომძიებელნი).

სასამართლოში მომუშავეთა შორის სპეციალურ ცოდნის განვითარების საკითხთან ძლიერ დაკავშირებულია სახალხო მსაჯულთა საბჭოთა უფლებრივ საკითხებთან გაცნობის საკითხი.

სახალხო მსაჯულები სახალხო მოსამართლეების უახლეს და თანაშემწეთ არიან მართლმსაჯულების საქმის წარმოებაში, რომელნიც როგორც მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი უფრო მჭიდროთ არიან დაკავშირებული უკანასკნელთა ინტერესებთან და უფრო მაგრად დაიცავენ მათ ინტერესებს ამრიგად მათ შემადგენლობას და გაცნობას საბჭოთა უფლებრივ საკითხებთან დიდი მნიშვნელობა აქვს მუშურ და გლეხურ მართლმსაჯულების საქმის გაჯანსაღებაში.

გადასინჯულ იქნა მთელი რიგი სიები წარმოდგენილი კავშირების მიერ, გამორიცხულ იქნა მრავალი პორები, რომელიც არ ეკუთვნიან თავის სოციალურ მდგომარეობით მშრომელთა რიგებს და მსაჯულთა შორის მოწყობილ იქნა რამოდენიმე ლექციები უფლებრივ საკითხებზე.

შემდეგ მთავარი საკითხი იყო უფასო იურიდიული საქმის მოგვარება და პოპულარიზაცია საბჭოთა უფლებრივი საკითხებისა მშრომელთა მასაში.

გაგება და შეგნება ხალხის მიერ საბჭოთა უფლებრივი-კანონმდებლობრივი იდეიისა და მისი დანიშნულებისა აღნიშნულ ამოცანის მთავარი მიზანია.

ამ მხრივ მოწყობილ იქნა უსასყიდლოთ იურიდიული დახმარების ბიუროები ქალაქის შემდეგ ადგილებში: 1) იუსტსახკომისარიატში; 2) უზენაეს სასამართლოში, 3) აჭარელ გლეხის სახლთან.

უფასო იურიდიული დახმარება გამოიხატება რჩევა-დარიგების მიცემაში, სხვადასხვა ხასიათის თხოვნის წერაში და უფასოდ საქმეების დაცვაში.

მათი მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

ა) კოლეგიის წევრთა ბიუროში მიეცათ დახმარება 268.

ბ) სასამართლოში უფასო დაცვათა რაოდენობა:

1)უზენაეს სასამართლოში-1, 2) ოლქის სასამართლოში-121, 3) შრომის სასამართლოში-3, 4) ჭოროხის სასამართლოში-6, 5) 1-ლ უბნის სასამართლოში-6, 6) მე-2 უბნის სახ. სასამართლოში-2, 7) სამხედრო ტრიბუნალში-16, 8) ქობულეთის საოლქო სასამართლოს სესიაში-25, 9) ხულოს და ქედის ოლქის სასამართლოს სესიაში-19, სულ-199.

ამ დარგში მუშაობის გაძლიერება და საჭირო დონეზე დაყენება დაკავშირებულიადამცველთა კოლეგიის შემადგენლობის გაწმენდასთან.

ამ დარგში განზრახვა არის უფრო ფართე მასშტაბით იწარმოოს მუშაობა, რომ არც ერთი გლეხი და მუშა არ დარჩეს დახმარების გარეშე. განსაკუთრებით უფლებრივ საკითხებზე კამპანიის ჩატარებით, როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ამ რიგათ უფრო მტკიცე ნიადაგი ჩაეყრება უფლებრივი საკითხების გაშუქებას მშრომელთა ფართო მასაში.

სასამართლოების მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენების საქმეში განსაკუთრებული ადგილი აქვს საგამომძიებლო ნაწილს.

ეს ორი ორგანო მჭიდროდ არის ერთი მეორესთან დაკავშირებული. განსაკუთრებული ყურადღება მიეცა საგამომძიებლო დარგში ძველი შემადგენლობის გადასინჯვას და გამოძიების ორ თვეში დამთავრებას.

ძველი ჩინოვნიკი გამომძიებლები, რომლებიც წლობით აჩერებდენ საქმეებს და ხშირათ ბოროტმოქმედებასაც ჩადიოდენ, მოხსნილ იქნან თანამდებობიდან და მათ ადგილას დაინიშნენპარტიული ამხანაგები, რომლებიც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ.

1924 წლის განმავლობაში ოლქის სასამართლოს უფროსის, ქ. ბათომის უბნის და მაზრების სახალხო გამომძიებლის საქმეების მსვლელობა ასეთი იყო:

№	ROMELI GAMOMZIEBELI	WARMOEBASHI IMYOFEBODA	DAMTAVRDA AM RICXV.	DARCENILI SAQMEEBIS RAO-BA
1.	უფროსი გამომძიებლის	230	163	67
2.	1 და 2 უბ. გამომძიებლის	280	235	45
3.	ჭოროხის მაზრის გამომძიებლ.	106	88	18
4.	ქობულეთის	43	31	12
5.	ქედის . . .	–	–	–
6.	ხულოს	45	28	17
	სულ	704	545	159

მათ შორის ერთ თვემდე იმყოფებოდა წარმოებაში – 304
ორ თვემდე – 188
სამ თვემდე – 212

საქმეების შინაარსი:
1) სახელმწიფოებრივი დანაშაული – 47
2) თანამდებობითი – 93
3) სამეურნეო დარგის – 16
4) ჯანმრთელობის და პიროვნების წინააღმდეგ – 123
5) ქონებრივი დანაშაული – 104

შემდეგი მორიგი ამოცანა: პროკურატურის მუშაობის გაძლიერება, სათანდო ავტორიტეტის მოპოვება, როგორც კანონიერების მოდარაჯესი.

უკანასკნელ ხანებში საპროკურორო მუშაობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო განსაკუთრებულ საგამომძიებლო ორგანოების ზედამხედველობის გაძლიერებაში. მხოლოდ ამ მუშაობის მეორე და უმთავრესი ნაწილი – ზედამხედველობა მომკვლევ ორგანოებზე და საერთო კანონიერებისადმი ვერ არ საჭირო დონეზე დაყენებული სხვა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

მუშაობის პირველ ნაწილს აწარმოებს განსაკუთრებით უზენაეს სასამართლოს პროკურატურა, რომლის მიერ ქალაქ ბათომის 1 და მე-2 საგამომძიებლო სასამართლო და სამილიციო უბნები გაყოფილია ცალკე – პირველ და მეორე საპროკურორო უბნებათ, რომელთაც განაგებენ პროკურატურის თანაშემწეები.

უბნების პროკურატურის მუშაობა გამოიხატება:

უბნების დათვალიერებაში, საქმეების მსვლელობის მიცემაში და მოსპობაში, სასამართლოების განმწესრიგებელ სხდომებზე მონაწილეობის მიღებაში.

პროკურატურის მუშაობის მეორე ნაწილს, კანონიერების საერთო ზედახედველობას, აწარმოებს იუსტსახკომისარიატთან არსებული საპროკურორო განყოფილება.

პროკურატურის საერთო ზედამხედველობა ამ ხნის განმავლობაში გამოიხატება: ზედამხედველობით წესით საქმეების გამოთხოვნაში და გადათვალიერებაში, კერძო პირების საჩივრების განხილვაში და ტუსაღთა განცხადებების საჭირო მსვლელობის მიცემაში.

შემოსულია 1 იანვრიდან 1 ოქტომ-ბრამდე საჩივრები ზედამხედვე-ლობის წესით	საჩივრები ზედამხედვე-ლობის წესით			საჩივარი მილიციაზე, თანამდებო-ბის პირებზე და სხვა			
					მსვლელობა		
	რამდე-ნი საჩივა-რი შემოვი-და	გაიგ-ზა-ვნა პრო-ტეს-ტით	დარჩა უშე-დეგ-ოთ	სულ შე-მო-ვიდა	გაიგზავნა პროკ.მსვლ. მისაცემათ	წინა-დადე-ბა მიეცა მილ-იც-და კომ-მე-ურნ.	დარჩა უშე-დეგ-ოთ
238	98	19	79	139	104	5	30

გაზეთში გამოქვეყნ. მუშკორთა ცნობების შესახებ		ტუსაღების განცხადებები			
გადაეგ-გა-მომ. კვლევა-ძი-ების საწარმო-ებლად	მოისპო	სულ შემოსუ-ლი	განთავი-სუფლდა განცხადე-ბების მიხედვით სამეულის მიერ	სასჯელი შეუმცირ-და და ნა-ხევრად სამეულის მიერ	დატოვებულ იქნა უშედე-გოთ
65	2	179	72	4	103

სხვა და სხვა დაწესებულებების			დადგენილებათა პროექტები		
განათ-ლების კომისა-რიატი	კომმეურნე-ობა	უზენაეს სასა-მართლ.	უზენაეს სას-ამართ.პროკ.	შინსახ-კომი	სულ
18	38	26	4	4	90

მორიგი საკითხი იყო ასევე მაზრებში საოლქო სასამართლოს სესიების მოწყობა, როგორც ძირითად ისე საკასაციო საქმეების ადგილობრივ გასარჩევათ. მაზრის სასამართლოების დადგენილებების და განჩინებების გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ საოლქო სასამართლოში, რომელიც იმყოფებოდა ქალაქ ბათ მში, რაც იწვევდა უხერხულობას ფუხარა ხალხისათვის მხარეების და მოწმეების ქა-

ლაქში გამოწვევით. უკანასკნელ ხანებში ხსენებულ საქმეების გარჩევა ხდებოდა მაზრებში, რა მიზნითაც სასამართლოს შემადგენლობა მიემგზავრებოდა ადგილობრივ. 1924 წლის განმავლობაში სასამართლოს სესიები დაგზავნილ იქნა მაზრებში 6-ჯერ.

1924 წლის განმავლობაში შრომის და საოლქო სასამართლოების მიერ მოწყობილი იყო სამაგალითო პროცესები იმ საქმეების გამო, რომელთაც ქონდა მასისთვის მნიშვნელობა, მაგალითად: ქალების მოტაცება, ბოროტმოქმედებები სისხლის აღების ნიადაგზე და სხვა. ამ პროცესებს ქონდა მშრომელ მასისთვის დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა, როგორც ცხოვრების უარყოფითი მოვლენების გამომჟღავნებას, საბჭოთა კანონმდებლობის ხალხზე გაცნობას. რომ ასეთ პროცესებს მშრომელი მასების სათანდო ყურადღება მიეპყრო, საქმეები ირჩეოდა განსაკუთრებით ქალაქის იმ ადგილებში, რომელშიაც მოსახლეობის უმრავლეს ნაწილს შეადგენენ მუშები-მუშათა კლუბებში.

ამ წელში შერულებულ იქნა შემდეგი მორიგი სამუშაო" შემუშავებული იყო ახალი დებულება სასამართლოს წყობილების შესახებ აჭარისტანში და მოხდა სასამართლოების რეორგანიზაცია ამ დებულების საფუძველზე; თანახმად წინად არსებულ სასამართლოს წყობილების დებულებისა. სასამართლოების სისტემა აჭარისტანში იყო ისეთივე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში; იმ მიცრე ტერიტორიის მიხედვით, რომელიც უჭირავს აჭარისტანის რესპუბლიკას, ამგვარი სტრუქტურა სასამართლოებისა იყო ფრიად რთული და ამასთანავე მისი შენახვა იწვევდა დიდ ხარჯებს; ამისათვის, რომ სასამართლოს სისტემაში ყოფილიყო შეტანილი მეტი სიმარტივე საჭირო შეიქნა საოლქო სასამართლოს გაუქმება და მისი ფუნქციების უზენას სასამართლოზე გადაცემა. დიდი საქმეები, რომელნიც არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოებს, ირჩევა უზენაეს სასამართლოს სამოსამართლო კოლეგიებში, შრომისა და უზენაეს სასამართლოში, არის უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგია.

შემუშავებულ იქნა დებულება სახალხო ნოტარიატის შესახებ, რომელიც უკვე დამტკიცებულია და რომლის საფუძველზე უკვე მოხდა ნოტარიატის რეორგანიზაცია. ამ დებულების შემოღებამდე ნოტარიულ ფუნქციებს ასრულებდა 4 სახალხო და ერთი უფროსი ნოტარიუსი.

ნოტარიუსის კანტორები წარმოადგენდენ ნახევრათ სახელმწიფო და ნახევრათ სავაჭრო დაწესებულებას. თანახმად ახალი დებულებისა ნოტარიატი გასახელმწიფოებულია და მათI მოქმედება განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით. ამ ჟამად ქ. ბათომში მოქმედობს ორი სახელმწიფო ნოტარიული კანტორები და მათ მეთვალყურეობას უწევს სასამართლოსთან არსებული სანოტარო განყოფილება.

სახალხო სასამართლოები და სახალხო გამომძიებლები, რომლებიც მოქმედებენ აჭარისტანში განაწილებული არიან შემდეგდნაი-

რად: სულ 7 სახალხო სასამართლოებია – 1) შრომის სასამართლო, 2) ბათომის 1-ლი უბნის სახ. სასამართლო, 3) ქ. ბათომის მე-2 უბნის სახ. სასამართლო, 4) ჭოროხის მაზრის სასამართლო, 5) ქობულეთის მაზრის სახალხო სასამართლო, 6) ქედის მაზრის სახალხო სასამართლო და 7) ხულოს მაზრის სახალხო სასამართლო.

სახალხო გამომძიებლები – 5: 1) ქ. ბათ მის 1-ლი უბ. სახ. გამომძიებელი, 2) მე-2 უბნის სახ. გამომძიებელი, 3) ჭოროხის მაზრის სახ. გამომძიებელი, 4) ქობულეთის მაზრის სახ. გამომძიებელი და 5) ქედის მაზრის სახ. გამომძიებელი.

2. ა) 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 1924 წ. გაცემულია ცირკულიარები და ინსტრუქციები, პროცესუალურ ხასიათის, სასამართლოს საქმის წარმოებების და კანცელარიის და ანგარიშების მუშაობის საკითხებზე 47.

ბ) 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე 1924 წ. მოხდენილია რევიზია: ა) ქობულეთის სახალხო სასამართლოსი 1-ჯერ, ბ) ხულოს სახალხო სასამართლოსი 2-ჯერ, გ) ქედის სახალხო სასამართლოსი 2-ჯერ, დ) 1 უბნის სახალხო სასამართლოსი 2-ჯერ, ე) მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსი 2-ჯერ. სულ მოხდენილია 9 რევიზია.

3. ა) 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ა/წ. სასამართლოს აღმასრულებლები იყვნენ ოთხი; ორი იმყოფებოდა უზენაეს სასამართლოსთან (20 აგვისტოდან ა/წ. ისინი იმყოფებოდენ ოლქის სასამართლოსთან); ერთი 1-ლ უბ. სასამართლოსთან, ერთიც მე-2 უბნის სასამართლოსთან; ყველა ოთხივე სასამართლოს აღმასრულებლები იმყოფებიან ქ. ბათომში; ისინი მოქმედებენ თანახმად სამ. პრ. კოდ.

ბ) 1924 წლის განმავლობაში ყველა სასამართლოს აღმასრულებლებს წარმოებაში ქონდათ – 518 საქმე, წარმოებით დამთავრდა – 329 საქმე, 1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი – 189 საქმე.

გ) 1924 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე აღმასრულებელი მოქმედებისათვის სულ შემოვიდა 565 მან. 44 კაპ. რომელთაგან: ხაზინის სასარგებლოდ 215 მან. 41 კაპ. და სასამართლოს აღმასრულებლების სასარგებლოთ 350 მან. 3 კაპ. 1924 წელში იანვრიდან 31 მაისამდე სასამართლოს აღმასრულებლები აღმასრულებელ მოქმედებისათვის მიღებულ გასამრჯელოს თავიანთ სასარგებლოთ იხმარდენ; ამ ხანად კი მოქმედებს ნიხრი, რომლის ძალით 50% მიდის ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო 50% უშუალოთ თვით სასამართლოს აღმასრულებლის, რომელიც ახდენს მოქმედებას.

4. ა) 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე ა/წ. ბათ მში მოქმედებენ ოთხი სახალხო ნოტარიუსის კანტორები; ოთხივე კანტორიდან ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა:

ა) საღერბო გადასახადი 4048 მანეთი $76^1/_2$ კაპ., ბ) კომუნალური მეურნეობის სასარგებლოთ 2393 მან. 4 კაპ. და ბონებით 9.900 000 000 მან. გ) აღმასკომების სასარგებლოთ 4031 მან. $54^1/_2$ კაპ., დ) წითელი ჯვრის სასარგებლოთ 117 მან. $79^3/_4$ კაპ. და ბონებით 139.767.120 მან. სულ 8.594 მან. $14^3/_4$ კაპ. და ბონებით 10.039.767.120 მან.

1924 წლის განმავლობაში გადასახდელ მოწმობებით, რომლებიც გაცემული იყო მხარეებზე ბათომის უფროსი ნოტარიუსის არქივიდან, შემოვიდა:

ა) სიმტკიცის გადასახადი – 3789 მან. 31 კაპ., ბ) საღერბო გადასახადი – 1210 მან. 3 კაპ. გ) საკანცელარიო გადასახადი – 7 მან. 40 კაპ., დ) წითელი ჯვრის სასარგებლოთ – 86 მან. 92 კაპ. ე) „პოსლედგოლ"-ის სასარგებლოთ – 105 მან. 66 კაპ., სულ-5205 მან. 32 კაპ.

5. საოლქო სასამართლოში 1924 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე საქმეების შემდეგი მოძრაობა იყო:

ძირითადი სისხლის სასამართლოს: 1924 წ.

1 იანვრისთვის რჩებოდა – 24 საქმე;
1 იავრიდან 1 სექტემბრამდე შემოვიდა – 537 საქმე;
1 იავრიდან 1 სექტემბრამდე დამთავრდა – 515 საქმე;
1 სექტემბრისთვის დარჩა დაუმთავრებელი – 46 საქმე.

სისხლის სამართლის კასაციური:

1 იანვრისთვის რჩებოდა - 12 საქმე;
შემოვიდა - 130 საქმე;
დასრულდა – 125 საქმე;
მათგან დამტკიცდა – 61 საქმე;
დარღვეულ იქნა – 65 საქმე;
1 სექტემბრისთვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 16 საქმე;
ზედამხედველობითი წესით გამოთხოვნილ იქნა 8 საქმე.

6. ხასიათი დამთავრებულ ძირითად სისხლის სამართლის საქმეებისა და სოციალ. მდგომარეობა მსჯავრდადებულებისა:

ა) სახელმწიფოებრივი დანაშაული 31, 2) თანამდებობრივი დანაშაული 128, 3) სამეურნეო დარგების დანაშაული 16, 4) ჯანმრთელობის, სიცოცხლის, თავისუფლები და ღირსების წინააღმდეგ დანაშაული 194, 5) ქონებრივი დანაშაული 100, 6) სამხედრო დანაშაული 4, 7) დარღვევა წესებისა ჯანმრთელობის, საზოგადო წესების და საზოგადო უშიშროების 42, სულ 515.

დასრულებულ საქმეებით დასჯილ იქნენ:

1.	მუშა მამაკაცი - 63	დედაკაცი - 1	სულ - 64
2.	გლეხი - 45	დედაკაცი - –	სულ – 45
3.	წითელარმიელი – 1	დედაკაცი - –	სულ – 1
4.	ვაჭარი – 14	დედაკაცი - –	სულ – 14
5.	ინტელიგენტი – 23	დედაკაცი – 4	სულ – 27
6.	დანარჩენი - 2	დედაკაცი - 2	სულ - 4
	სულ: 148	7	155

გ) ვადის მოხდამდის განთავისუფლებულია 10 კაცი.

დ) დახვრეტა გადაწყვეტილი იყო 5 კაცისათვის; 4 გლეხია, 1 მუშა.

7. 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე 1924 წ. ოლქის სასამართლოში შემდეგი საქმის მოძრაობა იყო:

ა) ძირითადი სამოქალაქო:

იანვრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 56
საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა – 148
საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა – 151
1 სექტემბრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 53

ბ)სამოქალაქო კასაციური:

1 იანვრისათვის 1924 წ. რჩებოდა დაუმთავრებელი – 332
საანგარიშო დროში შემოვიდა – 417
დამთავრდა – 690
1 სექტემბრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 512
დარღვეულ იქნა – 178
ზედამხედველობითი წესით გამოთხოვნილ იქნა – 98

გ) დამთავრებული ძირითადი სამოქალაქო საქმეები ხასიათის მიხედვით:

ა) ოჯახურ უფლებებზე – 5, ბ) ქონებაზე უფლების ცნობა და ნახარჯების ანაზღაურება 33, გ) პირობები და ვალდებულებანი – 113.

დ) 1 იანვრიდან 1 სექტემბრისათვის ოლქის სასამართლოში შემოვიდა:

სასამართლოს ბაჟე – 463 მან. 39 კაპ.
საღებრო გადასახადი – 60 მან.
საკანცელარიო ხარჯები – 70 მან. 60 კაპ.
სულ: 593 მან. 99 კაპ.

8. პირველ იანვრიდან 1 სექტემბრამდე 1924 წ. მაზრებში სულ 6 სესია იყო, გარჩეულ იქნა სულ 149 საქმე (121 სამოქალაქო და 28 სისხლის სამართლის).

ა) 2 სესია ქობულეთში; გარჩეულ იქნა სამოქალაქო საკასაციო 70 საქმე, რომელთაგან 7 მიწის შესახებ და 63 ფულებზე;

ბ) 2 სესია ქედაში; გარჩეულ იქნა სამოქალაქო კასაციური 24 საქმე, მათგანი 14 მიწის შესახებ და 10 ფულებზე;

გ) 2 სესია ხულოში; გარჩეულ იქნა სამოქალაქო კასაციური 27 საქმე. რომელთაგან 12 საქმე არის მიწის შესახებ, ხოლო 15 ფულებზე;

სულ იმავე სესიების მიერ განხილულ იქნა სამოქალაქო კასაციური საქმე 121, რომელთაგან 33 მიწის შესახებაა და 88 ფულებზე;

ა) 2 სესია ქობულეთში; გაირჩა 2 კასაციური სისხლის სამართლის საქმე და 11 ძირითადი სისხლის სამართლის; ძირითადი საქმეებიდან იყო მკვლელობის – 4, გაძარცვის – 5, გაუპატიურების – 1 და მითვისების – 1;

ბ) 4 სესია ქედაში და ხულოში; გაირჩა სისხლის სამართლის კასაციური 4 საქმე და სისხლის სამართლის ძირითადი 24; ძირითადი სისხლის სამართლის საქმეებიდან 4 იყო დაჭრა, მკვლელობა 4, გაუპატიურება 4 და მექრთამეობა 1.

სულ გარჩეულია: სისხლის სამართლის კასაციური 6, ძირითადი სისხლის სამართლის 22;

9. საქმის მოძრაობა უზენაეს სასამართლოს კასაციური კოლეგიაში 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 1924წ.

სამოქალაქო საქმეები:

ა) 1 იანვრიდან 1924 წ. რჩებოდა დაუმთავრებელი კასაციის წესით- 1, ზედამხედველობის წესით-36, საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა კასაციის წესით-34, ზედამხედველობის წესით – 133.

საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა კასაციის წესით – 34

საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა ზედამხედველობის წესით – 154

1 სექტემბრისათვის 1924 წ. რჩებოდა დაუმთავრებელი კასაციის წესით – 1

1 სექტემბრისათვის 1924 წ. რჩებოდა დაუმთავრებელი ზედამხედველობის წესით – 15

ბ) ხასიათი დამტავრებული საქმეებისა: 1) ოჯახური უფლებ.4, ბ) განქორწინების – 2, გ) ქონებაზე უფლების ცნობა – 34, დ) ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი – 143, სულ 188.

სისხლის სამართლის:

გ) 1 იანვრისათვის 1924წ. რჩებოდა დაუმთავრებელი კასაციის წესით – 5

1 იანვრისათვის 1924წ. რჩებოდა დაუმთავრებელი ზედამხ. წესით – 6

სულ – 11

საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა კასაციის წესით – 32

საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა ზედამხე. წესით – 22

საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა კასაციის წესით – 37

საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა ზედამხ. წესით – 24

1 სექტემბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი კასაციის წესით – 3
1 სექტემბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი ზედამხ. წესით – 1

დ) ხასიათი დამთავრებული საქმეებისა: 1) სახელმწიფო დანაშ. – 3, ბ) თანამდებობრივი დანაშაული – 9, გ) სამეურნეო დანაშაული – 15, დ) სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ დანაშაული – 26, ე) ქონებრივი დანაშაული – 8, სულ – 61.

ე) საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა სასამართლოს ბაჟები:

საღერბო გადასახადი – 102 მან. 50 კაპ.
საკანცელარიო ბაჟები – 1 მან. 80 კაპ.
სულ: 104 მან. 30 კაპ.

10. საქმის მოძრაობა უზენაეს სასამართლოს კოლეგიაში 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე 1924 წ.

სისხლის სამართლის საქმეები:

საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა – 1
საანგარიშო დროის განმავლობაში დამთავრდა – 1

დამთავრებული საქმის ხასიათი" სახელმწიფო დანაშაული 1, გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდადებული ქალი ინტელექტთაგანია.

11. უზენაეს სასამართლოს კასაციურ კოლეგიის საქმეთა მოძრაობა 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ა/წ.

სისხლის სამართლის საქმეები:

1 სექტემბრისათვის რჩება დაუმთავრებელი კასაციის წესით – 21

1 სექტემბრისათვის რჩება დაუმთავრებელი ზედამხ. წესით – 2

სექტემბრის თვის განმავლობაში შემოვიდა კასაციის წესით – 15

სექტემბრის თვის განმავლობაში შემოვიდა ზედამხ. წესით – 3

სექტემბრის თვის განმავლობაში დამთავრდა კასაციის წესით – 15

სექტემბრის თვის განმავლობაში დამთავრდა ზედამხ. წესით – 2
1 სექტემბრისათვის რჩება დაუმთავრებელი კასაციის წესით – 21
1 სექტემბრისათვის რჩება დაუმთავრებელი ზედამხ. წესით – 3

ხასიათი დამთავრებულ საქმეებისა: 1) სახელმწიფო დანაშ.-6, ბ) თანამდებობრივი დანაშ.-1, გ) მეურნეობის დარგის დანაშ.-1, დ) ქონებრივი დანაშ.-5, ე) დარღვევა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის წესებისა, საზოგადო უშიშროების და წესიერებისა-4, სულ-17.

სამოქალაქო საქმეები:

1 სექტემბრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი კასაციის წესით – 59
1 სექტემბრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი ზედამხე. წესით – 4
სექტემბრის განმავლობაში შემოვიდა კასაციის წესით – 29
სექტემბრის განმავლობაში შემოვიდა ზედამხ. წესით – 7
სექტემბერში დამთავრდა კასაციის წესით – 15
სექტემბერში დამთავრდა ზედამხ. წესით – 4
1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი კასაციის წესით – 73
1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი ზედამხ. წესით – 7

ხასიათი დამთავრებული საქმეებისა: ა) ოჯახურ უფლებაზე-3, ბ) განქორწინებ.-1, გ)ქონებაზე უფლების ცნობა-3, დ) ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი-12, სულ-19.

12. საქმეების მოძრაობა უზენაეს სასამართლოს ნაწილში 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1924 წლისა.

სისხლის სამართლის:

1 სექტემბრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 46
სექტემბრის თვის განმავლობაში შემოვიდა – 46
სექტემბერში დამთავრდა – 66
1 ოქტომბრისათვის დაუმთავრებელი დარჩა – 26

ხასიათი დამთავრებულ საქმეებისა: 1) სახელმწიფო დანაშაული – 6, ბ) თანამდებობრივი დანაშაული-14, გ) მეურნეობის დარგის დანაშაული-4, დ) დანაშაულებანი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და ღირსების წინააღმდეგ-21, ე) ქონებრივი დანაშაული -14, ვ) სახალხო ჯანმრთელობის, საზოგადო უშიშროების და საზოგადო წესიერების წესების დარღვევა-7, სულ-66.

დამთავრებულ საქმეებზე გადაწყვეტილი აქვთ: ა) თავისუფლების აღკვეთა-11, (9 მამაკაცი და 2 დედაკაცი); ბ) პირობითი დასჯა-1 (მამაკაცი); გ) ქონების ჩამორთმევა-3 (მამაკაცი).

მსჯავრდადებულთაგანი:

ა) მუშა – 1 (მამაკაცი), ბ) გლეხი – 5 (4 მამაკაცი და 1 ქალი), გ) ვაჭარი – 3 (მამაკაცები), დ) ინტელლიგენტ. – 7 (6 მამაკაცი და ერთი ქალი), სულ მსჯავრდადებულნი – 15 (2 ქალი და 13 მამაკაცი).

სამოქალაქო საქმეები:

1 სექტემბრისათვის დაუმთავრებელი რჩება – 53
სექტემბრში შემოვიდა – 8
სექტემბერში დამთავრდა – 16
1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი – 45

ხასიათი დამთავრებული საქმეებისა: ა) ქონებაზე უფლების ცნობაზე და ზარალის ანაზღაურებაზე – 1, ბ) ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი – 15, სულ – 16.

საანგარიშო თვის განმავლობაში შემოვიდა სასამართლო კოლეგიაში: სასამართლოს ბაჟები -448 მან. 17 კაპ., საღერბო გადასახადი – 48 მან. საკანცელარიო ბაჟები – 80 კაპ., სულ 496 მან. 97 კაპ.

13. საჩივრებისა და პროტესტების მოძრაობა უზენაეს სასამართლოს ხედამხედველობით წესით სექტემბრის თვის განმავლობაში.

სისხლის სამართლის საქმეებზე:

1 სექტემბრისთვის რჩებოდა – 2
სექტემბერში შემოვიდა – 2
სექტემბერში გაირჩა – 2
1 ოქტომბრისთვის დარჩა გაურჩეველი – 2

სამოქალაქო საქმეებზე:

1 სექტემბრისთვის რჩებოდა – 11
სექტემბერში შემოვიდა – 6
სექტემბერში გაირჩა – 4
1 ოქტომბრისთვის დარჩა გაურჩეველი – 13

საანგარიშო თვის განმავლობაში უზენაეს სასამართლოს საერთო კანცელარიაში შემოვიდა საღერბო გადასახადი – 4 მან.

14. უზენაეს სასამართლოს დისციპლინარულ კოლეგიაში 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე წარმოებაში იმყოფებოდა ორი საქმე.

15. საქმეთა მოძრაობა სახალხო და შრომის სასამართლოებში 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 1924 წ.

სამოქალაქო:

იანვრიდან რჩებოდა დაუმთავრებელი 766. საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა 1807.

ამ დროის განმავლობაში დამთავრდა – 2280

1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი – 393

ხასიათი დამთავრებული საქმეებისა:

ა) ოჯახურ უფლებებზე – 103

ბ) განქორწინებისა – 155

გ) ქონებაზე უფლების ცნობა და ზარალის ანაზღაურება – 501

დ) ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი – 1521

სულ: 2280

საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა:

სასამართლოს ბაჟი 1.482 მან. და ბონებით 12.876.600.000 მან. საღერბო გადასახადი 1292 მან. 14 კაპ. და ბონებით 145.025.000.000 მან. საკანცელარიო ბაჟები 173 მან. 37 კაპ. და ბონებით 8.875.000 მან. ჯარიმა 13 მ. 10 კ., სულ 2.960 მ. 61 კაპ. და ბონებით 157.910.475.000 მან.

16. სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობა სახალხო და შრომის სასამართლოში 1924 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1 ოქტომბრამდე.

1 იანვრისათვის რჩებოდა დაუმთავრებელი – 1017

საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა – 1809

ამავე დროის განმავლობაში დარმთავრდა – 2486

1924წ. 1 ოქტომბრისათვის დარჩა დაუმთავრებელი – 340

ხასიათი დამთავრებული საქმეებისა:

ა) სახელმწიფოებრივი დანაშაულებანი – 107

ბ) თანამდებობრივი დანაშაული – 15

გ) სამეურნეო დანაშაული – 115

დ) დანაშაულებანი: სიცოცხლის, ჯანმრთ., თავისუფლების წინააღმდეგ – 764

ე) ქონებრივი დანაშაული – 1072

ვ) დარღვევა ხალხის ჯანმრთელობის, დაცვის, საზოგადოების, უშიშროების, წესიერების შესახებ – 412

სულ: 2485

დამთავრებულ საქმეებზე სასჯელი გადაეწყვიტათ სულ 542 კაცს (43 ქალი და 499 მამაკაცი), რომელთაგანაც იყვნენ:

1) მუშა 158 (მამაკაცი 137 და დედაკაცი 21)
2) გლეხი 152 (145 მამაკაცი და 7 ქალი)
3) წითელარმიელი 33 (მამაკაცი)
4) ვაჭარი 101 (მამაკაცი)
5) ინტელიგენტი 48 (42 მამაკაცი და 6 ქალი)
6) დანარჩენი 50 (41 მამაკაცი და 9 ქალი).

17. დამცველთა კოლეგიის მოქმედება 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 1924წ.

ა) 1 ოქტომბრისათვის დამცველთა კოლეგიის წევრებად ითვლებიან 20.

ბ) საანგარიშო დროის განმავლობაში ბათომში არსებობდა სამი იურიდიული საკონსულტაციო ბიურო: 1) იუსტიციის სახალხო კომისარიატთან, 2) პროფსაბჭოსთან და 3) აჭარელთა სახლთან.

გ) საანგარიშო დროის განმავლობაში უფასო იურიდიული დახმარება მიიღეს 268 კაცმა.

დ) ამ დროის განმავლობაში უფასო დაცვა მოხდა სულ 199; უზენაეს სასამართლოში – 1, ოლქის სასამართლოში 121, შრომის სასამართლოში 3, ჭოროხის სასამართლოში 30, ქობულეთის სახ. სასამართლოში 25, ქედის და ხულოს სახ. სასამართლოებში 19, აქედან უფასო დაცვა ქ. ბათომზე მოდის 155, ხოლო მაზრებზე-44.

ე) საანგარიშო თვის განმავლობაში დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმში შემოტანილი იყო კერძო პირების მიერ 40 განცხადება, რომელთა განხილვის შემდეგ პრეზიდიუმის მიერ მათ დაენიშნათ უფასო დამცველები.

ვ) საანგარიშო დროის განმავლობაში დამცველთა კოლეგიის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა ლექციების მოწყობაში ფართო მასის საბჭოთა სასამართლოს აპარატთან და მის დანიშნულებისა და მოქმედებასთან გასაცნობათ.

1924წ. მოხდა სასამართლოთა სტრუქტურის შეცვა. 1 სექტემბრიდან გაუქმდა საოლქო სასამართლო და გადაკეთდა უზენაესი სასამართლო, მოქმედებს ორი კოლეგია: კასაციური და სასამართლოსი (ძირითადის).

უზენაეს სასამართლოსთან არსებობს უზენაეს სასამართლოს პროკურატურა, უზენაეს სასამართლოს უფროსი გამომძიებლები და სასამართლოს აღმასრულებლები.

უფროსი ნოტარიუსის ტანამდებობის გაუქმების შემდეგ უზენაეს სასამართლოსთან დაარსდა ნოტარიული განყოფილება.

სამოსამართლო ორგანოებისა და მათ ხელმძღვანელის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის მიმოხილვის დასასრულს უნდა ავღნიშნოთ, რომ მიუხედავათ მძიმე პირობებისა, რო-

მელშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა, შესძლეს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალურ პირობებში ჩვენება. ამჟამად აჭარისტანის მშრომელ მასას გაბედულად შეუძლია გააცხადოს, რომ სასამართლოების ნორმალური მუშაობა და მუშებისა და გლეხების ინტერესების უფლებრივი დაცვა მკვიდრ და სწორ ნიადაგზეა დამყარებული.

ფონდი რ-2; ანაწერი 1;საქმე №1; გვ. 211-218

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში
(ფონდი № 267) დაცული მასალებიდან

(მასალები მოგვაწოდა პროფ. ოთარ გოგოლიშვილმა)

მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საარქივო მასალა ეხება ლ. ასათიანსა და ივ. მესხის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მასალები ამოღებულია ჟურნალ-გაზეთებიდან და შეიცავს, როგორც ლ. ასათიანის წერილებს, ისე ი. მესხის რიგ კორენსპონდენციებს გამოქვეყნებულს გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „კრებულში" სხვადასხვა დროს. ლ. ასათიანი იყო ქუთაისის, ხოლო შემდგომ, 1895 წლიდან 1901 წლამდე ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ცნობილია ისტორიაში, როგორც უნიჭიერესი, მართალი და პატიოსანი საზოგადო მოღვაწე; ქალაქ ბათუმის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის წამომწყები და ორგანიზატორი.

ივანე მესხი არის სერგეი, ეფემია, კოტე და დათიკო მესხების ძმა. ის იყო მწიგნობარი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და მთარგმნელი. 1888 წლიდან მუშაობდა ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის მდივნად. ცხოვრების უმეტესი ნაწილი ივანე მესხმა ბათუმში გაატარა. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში. იგი ავტორია რამდენიმე შრომისა, კორენსპონდენციებისა, სტატიებისა და წერილებისა. როგორც ლ. ასათიანზე, ისე ი. მესხზე საკუთარი ფონდის შექმნა სასურველია და მხარის შესწავლით დაინტერესებულ პირთ სასარგებლო მომსახურებას გაუწევს.

ი. მ.

საქართველო

ქუთაისიდან

("დროების"კორესპონდენცია)

ერთი შესანიშნავი სანახავი ვნახეთ აქაურებმა წუხელ საღამოს (13-ოქტომბერს): ჩრდილოეთისაკენ საღამოს 7 საათზე რაღაც სინათლე გამოჩნდა წითლად თითქოს სადმე ტყეს ცეცხლი ეკიდებაო. რადგან ქარები იყო აქეთ წინა დღეში, იმას დააბრალეს ცეცხლის გაჩენა. მართალი გითხრათ პირველად ვერც მე გავიგე ნამდვილი მიზეზი ამ მოვლენისა სანამ ამ წითლად ნათელში ალაგ-ალაგ თეორ-ყვითლად მნათობი სვეტები არ დავინახე. როგორც შევნიშნე, შვიდი საათიდან ვიდრე ათამდე, სინათლე თანდათან მატულობდა და თან დასავლეთისაკენ გადადიოდა. რამდენსაც ეს სინათლე ადგილის გამოც-

ვლას დააპირებდა, გამოსაცვლელ ადგილზე ჯერ სვეტები გამოჩნდებოდა, მერე კი ერთბაშად გაწითლდებოდა. ეს შესანიშნავი მოვლენა თითქოს შუადამემდე გაგრძელდა. ისეთი დიდი ადგილი ეჭირა იმას და ისე მაღალი მოჩანდა, რომ უეჭველია, თქვენც დაინახავდით. უეჭველია აგრეთვე, რომ ეს მოვლენები იყო ჩრდილოეთის ბრწყინვა: მაგრამ მე მაკვირვებს წითელი ფერი ამ ბრწყინვისა და ამდენ ხანს გაგრძელება.

მე მახსოვს პეტერბურგში, რომ იქაური „ბრწყინვები" თეთრად მოყვითალო ფერის არიან და არც ამდენ ხანს გრძელდებიან ხოლმე. უნდა გაგეგონათ რაებს ლაპარაკობდნენ აქაურები ამ ელექტრიულ მოვლენებზე: მოხუცებულები, რომელთაც თავის დღეში არ უნახავთ აქ ამის მსგავსი რამე, არწმუნებდენ ყოველ კაცს, რომ წარღვნის ნიშანი არისო:, პოლიტიკები (ომიანობამ ბევრში პოლიტიკები გააჩინა ჩვენში) ამტკიცებენ, რომ პარიჟი დაწვეს ნემცებმა და იმისი სხივი ზეცას მოსდებიაო, ზოგის ფანტაზიამ ასე შორს ვერ გასჭრა: ისინი ამბობდენ, ლეჩხუმს მოჰკიდებია ცეცხლიო, ზოგი კი ვინ იცის, რას ამბობდა. დადგა თუ არა აქ ეს თვე, დაიწყო საშინელი ქარები, სამი დღის განმავლობაში დაუწყნარებლად ქროდა აღმოსავლეთის ქარი. ცეცხლი კი, ღვთის მადლით არ გაჩენილა, არც ქალაქში და არც სხვაგან სოფლებში და ტყეებში.როგორც ქარი შეწყდებოდა, წვიმა დაიწყებოდა - ასე იყო 12 ოქტომბრამდე, ახლა კი კარგი ტაროსები დადგა. ხოლერა ჯერაც ვერ მოვიშორეთ ჩვენ სრულიად თავიდან, კვირაში რამდენიმე კაცი ახლაც მიაქვს ხოლმე მსხვერპლათ. ამჟამად სოფ. კახიანურში (ქუთაისზე ათ ვერსზე) დგანან სალდათები ბანაკათ, მგონი რკინიგზის საკეთებლად და, როგორც ამბობენ, მათში ხშირია ხოლერაო: პანტა მსხალის და ზედ წყალს სვამენ თურმე და ამიტომ უფრო ხშირად ხდებიან ავათა.

ი. - ი.

ქუთაისი, 14 ოქტომბერი.
გაზ. „დროება" 1870, 42.
ასლი ს წ ო რ ი ა:

ხონიდგან

(„დროების" კორესპონდენცია)

არც ერთი ოთხი თვე არ იქნება, რაც ერთი ნაწილი ქუთაისის უეზდის მომრიგებელი მოსამართლისა, ე.ი. ერთი თანაშემწე, ერთი კანდიდატი და მასთან ხვედრი კანცელარიის ჩინოვნიკებიც, ს. ხონში, აქაურის და ახლო-მახლო მცხოვრების საქმეების გასამართლებლად. ამ გვარ წყობილებით თვით მოსამართლეებისათვისაც შრომის შემ-

სუბუქება იქნება და მცხოვრებლებისათვისაც. ამ უკანსკნელს იმიტომ ვამბობ, რომ რასაკვირველია უმჯობესია, რაც უფრო ახლო ექნება ხალხს სასამართლო, თორემ დარწმუნებული ვარ, თუ იმერელს საქმე საჩივრათ მოუვარდა, ათას ვერსსაც გაივლის, ოღონდ კი რაიმე გააწყოს. მოგახსენებთ, იმერლები ვართ, კინწლაობა, შური და განხეთქილება ერთმანეთში გვიყვარს. ხონში 3 დღე დავრჩი და ამ სამ დღეში ხშირად ავივლიდი და ჩამოვივლიდი სასამართლოსთან და ყოველთვის ვხედავდი ურიცხვ ხალხს იმის კარებზე: ბევრს ეგების საქმეც ჰქონდა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი ტყვილად მაყურებელი უნდა ყოფილიყო.

„ნიკოლოზა, არ შემოხვალ სახლში," - ეუბნებოდა ერთი იქ მდგომართაგანი მეორეს, „დღეს სა..... ადოკატი, რომ არის, ის ყავს სიმონას მოპირდაპირეთ. იმას თვალებზე ეტყობოდა, მოიგებს საქმეს, მაგრამ მაინც შეყვეს თავი ქუდში. ამ გვარათ და სხვა გავარათაც ატყუებენ ერთი მეორეს, სცვეთენ სასამართლოს კარებს და ხმებიან ფენებზედ - ეხლა საქმის კაცებიც ვნახოთ, რა საჩივრებისთვის მიდიან. თუმც მე არ დავსწრებივარ, მაგრამ ვინც იყო დამსწრე მითხრა, ვითომც ერთს კეთილშობილს ეჩივლოს, რომ ამა და ამ კაცმაო კარგად გაწურთნენ და მომგები მიმინო გამპარაო... კიდევ, ვითომც სტუმრისთვის ეჩივლოს მასპინძელს, რომ ჩემსას შემოვიდაო და საწოლი ქვეშაგები დამიტკეპნაო, ამ ორი მაგალითით მიხვდება მკითხველი, თუ რაგვარი საჩივრებისათვის აკლდებიან უფრო საჭირო საქმეს ზოგიერთები და სტეხენ შურს ერთმანეთში.ერთმა ამ სასამართლოში მოსამსახურე კაცმა მითხრა, რომ ამ ოთხი თვის განმავლობაში ორას ორმოცდა ათი საქმე შემოგვიდაო. ოთხ თვეში ხონში იმდენი მომჩივნები აღმოჩენილან და მთელს იმერეთზე რაღა უნდა ვთქვათ. დაწესთა თუ არა ეს სასამართლო, მაშინვე, როგოც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ავდოკატებმაც ამოყვეს თავი ხონში. ბევრმა იმათგანმა ქუთაისი მიატოვა და აქ ამოვიდა მჭერმეტყველობაში გასავარჯიშებლად. რატომ არ ამოვიდენ. არა აქვთ დაფასება თუ . ....ოღონდ სათვალეები გაიკეთე და სერთუკი ჩაიცვი და მთხოვნელები ფუტკრებივითდაგეხვევიან.

ი.ი.

გაზ.„დროება"1870, 47

„დროება" 105, 1879 წ. 23 მაისი გვ. 2.

პ ა ს უ ხ ი

უფ. ივანე სიმონის ძეს მ ე ს ხ ი ს

მოწყალეო ხელმწიფე

„ დროების” 99 - ში მე წავიკითხე თქვენი ჩემდამი მომართული წერილი. თქვენ მოითხოვთ ჩემგან, რომ მე გავიმართლო თავი იმ ცილის - წამებისაგან, რომელიც გამოუშვა ჩემზე გრაფმა ვიღაცა სამეგრელოს თავადმა მიხეილ (იგივე ტუსიე) ფაღავამ. ძალიან მიკვირს, რომ თქვენ, ჩემის კანდიდატობის თანამგრძნობი იყავით და, ვგონებ, კარგის მხრითაც ვიცნობდით, ამ გვარს მოთხოვნილებით მომმართეთ მე. ნუ თუ ეს ცნობა და თანაგრძნობა ისეთს სუსტს საფუძველზე იყო დამყარებულ, რომა ვიღაც ტუსია ფაღავას წყალობით გავარდნილმა ხმამ ეჭვში შეგიყვანათ და ჩემდამი რწმენა შეგირყიათ. მაგარმ არა, თქვენ მეტყვით: ჩემის წერილისაგან სჩანს, რომ მე მხოლოდ საქმის ახსნა მსურსო, მე სხვა კანდიდატებზედაც გამომიგონია ცუდი ამბები, მაგრამ მე მხოლოდ თქვენზე განაგონის ამბის გამოკლევა მინდაო და მოვითხოვ, რომ ჯერ შეხედვით და მერე სასამართლოს წესით დაამტკიცოთ თქვენი სიმართლე. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ არ იცით, რომ უსაფუძვლო ჭორზედ რა უნდა სთქვას კაცმა, თუ არა მხოლოდ ის, რომ ჭორი, ჭორი არის და სხვა არაფერი. და თუ თქვენ რაიმე გარემოება გსმენიათ, რომელიც ჭორს საფუძვლიანობის სახეს სდებს, გთხოვთ ის გარემოება შემატყობინო, რომ მაზედ ჩემი გასამართლებული პასუხი მომცეთ.

რაიცა შეეხება სასამართლოს წესით ჭორების დარღვევას, ამაზე უნდა მომახსენოთ, რომ ვინც კი რაიმე ანგარიშის გულისათვის ჭორების მოგონებას და და უარს იკადრებს და მოისურვებს, ის საჭიროების დროს მელობასაც მოახერხებს და ბევრს კუდებს იშოვნის მისგან დაყრილის ჭირის დასამტკიცებლად.

დია ბ ა რ ა თ ი

უფ. დავით ნიკოლაძის - ძეს ბ ა ქ რ ა ძ ე ს.

მოწყალეო ხელმწიფეს

სხვა სიბილწეთა შორის, რომლნიც ვითომ სხვადასხვა თანამდებობაზე მოსურნე კანდიდატებთა ამ ბოლონდელს ბანკის საზოგადო კრების დროს, ჩვენდა სამწუხაროთ, შევიტყვეთ, ვითომც - თქვენც თქვენი კანდიდატურის გაყვანისათვის მოგენდომებინოთ მთელი თ.თ. ფაღავების მოსყიდვა და ამ განზრახვით გაგეგზავნოსთ მათთვის უუ. ბ. ს. ბაქრაძისა და თ. დიმ. ერისთავის ხელით, ხუთასი მანეთი, ეს ფული თ.თ. ფაღავებს, საზოგადო მოლაპარაკების შემდეგ, მიეღოსთ, მაგრამ იმ განზრახვით კი არა, რომ თქვენთვისთ თეორი კენჭი მოე-

ცესთ, არამედ იმიტომ, რომ ის ხუთასი მანეთი აქაური „დარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებისათვის" შეეწიროსთ. დღეს გვარწმუნებენ, რომ თ.თ. ფაღავებმა ეს ფული ზემოხსენებულ საზოგადოების კასაში შეიტანეს კიდეცაო.

მე გახლავართ ერთი იმათგანი, რომელნიც, სხვათა შორის თქვენს კანდიდატურასაც თანაუგრძნობდი და ეს გარემოება საზოგადოების ზოგიერთა წევრთა კარგათ იციან, ჩემთვის აუცილებლად საჭიროა ვიცოდე - რამდენაც მართალია ხალხში გავრცელებული ეს ხმა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ დაუყოვნებლივ ჯერ ბეჭდით დაგვიმტკიცოთ თქვენი სიმართლე და შემდეგ ესვე სუდის წესით ეძიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები შესაბამისი სახელი დავარქვა თქვენ მოქმედებას და უარი ყვო თქვენს პატიოსნებაზე.

ივ. მესხი

ქუთაისი . 4 მაისი,
გაზ. „დროება", 1879, 99
ასლი ს წ ო რ ი ა -

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 267,

აღწ. 1, საქმე 104.

მასალები გაზეთ „ფუხარა"-ს
ფურცლებიდან
(მასალები შეკრიბა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის და დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის განყოფლების
მთავარმა სპეციალისტმა ციცი ცინცაძემ)

გ უ რ ი ა
(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

აბრეშუმის საქსოვი არტელი

ოზურგეთის საშინამრეწველო პუნქტთან დაარსდა მეორე აბრეშუმის საქსოვი ქალთა არტელი, რომელიც თავის ამოცანად ისახავს თავის ფართო მომხმარებლის აბრეშუმის ნაწარმოების დამზადებას კოლექტიურ შრომის საფუძველზე.

საშინამრეწველო პუნქტი აწოდებს ფეიქარ ქალებს საქსოვ მასალას, გაუმჯობესებულ სისტემის დაზგებს და მათ მოწყობილობას მინიმალურ ფასებში.

თითო მუშა ქალის თვიური ხელფასი უდრის 25-35 მანეთს. საშინამრეწველო პუნქტის შენობაში მომუშავენი უფასოდ სარგებლობენ დაზგებით და შენობით. ამჟამად პუნქტში მუშაობს 19 დაზგა.

გაზეთი "ფუხარა", 1927 წლის 22 მარტი

შემოქმედის საკრედიტო ამხანაგობა

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავჯდომარის ამხ. არველაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა შემოქმედის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრთა არჩევნები და გასულ საოპერაციო წლის მუშაობაში აღნუსხვა.

გასული წლის ბრუნვა უდრის 276582 მანეთს, წევრთა რიცხვი - 505-ს. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი შესდგება შემდეგი თანხებისაგან: ნასესხები 3500 მან., საკუთარი -2456 მან., საპაიო-4794 მან.,სათადარიგო -550 მან., და სპეციალური -596 მან., შემოსავალი-7164 მან., გასავალი -7311 მან., საოპერაციო წელი დასრულდა 145 მან.დეფიციტით. დეფიციტი გამოიწვია მოუსავლობამ საბაღო კულტურის დარგში, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს შემოქმედის რაიონში.

საპესპექტივო გეგმით გათვალისწინებულია 10. 000 ფ. თხილის, 100. 000 გრადუს არაყის, 3 რონოდას სიმინდის, 1000 ფუთი ფქვილის, 1 რონოდა თივის და სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღის დამზადება.

გამგეობას დაევალა გამოითხოვოს კრედიტი გასაღებისთვის 34600 მან. და მომარაგებისათვის - 6595 მან.

ახალ გამგეობაში აღჩეულ იქნა ორი ახალი წევრი (კომუნისტები) და ერთი ძველი შემადგენლობიდან (უპარტიო)

გ. ძე

გაზეთი "ფუხარა", 1927 წლის 22 მარტი

ქაღალდის ქარხანა საქართველოში
(ტელეგრ. საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თბილისი, 19 იანვარი. მოსკოვიდან ს.მ.უ. საბჭოში მიღებულია ცნობა, რომ უმაღლეს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგებისათვის საჭირო თანხები შეტანილია 5 წლიანი გეგმების საკონტროლო ციფრებში.

თანახმად უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებისა, ქაღალდის ქარხნის აგება დაიწყება 1929-30 წელში. იმიტომ საქ. ს. მ. უ. საბჭოს წინადადება მიეცა, რათა მიიღოს ზომები, რომ ქაღალდის ქარხნის ასაგებად საჭირო ყოველგვარი პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები დამუშავებულ იქნეს წინდაწინვე, რომ ამ გარემოებამ აღარ დააბრკოლოს საადმშენებლო სამუშაოთა დაწყება.

ქაღალდის ქარხანა აგებულ იქნა კომბინატის წესით, ე.ი. ერთ ტერიტორიაზე მოეწყობა ქაღალდის წარმოების სხვა და სხვა საამქროები. ქაღალდის საწარმოო კომბინატის პროექტი დამუშავებულ უნდა იქნეს ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების თანახმად.

მოსკოვიდან მიღებულ იმავე ცნობაში ნათქვამია, რომ ქაღალდის კომბინატის მოსაწყობად საქართველოში გათვალისწინებულია დაიხარჯოს 11.000.000 მან. აქედან წელს გაცემული იქნება 4.500.000 მან., 30-31 წ. 5.700.000 მან., 31-32წ. 800.000 მან.

კომბინატის აგება უნდა დამთავრდეს 1931 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.

ყოველწლიურათ კომბინატმა უნდა დაამზადოს 16.000 ტონა სხვა და სხვა ხარისხის ქაღალდი.

საქ.სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოვო განყოფილებაში ჩვენ თანამშრომელს ქაღალდის კომბინატის შესახებ აცნობოს შემდეგი:

საქართველოს ქაღალდის ქარხნის აგების საკითხი ჩვენ აღვძარით წელიწად ნახევრის წინათ, მაგრამ ქაღალდის ქარხნის აგების საკითხი აღძრული ჰქონდა დანარჩენ რესპუბლიკებსაც, ამიტომ დღემდე ვერ მოგვარდა ეს საკითხი. ქარხანა აგებულ იქნება დასავლეთ საქართველოში, მდ. ენგურის მახლობლათ.

გაზეთი "ფუხარა", 1929 წ. 20 იანვარი

ქალების ზეიმი
(სოფ. სკვანაში, ხულოს მაზრა)

გუშინ ჩვენმა რედაქციამ ხულოდან ამხ. რიზა ხოზრევანიძისაგან მიიღო შემდეგი ტელეფონოგრამა: გუშინ სოფ. სკვანაში (სხალტის თემი) ჭიბონით და სიმღერით გამოცხადდა 42 ქალი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საზეიმო კრებაში. კრებაზე მათ საზეიმოდ მოიხადეს ჩადრი. დასწვეს და განაცხადეს:

დღემდის ჩვენ დამონებული ვიყავით. აჭარელი ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს. საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა აჭარელი მშრომელი ქალი საუკუნოებრივ მონობისაგან, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ძალაშია ქალთა მონობის ნაშთი-ჩადრი, რო-

მელიც სულს გვიხუთავს და არ გვაძლევს საშუალებას მამაკაცებთან ერთად ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

ამიტომ ჩვენ აღფრთოვანებით ვეგებებით საბჭოთა მთავრობის მოწოდებას და მოუწოდებთ ყველა აჭარელ ქალებს აიხადონ ჩადრი და მიიღონ აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში"

18 იანვარს სოფ. ხიხაძირში სიმღერით თავი მოიყარა 140 ქალმა მამაკაცებთან ერთად. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ საზეიმო კრების მონაწილე ქალებმა აიხადეს და გადაყარეს ჩადრი. სამი ჩადრი აქვე კრებაზე საჯაროდ დაწვეს.

ამ სამი დღის განმავლობაში ხულოს მაზრაში ჩადრი აიხადა 300 ქალმა.

დღეს სოფ. კალოთაში მოწვეულია ქალთა საზეიმო კრება, რომელზედაც ქალები აიხდიან ჩადრს.

ხულოს მაზრაღმასკომის თავჯდომარე რ. ხოზრევანიძე

გაზეთი "ფუხარა", 1929 წლის 20 იანვარი

რა სარგებლობას მოუტანს ქიმია ფუხარას

მიწის დამუშავებაზე ჩვენი ფუხარა უამრავ შრომას ხარჯავს. ჩვენ ვართმევთ მიწას ყველაფერს, რასაც კი გვაძლევს ის; სამაგიეროდ კი ის ჩვენგან არაფერს ღებულობს დაკარგული ნოყიერების აღსადგენათ, რასაც შედეგათ მოსდევს ნიადაგის თან და თანობითი გამოფიტვა და მოსავლის რაოდენობის შემცირება. უკანასკნელი მიზეზის გამო კი ფუხარა ვერ ინაზღაურებს მის მიერ დახარჯულ შრომას.

მომავალში ეს კი არ უნდა გაგრძელდეს. სერიოზულათ უნდა მოვიფიქროთ სოფლის მეურნეობაში ქიმიის გამოყენებაზე. დროა უკვე გამოვიყენოთ ქიმიური საშუალებანი მიწის გასანაყოფიერებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად.

შარშან საქართველოს ზოგიერთ სოფლებში გლეხები გაეცნენ ხელოვნურ სასუქებს და მოახდინენ პირველი ცდები, მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მიახწიეს, რადგან არც სასუქის ხმარება იცოდნენ და ხეირიანი რჩევაც ვერ მიიღეს გამოცდილ ხელმძღვანელთა უყოლობის გამო. მაგრამ აქ აღსანიშნავია თვით ის ფაქტი, რომ გლეხი დაინტერესდა მიწის ქიმიური განოყიერებით.

მეორე მხრით, გლეხებს ყავთ უდიდესი მტრები-სოფლის მეურნეობის მავნებლები. ამ დღეებში გაზეთებში იყო ცნობა, რომ ქედის მაზრაში გაჩენილა კალია, ხულოს მაზრაში კი მინდვრის თაგვები. გარდა ამისა ფუხარას უამრავი მტერი ყავს, რომლებიც აფუჭებს და ანადგურებს მათ ნაოფლარს. მაგალითად დავასახელოთ მაგალითისათვის თუნდაც სიმინდის მავნებლები. სიმიდის მავნებლებს იმიტომ ვასახელებ, რომ მას სხვა მცენარეებთან შედარებით თითქმის ყვე-

ლაზე მეტი ყავს. ამავე დროს ჩვენი ფუხარა ხალხის მთავარ საზრდოს თითქმის ყველგან სიმინდი შეადგენს. თესვის დღიდან მას თან სდევს ესა თუ ის მწერი და მოსვენებას არ აძლევს. ზოგი მათგანი დათესილ სიმინდის მარცვალს ნიადაგშივე ანადგურებს, ზოგი ეტანება ნორჩ მცენარეს და მის ფესვებს, ზოგი უკვე დასრულებულ სიმინდის ღეროს, ტაროს და მარცვლებს. მავნებელი მწერები მოტეხილ და შენახულ სიმინდსაც კი ანადგურებენ ხოლმე. სიმინდის მავნებლებიდან ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებულია: მახრა, ბეღლის ცხვირგრძელა ხოჭო, სიმინდის ტილი, სიმინდის პეპელა, სიმინდის ჩრჩილი და სხვა. აი, ამ მავნებელთან ბრძოლა შეიძლება და კიდეც სწარმოებს ქიმიის საშუალებებით. ჩვენი გლეხობა კი ამ მავნებლებს პირველყოფილი საშუალებით ებრძვის, რითაც ის მიზანს ვერ აღწევს.

"ავიოქიმიას" თავის ძირითად ამოცანასთან ერთად (ავიაციი-სა და ქიმიურ მრეწველობის განვითარება) არ შეუძლია გვერდი აუაროს ჩვენ ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობას, ჩამორჩენილს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა გლეხობამ როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, არ იცის როგორ და რისთვის უნდა გამოიყენოს ქიმიური საშუალებანი. ფუხარა გლეხებმა, თავის ჩამორჩენილობით, სრულიად არ იციან რა სარგებლობა შეუძლია მისცეს სოფლის მეურნეობას ქიმიამ.

მიწების მოსავლიანობა, მავნებლებთან ბრძოლა ქიმიური საშვალებით, ფუხარას შრომის ნაყოფიერების აწევა, ფუხარას მძიმე შრომის ანაზღაურება საუკეთესო მოსავლიანობით – აი რა შეადგენს აჭარისტანის "ავიაქიმიის" ერთ ერთ მორიგ ამოცანათაგანს. და როდესაც ჩვენ ამ ჩვენს ამოცანას ცხოვრებაში გავატარებთ და დავეხმარებით ფუხარას, მაშინ ის დარწმუნდება, რომ მას არა მარტო შეპირებებით კვებავენ, არამედ ნამდვილ დახმარებასაც უწევენ. მაშინ ის დარწმუნდება, რომ ქიმია მისი მეგობარი ყოფილა და უმისობა მას უმწეო მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს. გლეხების მიერ ქიმიურ საშუალებათა ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, ამაღლებს მას ეკონომიურად, რის გამოც ძლიერდება მოთხოვნილება ქიმიურ საშუალებებზე. უკანასკნელი კი სახელმწიფოს საშუალებას მისცემს გააფართოვოს და გააძლიეროს ქიმიური მრეწველობა.

გაძლიერებული ქიმიური მრეწველობა კი საბჭოთა კავშირს ძლიერ ესაჭიროება, რადგან მას კიდევ ბევრი ყავს მტერი, რომელთაც ქიმიური მრეწველობა ბევრად უფრო განვითარებული აქვს და, რასაკვირველია, თუ ისინი ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლის გუნებაზე დადგნენ, ცხადია რომ ისინი ჩვენს წინააღმდეგ გაცილებით მეტ მხრჩოლავ და მწამლავ ნივთიერებებს იხმარენ, ვიდრე ამას ადგილი ქონდა მსოფლიო ომში. აქედან ცხადია, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარებით დაინტერესებული უნდა იყოს ჩვენი გლე-

ხობა, რათა ჩვენი გაძლიერებული ქიმიური მრეწველობა დაუპირდაპიროთ კაპიტალისტურ ქვეყნების ქიმრეწველობას.

საბჭოთა მთავრობას არ აქვს საშვალება ქიმიური მრეწველობისათვის დიდი თანხა გადადვას, რადგან ეს თანხა მძიმე ტვირთათ აწვება ისევ იმავე გლეხობას გადასახადების სახით, ამიტომ ჩვენმა მთავრობამ აირჩია მეორე გზა-უფრო საღი და იაფი: მან, სანამ ქიმიურ მრეწველობის ფართო შენებას შეუდგებოდეს, გადაწყვიტა "ავიოქიმიის" საშვალებით მიმართოს გლეხებს და მის მეურნეობას და აუხსნას მას პრაქტიკულად ქიმიის გამოყენება მეურნეობის გასაუმჯობესებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად. ქიმიურ საშუალებათა ფართო გამოყენებით თავის მეურნეობაში გლეხობა ბევრჯერ უფრო მეტ სარგებლობას მისცემს სახელმწიფოს, ვიდრე სამხედრო ქიმიური მრეწველობის შენებისათვის დაწესებულ გადასახადის თავის დროზე შეტანით.

აი, ყველაფერი ის რაც უნდა შევაგნებინოთ ჩვენს ფუხარას. ამ მუშაობაში ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სოფლებში მომუშავე მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, ექიმების თანაშემწეები, პარტიული ამხანაგები, კომკავშირელები და სხვა. ესენი უპირველეს ყოვლისა ავიოქიმიის სოფლის უჯრედების აქტიურ წევრებად უნდა გახდენ, მოაწყონ ლექცია-საუბრები, ხმა მაღლა კითხვა ფუხარასთან, აუხსნან მათ ქიმიის რაობა და მისი სარგებლობა მეურნეობისათვის. ფუხარას დასარწმუნებლად უნდა მოეწყოს სოფლებში (სასურველია სკოლებთან) საცდელ-საჩვენებელი მინდვრები, ბაღები, ბოსტნები, სადაც შესაძლებელი გახდება მინერალური სასუქების გამოყენების ჩვენება და ახსნა. უნდა მოეწყოს აგრეთვე "აფიოქიმი"-ს კუთხეები პატარა ბიბლიოთეკებით და პლაკატ-ლოზუნგებით. ქოხსამკითხველოებში, სკოლებში, სახალხო სახლებში და ყველგან, სადაც კი მოხერხდება დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ამ თემაზე ფუხარასთან საუბარს. საქმე დიდია გასაკეთებელი, შედეგებიც მისგან დიდმნიშვნელოვანი იქნება და სიტყვა-საქმედ უნდა იქცეს.

გაზეთი "ფუხარა", 1925წ. 24 ივლისი
ი.ს. – ძე

მ ა ზ რ ე ბ შ ი
თვითნებობას და ფუხრების აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს
(ხმა ყარადერედან)

ამ რამოდენიმე დღის წინათ ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ფუხრებისათვის მთავრობას გადმოუცია შემწეობაო. თანახმად მაზრის აღმასკომის ცირკულიარისა, თემი შეუდგა დაზარალებულთა სიის შედგენას. სამწუხაროდ, სია ვერ შესდგა სამართლიანად. დახმარება გაეწია უმთავრესად სოფლის შეძლებულ გლეხობას.

ამ ორი დღის წინათ მომიხვდა სოფლებში მოგზაურობა. ჩემ შეკითხვაზე, ფუხარა გლეხებმა მიპასუხეს: რა ვქნათ ძია, ჩვენ ფუხრები, იგინი აღიებია, მათ იცნობენ, აბა ჩვენ ვინ შეგვხედავს.

როგორც გადმომცეს, ასეთ შემთხვევასაც ჰქონის ადგილი: ამ რამოდენიმე დღის წინათ მთაზე მოთხოვნილი იყო რამოდენიმე კაცი დარაჯად. ამ თემიდანაც დასახელდა ერთი ფუხარაც, მაგრამ იმ წუთში გაჩნდნენ სოფლის მოკულაკო კონკურენტები და შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ ხსენებული ფუხარა ვერ შეძლებდა სამსახურს. მიზეზად ასახელებდნენ იმ გარემოებას, რომ ფუხარას არ აქვს ტანისამოსი. ადგილობრივმა საექიმო პუნქტის გამგემ აღნიშნულ გლეხს მისცა თავისი ტანისამოსი, რომ ხელი შეეწყო მისი დანიშვნისათვის. რამდენიმე საათის შემდეგ ხსენებულმა ფუხარამ თვით განაცხადა უარი სამსახურზე. ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა მოქცევამ და ჩემით დავეკითხე მიზეზი. მიპასუხა: ჩვენი ეფენდის შვილს უნდა იქ წასვლა, მე ხომ წინ ვერ აღუდგებოდიო და, რომც წავიდე მაინც არ დამაყენებსო. ასეთ მოვლენებს, სამწუხაროთ, დღესაც აქვს ადგილი ზოგიერთ ადგილში.

დახმარება უმალ უნდა მიიღოს უღარიბესმა, მაგრამ ხშირათ ასეთს ღებულობენ სოფლის კულაკები.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ფუხრების მდგომარეობას და დამნაშავე მიეცეს პასუხისგებაში. მე არ მგონია, რომ სხვა თემებშიც ასე იყოს. აქ ყარადერში, როგორც მივარდნილ და ცენტრიდან დაშორებულ თემში, კიდევ თარეშობენ აღები, ეფენდები და სოფლის კულაკები.

გაზეთი " ფუხარა", 1925 წელი 24 ივლისი
ყ. – ი.

ლუფის კულტურა აჭარისტანში

როგორც ვიცით, აჭარისტანში მიწის ნაკლებობას მეტად მწვავე ხასიათი აქვს, დაახლოებით თითო კომლზე საშუალოდ მოდის 1 ნახ. დესიატინაზე ნაკლები ვარგისიანი მიწა.

ეს მდგომარეობა გვავალებს აჭარისტანში გავავრცელოთ ისეთი ინტერსიული სახის მცენარეები, რომლებიც, მართალია, ბევრ შრომას და თანხას მოითხოვენ, მაგრამ სამაგიეროთ ამ შრომის გამწევს უხვად აჯილდოვებს, თავისი შემოსავლიანობით. ამგვარ კულტურათა შორის უნდა აღინიშნოს ჩაი, მანდარინები, ლიმონი, ფორთოხალი, ბამბუკი და სხვა სუბტროპიკები, რომლებმაც მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს ჩვენ სინამდვილეში და ღრმად შეიჭრნენ ჩვენი გლეხის მეურნეობაში. ეს მებაღეობის დარგში. რაც შეეხება მემინდვრეობას, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მდგომარეობა მოიკოჭლებს და ჯერ-ჯერობით მისი არე შეზღუდულია მხოლოდ და მხოლოდ სიმინდით, რომელიც ფრიად უბარაქოთ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ჩვენი მიწები იმდენად გამოფიტულია, რომ სიმინდის მოსავლიანობა არ

აღემატება ერთ დესეტინიდან 30-40 ფუთს და იმ მიზნის მისახწევად, რომ ეს რაოდენობა გადიდებულ იქნეს სხვა და სხვა სასუქების შეტანით უაზრო ხდება თვით სასუქების სიძვირის გამო. ამიტომ ჩვენი მეურნეობის ძირითად დარგში უნდა შეტანილი იქნეს ისეთი კულტურა, რომელიც ერთის მხრივ მოკლე ხნის განმავლობაში გამოიღებს თავის შედეგს და მეორე მხრივ თვალსაჩინოთ გაადიდებს ჩვენი გლეხის მცირე ბიუჯეტს.

ამ კულტურათა შორის ყველაზე უფრო დიდი ყურადღება ჩვენს პირობებში უდავოდ უნდა მიექცეს ლუფს, რომლის მოშენების პირობები და რენტაბელობა ჩვენი სინამდვილისათვის უკვე გამორკვეულია.

ლუფის სამშობლოდ ითვლება ტროპიკული აზია, სხვა ნაცად ჯიშთა შორის, როგორც ჩვენ პირობებში და აგრეთვე ბაზრის მოთხოვნილებისათვის ყველაზე უკეთეს ჯიშად უნდა ჩაითვალოს ცილინდრიული "ლუფა ცილინდრკა"

ჩვეულებრივ კიტრისებურ სახის მცენარე, რომლის სახმარ ნაწილს შეადგენს კიტრის გული, დასერიული ბადისებურ უჯრედებით. უყვარს თბილი და მზიანი ადგილები, სწყენს ქარი, მაგრამ დიდ ზიანს არ აყენებს. პლანტაციის გასაშენებელი ადგილები უნდა დამუშავდეს შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე. ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდგომაზე 25-30 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო გაზაფხულზე უნდა ამოღებულ და დამზადებულ იქნეს ორმოები 30 სანტიმეტრის სიღრმის და 50 სანტიმეტრ სიგანისა. ორმო ორმოდან რიგში უნდა დაშორებული იქნეს ერთი მეტრის მანძილზე, ხოლო რიგი რიგიდან კი 1 ნახ. სიგრძეზე. კარგი გაფხვიერებული, მსუბუქი და ღრმად განოყიერებული ნიადაგი, რისთვისაც საკმარისია თითო ორმოში 10-12 გივარქა გადამწვარ საქონლის პატივის შეტანა.

სათეს მასალათ უფრო ვარგა ძველი 2-3 წლიანი გადარჩეული თესლი.

ვინაიდან ლუფის სავეგეტაციო ზრდის ხანა უდრის 6-7 თვეს, ამისათვის უნდა დაითესოს რაც შეიძლება ადრიანად უკვე აღმოცენებული მცენარე და უნდა გადირგას პლანტაციაში.

თითო ორმოში ითესება 2 სანტიმეტრ სიღმეზე 2-3 მარცვალი, რომლითაც აღმოცენების შემდეგ ტოვებენ ერთ მაგარ ძირს, დანარჩენს კი სპობენ. ამ რიგად ერთ დესიატინაზე ეტევა 8.000 ძირი მცენარე. ესენი უნდა აიკრას 3 მეტრი სიმაღლის ჭიგოებზე, რომლებიც ირჭობა ნიადაგში ვერტიკალურად, ხოლო მასზე გორიზონტალურად გაყავთ ერთი წყება ჭიგოებისა, პლანტაცია უნდა გაიწმინდოს სარეველა ბალახებისაგან, რისთვის უნდა გაითოხნოს საჭიროების და მიხედვით. 2-3 ჯერ, ლუფის მცენარე უშვებს 3-5 მეტრის სიგრძის ყლორტებს. რომელიც ისხამს, თუ ნიადაგი ნაყოფიერი, 8-10 ცალ კიტრს, რომლებიდანაც ნაყოფის გამოსაყვანად უნდა დატოვებულ იქნეს 5-6 ცალამდე თითო ძირზე. ამ რიგად ერთი დესიატინიდან შეგვიძლია მივიღოთ 40-48.000 ცალი, რომელიც დამწიფდება დაახლოვე-

ბით მარიამობისთვეში, თუ ადრე დათესილია. კიტრის სიმწიფის და მოკრეფის მომენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დამწიფებულ, ან და დაუმწიფებელ კიტრიდან ბაზრისათვის საჭირო საქონელს ვერ მივიღებთ. ლუფის კიტრების მოკრეფის ხანა დგება დაახლოებით მარიამობისთვეში და გასტანს ოქტომბრის პირველ რიცხვამდე.

მიღებულ საქონლის დამუშავების ტექნიკა შემდგომში მდგომარეობს: კიტრის კანს გასერავენ სიგრძეზე, გამოიღებენ გულს, რომლის უჯრედებში მოთავსებულია თესლი (ფასი მისი 8-10 მან. გირვანქა), რომელიც ნაყოფის უმნიშვნელო შენჯღრევით ცვიცა, შემდეგ ნაყოფს გარეცხავენ ცივ წყალში ლორწოიან გარსის მოშორების მიზნით. ამის შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში უნდა ჩაიყაროს ადუღებულ წყალში, რის შემდეგაც საჭიროა ცოტა შელილავებულ ცივ წყალში გავლება სითეთრის მისაცემათ, უნდა აიკინძოს, მზეზე გააშროს და დაიტკეპნოს.

მუშაობის უკანასკნელ ოპერაციას შეადგენს ბაზრის მოთხოვნილების თანახმად დახარისხება პირველ ხარისხად, რომელიც შეიცავს მოზრდილ, მეორე ხარისხი საშუალო და მესამე მოკლე ზომის ეკზემპლიარებს. საერთოდ ერთი დესიატინა ლუფის დამუშავება ჯდება გლეხურ მეურნეობაში, რომელიც იყენებს საკუთარ მუშა ხელს. 2000 მანეთამდე, შემოსავალი კი, თუ მივიღებთ მხედველობაში თითო ცალის ღირებულებას 15 კაპ., უდრის 6000-7200 მ. რასაც არც ერთი ამჟამად არსებული კულტურა არ იძლევა და ვერც მოგცემს.

გაზეთი "ფუხარა", 1927წლის 22 მარტი

ა. კეკელიძე

ჩადრის ახდის საკითხი

ხულოს თემში საბჭოთა არჩევნები ჩატარდა ჩადრის საკითხის გარშემო ცხარე ბრძოლის ნიშნის ქვეშ. კულაკური ელემენტები, ხოჯები და ყველა ვინც ხალხის სიბნელით სარგებლობს, ცდილობენ ქალებზე გავლენის მოხდენას და საარჩევნო კრებების ჩაშლას. მათ საწინააღმდეგოთ ჩადრის ახდას იცავდნენ ხულოს ქალების შეგნებული წარმომადგენლები.

ყველაზე საინტერესო იყო ერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფ. დეკანაშვილების საარჩევნო კრებაზე. ჩადრის ახდის შესახებ მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა სუნდუხ თავართქილაძე და განაცხადა, რომ ცალ-ცალკე აჭარელ ქალებს ძლიერ უჭირთ ჩადრის ახდა, ერთ სოფელში ერთი ქალის მიერ უჩადროთ სიარული ნამდვილი გმირობაა, რასაც ყველას ვერ მოვსთხოვთ. ჩვენ სოფელში, სთქვა სუნდუხ თავართქილაძემ, ჩადრი აიხადა და დაწვა ლუფთიე ბოლქვაძემ. ჩადრ ახდილი ქალი ეხლა მეზობლის სასაცილოდ გახდეს, რა უნდა ქნას ქალმა?

ამავე კრებაზე გამოვიდა თვით ლუფთიე ბოლქვაძე, რომელმაც აიხადა და დაწვა ჩადრი. მან სთქვა: – მე ჩადრი ავიხადე, დავწვი. სოფელში კი მე დამცინიან, უნდა გადამასახლონ სოფლიდან. მე ამის არ მეშინია. მთავრობა სათანადო პასუხს მოსთხოვს ჩადრახდილ ქალების დამცინავს, შემწუხებელს. მაგრამ მე დამცინიან იმიტომ, რომ ერთი ვარ. აიხადოს ყველა ქალმა ჩადრი და ვნახავთ, თუ ვინ გაბედავს მათ დაცინვას.

ამ კრებაზე დიდი კამათი იყო ამის შესახებ, ლუთბიე ბოლქვაძის მაგალითით ქალები დაშინებულან. ისინი მოითხოვდნენ კანონის გამოცემას, რომ ყველა ქალებმა აიხადონ ჩადრი და მათ დაცინვას ვერვინ გაბედავს.

გაზეთი " ფუხარა", 1929 წლის 18 იანვარი

გ.ი.

ძ ი რ ს ჩ ა დ რ ი

მე ვარ 65 წლის მოხუცი აჭარელი ქალი. ჩემ შვილთან (კომუნისტია) საუბარმა დამარწმუნა, რომ ჩადრი არის სამარცხვინო ჩვეულება, რომელიც სულს უხუთავს აჭარელ ქალს და არ აძლევს მას საშუალებას გაიგოს ცხოვრების ავ-კარგი და თავის მამებთან, ქმრებთან და ძმებთან ერთად იმუშაოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

მივედი რა ამ დასკვნამდე, მე დაუყოვნებლივ ავიხადე ჩადრი. ჩემს მაგალითს მიბაძენ ჩემმა 4 ქალიშვილმა და 2 რძალმა.

მოუწოდებთ მიბაძონ ჩვენს მაგალითს სოფ. კვირიკეს მცხ. სალიხ კირისილოღლის, ალი მიქელაძის, ხასან მენაბდის და სხვ. მოწინავე გლეხების დებმა და დედებმა.

ძირს ჩადრი!

გაუმარჯოს თავისუფალ აჭარელ ქალს.

გაზეთი "ფუხარა", 1929 წლის 18 იანვარი
ემიდე რევაზიშვილი

აჭარელ ქალთა ზეიმი
სხალთის თემში 100 აჭარელმა ქალმა აიხადა ჩადრი

გუშინ რედაქციამ ხულოს მაზრაღმასკომის თავჯდომარე ამხ. რიზა ხოზრევანიძისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის ტელეფონოგრამა:

“ხულოში ჩამოვიდნენ სხალთის სოფ. თხილვანის, ბაკოს მცხ. აჭარელი ქალები, რიცხვით 100, რომელმაც საჯაროდ აიხადეს ჩადრი და გადაყარეს.

იმავე დღეს ჩამოვიდნენ სოფ. ხიხაძირის და ჭვანის გლეხები და სთხოვეს ადგილობრივ პარტორგანიზაციას მოიწვიოს ხსენებულ სოფლებში საზეიმო სხდომა, სადაც მათი ოჯახის წევრი ქალები საჯაროდ მოიხდიან ჩადრს.

საერთოდ მთელს მაზრაში ჩადრის ახდის კომპანია წარმატებით მიმდინარეობს. მახლობელ დღეებში მთელ რიგ სოფლებში ჩატარდა საზეიმო კრებები, სადაც აჭარელი ქალები სამუდამოდ განთავისუფლდებიან ამ მონურ ჩვეულებისაგან.

გაზეთი “ფუხარა”, 1929 წლის 18 იანვარი
ხულოს მაზრის აღმასკომის თავჯდომარე რ. ხოზრევანიძე

მოწერილი ამბები
სუფსის მშრომელ ქალთა შორის.

27 ივნისს დ. სუფსაში სწარმოებდა არაჩვეულებრივი მზადება. მეორე დღისთვის დანიშნული იყო ახალგაზრდა ქალთა კონფერენცია. შემკული იქნა, როგორც დაბა სუფსა, ისე სახალხო დარბაზიც, სადაც უნდა გახსნილიყო კონფერენცია. კვირას 28 ივლისს მოხთა ლამაზი დემონსტრაცია. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა გუნდი ინტერნაციონალის სიმღერით, გუნდს თან მიყვებოდნენ პიონერები და შემდეგ ახალგაზრდა ქალები. დემონსტრაციის შემდეგ ხალხმა თავი მოიყარა სახალხო სახლში.

კონფერენცია გაიხსნა 4 საათზე. კონფერენციას ხსნის ახალგაზრდა კომკავშირელი ქალი. პრეზიდიუმის წევრებად არჩეული იქნა 9 ქალი. კონფერენციას მიესალმენ სუფსის რაიონის ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორი, ახ.ლ.კ.კ. რაიკომის მდივანი და დელეგატთა ქალების სახელით ასხ.ა. კეჭაღმაძე. მისალმებას აბოლავებდა გუნდი ინტერნაციონალით. მისალმების შემდეგ იყო მოხსენებები: 1. ქალთა მოძრაობაზე (ა.კეჭაყმაძე), 2. ქალთა მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკაში და მათი საზოგადოებრივი პოლიტიკური როლი, (მომხ. ვ.ჯაყელი), 3. საერთაშორისო მდგომარეობა, კომკავშირის როლი და ამოცანები სოფლად ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში (მომხსენებელი ამხ. მ. ჭყონია). მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუციები, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შეგნებული მშრომელი ქალები მთელი თავიანთი შეძლებით გაუწევენ ხელმძღვანელობას ჩამორჩენილ მშრომელ გლეხ ქალებს და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად იმუშავებენ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღორძინებისათვის.

კონფერენციის მოწვევის აღსანიშნავად გამართულ იქნა უფასო წარმოდგენა.

გაზეთი “ ფუხარა”, 1925 წელი 5 ივლისი
ა–ი.

ვებრძოლოთ ლოთობას
(წერილი შუახორგიდან)

სამეგრელო.

შუა-ხორგის ხეზე მომუშავე ზოგიერთ მუშებს დღემდის ვერ შეუგნიათ ლოთობის მავნებლობა და განუწყვეტლივ დღე-დამე ქეიფობენ, არის ერთი ვაი-უშველებელი, ჟრიამული და ჩხუბი. იყო ასეთი შემთხვევა: მუშაობის დროს პაპანაქება სიცხეში, როდესაც შეშით დატვირთული ვაგონი კამეჩ გაბმული უდგას, დათვრა არაყით მუშა გ. დოლბაია, ნამდვილ გიჟს დაემსგავსა, ვინც შეხვდებოდა, ყველას ურტყამდა და ბოლოს გადავარდა წყალში. საერთოდ აქ ბევრი პროფესიონალური ლოთია: დურუ, ხარიტონი და თომა ლეფონავები, გაგი დოლბაია, აკაკი ჯაბავა, სარა დოლბაია, კოსტა მირცხულავა, საბა დოლბაია, რაჟდენ ჯობავა და სხვა. გასაკვირია თუ საიდან აქვთ ამდენი არაყის და ღვინის ფული? ადმინისტრაციას ხშირად უხდება უთანხმოება მათთან ამ ნიადაგზე. მათი საქციელი ჩირქს სცხებს მთელს მუშებს.

პროფკავშირი ამ ცუდ მოვლენის აღმოფხვრაში ერთობ მოისუსტებს, იყო საერთო კრების დადგენილება, რომ “ლოთობის ჩამდენი უნდა გამოერიცხათ კავშირიდან”

მოვითხოვთ ლოთობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას.

1925 წლის 5 ივლისი
მუშკორი შუახორგელი ალიო

ამერიკელების სამეცნიერო ექსპედიცია ყაზბეგზე

ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ამერიკიდან ლენინგრადში ჩავიდა და იქიდან საქართველოში გამოემგზავრება სამეცნიერო ექსპედიცია ყაზბეგის მწვერვალზედ ასასვლელად და იქ მაიკელსონის ცდების განსამეორებლად.

მაიკელსონის ცდა შემდეგში მდგომარეობს: ინგლისელმა მეცნიერმა მაქსველმა გამოიმუშავა მათემატიკური შეთანასწორება, რომლითაც გამოდიოდა, რომ თუ შუქის სხივს გაუშვებთ მიწის მოძრაობის პირდაპირ ან პარალელურად იგი ხან დამოკლდება და ხან გაგრძელდება დედამიწის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ამ თეორიის შესამოწმებლად ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა მაიკელსონმა მოახდინა ცდა სპეციალურად ამ მიზნისათვის დამზადებული აპარატით, რომელსაც ინტერფერომეტრს უწოდებენ. მაიკელსონის პირველმა ცდამ არ მოიტანა მოსალოდნელი შედეგები, ე.ი. არ დამტკიცდა მაქსველის ფორმულა, სხვა მეცნიერები არ დაეთანხმენ მაეკელსონის ცდას და მოახდინენ ანალოგიური ცდები სხვა პირობებში. უკანასკნელმა ცდებმა უკვე მოიტანეს მოსალოდნელი, დადებითი შედეგები.

სხვათა შორის მაიკელსონის ცდაზე ააგო თავისი რელატივობის თეორია განთქმულმა მეცნიერმა ეინშტეინმა.

შუქის სხივი – ეს მოვლენაა ჰაეროვანი ეთერის მოძრაობის და ეს ეთერი კი დედამიწის მოძრაობასთნ ერთად მოძრაობს, ვინაიდან საგნები მას იზიდავენ მოძრაობის პროცესში. ამიტომ საინტერესოა ამ ცდის მოხდენა საგნებიდან განცალკავებით, სადმე მაღალ მწვერვალზე.

გერმანელმა მეცნიერმა კამერერმა მოახდინა ერთ მწვერვალზე ასეთი ცდა და მიიღო დადებითი შედეგი, ე.ი. დამტკიცდა, რომ შუქის სხივები, თუ მათ გაუშვებთ დედამიწის მიმართ ხან დამოკლდებიან და ხან გაგრძელდებიან, მოძრაობასთან დაკავშირებით .

1926 წელი 30 ნოემბერი

ს ა ს ო ფ ლ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა
ჩაის ბუჩქის მოვლა-მოშენება

ნიადაგი.

ჩაის ბუჩქი თუმცა არ თხოულობს ძალიან ნოყიერ, მსუქან მიწას, მაგრამ ყველა ნიადაგზე ის მაინც არ ხარობს.

აჭარისტანის შავი ზღვის განაპირა რაიონში ყველაზე უკეთეს მიწათ ითვლება ჩაის ბუჩქებისათვის ეგრეთ წოდებული ლატერიატული ნიადაგი, რომელიც არის მოწითალო ფერის, რაც მაჩვენებელია ნიაგადში რკინის სიმჟავის არსებობისა.., ოზურგეთის მაზრაში ჩაის ბუჩქებისათვის ვარგისიანი მიწები იწოდება "ეწრებათ". ერთი სიტყვით, ჩაის ბუჩქებისათვის გამოდგება ის ადგილი, სადაც ძალიან კარგათ ხარობს გვიმბრა, ხოლო მცენარეებისათვის-კი თითქმის უვარგისია.

ჩაის თესლის მოგროვება და მისი შენახვა.

ჩაის ბუჩქები მრავლდება ყოველთვის თესლით, თუმცა შესაძლებელია მისი გამრავლება ტოტებითაც. მაგრამ ეს უკანასკნელი საშუალება გამოსადეგი არ არის. ჩაის თესლი უნდა მოიკრიფოს შემოდგომაზე, როდესაც ის მწიფეა, რის შეტყობა შეიძლება კოლოფის გარეგან სიწითლით და თესლის მიერ ყავის ფერის მიღებით. თესლი უნდა მოიკრიფოს კოლოფიანად ჩაის ბუჩქებიდან და რომ კო-

ლოფებიდან თესლი ადვილად გამოცვინდეს კოლოფი ღია უნდა იყ-ვეს. თესლი უნდა დაიყაროს მზეზე, თესლის გამოღების შემდეგ კი მზე აღარ არის საჭირო.

ჩაის თესლი უნდა მოიკრიფოს ისეთ ბუჩქებიდან, რომელთა ჯი-ში ჩვენში კარგად ხარობს. მაგალითად ჩინეთის "გიდრიდი", და აგ-რეთვე ჯიში "კანგრა". თესლი უნდა მოიკრიფოს ღონიერ ბუჩქებიდან ხნოვანებით არა ნაკლებ ხუთი წლისა, რომ მოკრეფილი ჩაის თესლი არ გაფუჭდეს. ყველაზე უკეთესია მისი მაშინვე დათესვა, მაგრამ თუ ეს ამინდის მიხედვით არ ხერხდება, მაშინ თესლი უნდა შეინახო ისეთ ალაგას, სადაც ის არ გახმება. მისი შენახვა შეიძლება ფხვნილ, ახლად აღებულ სველ მიწაში, რომელშიაც უნდა აირიოს თესლი და ჩაიყაროს ტომარაში და დაკიდოს მშრალ ადგილას, რომ ყოველი მხრიდან მიიღოს ჰაერი და თესლი არ დაობდეს. ამ რიგათ თესლი უნდა შეინახოს გაზაფხულამდე.

ჩაის დათესვა.

ჩაის პლანტაციისათვის დანიშნული ადგილი თუ კი ის ხეებითა და ბუჩქებით არის დაფარული უნდა გაიწმინდოს, ხეები და ბუჩქები უნდა ამოიღოს მიწიდან ფესვებიანად და უვარგისი ტოტები უნდა დაიწვას მიწის გასანაყოფიერებლად. შემდეგ მიწა უნდა გადაბრუნ-დეს 8-10 ვერშ.; გადაბრუნებული მიწა უნდა გაიწმინდოს ძირებისაგან. მიწის გადაბრუნება სასურველია ჩაის დათესვის წინ რამოდენიმე ხნით ადრე, თუ ჩაის დასათესი ადგილი წარმოადგენს მთაგორიან ადგილს, საჭიროა მისი ტერასებათ ე.ი. გებად დაყოფა, რომ ნიადაგი ღვარმა არ ჩამორეცხოს. ტერასებს უნდა მიეცეს ისეთი სიგანე, რომელზედაც უნდა დაეტიოს თითო მწკრივი ჩაის ბუჩქებისა, 1/2 არ-შინამდე.

ჰავაზე და ნიადაგზე დამოკიდებულია ჩაის ბუჩქების რაოდე-ნობა ერთ დესენტინაზე. ჩვენში საერთოდ შემოღებულია თითო დე-სეტინაზე შვიდი ათასიდან ათი ათას ბუჩქის გაშენება.

სწორ ადგილზე ჩაი უნდა დაითესოს მწკრივებით და ჭადრა-კული წესით. რიგი რიგიდან დაშორებული უნდა იქნეს 1 3/4 არშ.- ბუჩქი, ბუჩქიდან რიგში 1 1/4 ბუჩქიდან რიგში 1 1/4 არშ.

მიწის დაგეგმვა უნდა მოხდეს წინდაწინვე. თითო ორმოში უნ-და ჩაითესოს 5-6-დე მარცვალი ჩაის თესლისა, რადგანაც მოსალოდ-ნელია კაკალი ყველა არ მოვიდეს. თესლი უნდა დაიფაროს ვერშოკი მიწით.

გაზეთი „ფუხარა", 1925 წელი 21 ნოემბერი
ა. ჩიტაიშვილი

ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გამოდის აჭარელი ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. 5 წლის განმავლობაში პროლეტარულმა რევოლუციამ შეარხია აჭარისტანის მთებში საუკუნოებრივად ჩაკეტილი მუსულმანი ქალი. იწყება აჭარელ ქალის გამოფხიზლება და ძველ მონურ ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლა.

უმეცრების და მამა-პაპისეულ ჩვეულებებით დაბნელებულ აჭარელთა ქოხ-მახებსაც მისწვდა დიდი ოქტომბრის სხივი და აჭარელ ქალსაც შემოესმა უჩვეულო ხმა . . . აჭარელ ქალს უთხრეს, რომ ისიც ადამიანია და საბჭოთა კანონებით–მამაკაცის ტოლი და თანასწორი.

საბჭოთა სამუსულმანო ქვეყნებს შორის აჭარისტანში ყველაზე გვიან დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენში აჭარელ ქალთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ თავდაუღწეველია ძველ ადათ-ჩვეულებებისაგან და უმეცრების ბურუსებშია გახვეული.

მაშინ, როდესაც მთელს საბჭოთა აღმოსავლეთში 7287 კომკავშირელი ქალია, აჭარისტანში არც ერთი კომკავშირელი აჭარელი ქალი არ მოგვეპოვება. ხოლო კომკავშირის გარეშე, ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის გარეშე, ჩვენ ვერ შევქმნით ახალ ყოფა-ცხოვრებას, ვერ გამოვიყვანთ აჭარელ ქალს შეუგნებლობის და უმეცრების წყვდიადიდან.

ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მოვკიდეთ ხელი პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის წარმოებას მუსულმან ქალთა შორის. ჩვენ დაარსეთ ორი კლუბი აჭარელ ქალისათვის: ბათომსა და ქობულეთში.

საბჭოთა აღმოსავლეთის ქვეყნებში ამჟამად არსებობს 51 ქალთა კლუბი და 161 ქალთა წითელი კუთხე, რომელთა გარშემო შემოკრებილია 19.000 მუსულმანი ქალი.

ეს ხომ დაუჯერებელი ამბავია, ეს ხომ უდიდესი მიხწევაა!!

იმ ქალთა კლუბები განათლების და თვითგანვითარების ნამდვილი კერაა. მუშაობა სდუღს და გადმოდის. . .

აჭარისტანი თვალსაჩინოთ ჩამორჩა საბჭოთა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს (დაღესტანს, უზბეკისტანს, აზერბაიჯანს და სხ.). ჩვენ მხოლოდ ეხლახან მოვკიდეთ ხელი მუშაობას ამ დარგში და მიღწევებიც შედარებით უმნიშვნელო გვაქვს. მაგრამ ამიერიდან ჩვენი მუშაობა აჭარელ ქალთა შორის ახალ ფეხზე უნდა შესდგეს. ქალთა განყოფილებამ და აჭარელ ქალთა კომიტეტმა ფართოთ და ენერგიულათ უნდა მოჰკიდონ ხელი მუშაობას.

ჩვენი გაზეთი გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული იყო ს. კ.პ.(ბ) აჭარკომის თეზისების პროექტი სოფლად მუშაობის შესახებ. ამ თეზისებში თვალსაჩინო ადგილი უკავია აჭარელ ქალთა შორის მუშაობის საკითხს. ეს საკითხი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა შევიდეს ჩვენი მომავალი მუშაობის გეგმაში.

დღევანდელ "ფუხარაში" იბეჭდება ქობულეთის აჭარელ ქალთა კლუბის საზეიმო გახსნის ანგარიში, საიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ როგორ ემატებიან შეგნებულ და გათვიცნობიერებულ აჭარელ ქალთა მცირერიცხოვან რიგებს ახალ-ახალი ძალები.

აჭარელ ქალთა შორის მუშაობისთვის ნიადაგი მზად არის. ეხლა საქმე ქალთა განყოფილებასა და აჭარელ ქალთა კომიტეტზეა.

აჭარელი ქალი ფართოთ უნდა გამოვიდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. ამას მოითხოვს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა აჭარისტანის არსებითი ინტერესები.

გაზეთი "ფუხარა"
1925წლის 21 ნოემბერი

მილოცვა

საარქივო სამმართველო არა მარტო დოკუმენტსაცავი და მეცნიერების უმნიშვნელოვანესი კერაა, არამედ მეგობრობისა და სიყვარულის, ურთიერთდაფასებისა და ურთიერთპატივისცემის დიდი ტრადიციების მქონე დაწესებულება. აქ იხსენებენ, აფასებენ, ეფერებიან ღვაწლმოსილ და ამაგდარ ადამიანებს, გამოჩენილ არქივისტებს, მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს. აქ არც საკუთარ კოლეგებს ივიწყებენ, ახსენებენ საიუბილეო თარიღებს და საჯაროდ ულოცავენ ერთმანეთს.

2013 წელი საიუბილეოა გენადი კახაილიშის (60), ნაზი შარაშიძის (55), თენგიზ სალუქვაძის (55), ნაზი ნაგერვაძის (55), მადონა ცხადაძის (50), ასლან აბაშიძისათვის (50).

ყველა მათგანი საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული ადამიანები არიან, გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, აუჩქარებლობით, სიდინჯით, მოსმენის უნარით, ურთიერთპატივისცემის გრძნობით. ისინი თანამედროვე ცხოვრების შუაგულში არიან, არქივისა და არქივისტების ინტერესებით ცოცხლობენ, მეგობრებისა და ახლობლების სიხარულსა და ტკივილს იზიარებენ, ცხოვრობენ და ცოცხლობენ უყვედრებელი პატიოსნებითა და სამაგალითო ზნეობით. ამიტომაც ვეფერებით და საიუბილეო წელს ვულოცავთ ჩვენს კოლეგებს, ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შინაარსი:

1. თამაზ ფუტკარაძე,ზაზა ბურკაძე, ნინო გოგიტიძე, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი წმინდა ექვთიმე ღვთის კაცი 3
2. ფრიდონ ქარდავა, 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებული მასალები ბრიტანულ წყაროებში 18
3. ციური ქათამაძე, ჯვარის მამა - მარკოზ აჭარელი 22
4. ოთარ გოგოლიშვილი, სახალხო მილიცია აჭარაში XIX ს-ის დასასრულსა და XX საუკუნის 20-30-იან წლებში 28
5. ომარ მემიშიში, რედუპლი კაცია ლაზურში 38
6. ზაზა ბურკაძე, საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 40
7. ერდოღან შენოლ (ერეკლე დავითაძე), თურქეთის ქართველების თვითიდენტიფიკაციის საკითხისათვის ---------- 46
8. შ. მამულაძე, გ. ყიფიანი, ე. კახიძე, აღმოსავლეთ ჭანეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ათინას ციხე-კიზ-კალე) 52
9. თამაზ ფუტკარაძე, ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები (საცხოვრებელი ნაგებობები) 58
10. მარინა ჯინჭარაძე სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტური ტენ-დენციები XX ს-ის ქართულ ხელოვნებაში ---------- 84

საარქივო დოკუმენტური წყაროები:

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატი ---------- 88
2. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული მასალებიდან ----110
3. ძველი პრესის ფურცლებიდან ----------114

მილოცვა 130

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge